

დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ



23.10.2015წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან აქ აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ

სს „ვითიზი ბანკი ჯორჯია“ წინამდებარე ემისიის პროსპექტის საფუძველზე ახორციელებს 20 000 000 (ოცი მილიონი) ჩვეულებრივი აქციის საჯარო შეთავაზებას

სარჩევი:

ზოგადი ინფორმაცია	გვ. 3
ემიტენტის აქციათა ემისიის ისტორია	გვ.3
ემიტენტის საქმიანობის საგანი	გვ.6
ემიტენტის საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდები	გვ.7
აქციონერები, რომლებიც ფლობენ ემიტენტის აქციათა 5%-ზე მეტს	გვ.7
ემიტენტის ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოება	გვ.7
ემიტენტის მართვის ორგანოები და ინფორმაცია მენეჯმენტის შესახებ	გვ.7
ემიტენტის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები	გვ.11
გამოშვებული აქციების კლასი და რაოდენობა	გვ.13
გამოშვებულ აქციებზე საკუთრების უფლების შეძენა	გვ.13
აქციათა განთავსების შედეგად მიღებული შემოსავლების გამოყენება	გვ.16

დანართი:

1. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ აქციონერის – საჯარო სააქციო საზოგადოება „ბანკ ვეტეხს“ 2015 წლის 13 ოქტომბრის ერთპიროვნული გადაწყვეტილება.
2. სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.
3. აუდიტის მიერ დადასტურებული 2013 და 2014 წლების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები.

1. ზოგადი ინფორმაცია

საფირმო სახელწოდება:

სააქციო საზოგადოება „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

იურიდიული მისამართი:

0108, საქართველო, ქ. თბილისი, გ. ჭანტურიას ქ. №14.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ტელ: + 995 322242424. ელ.ფოსტა: info@vtb.ge.
ფაქსი: + 995 322933291.

დაფუძნება:

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ (შემდგომ „ბანკი“ ან „ემიტენტი“) წარმოადგენს საბანკო დაწესებულებას. ბანკი შექმნილია კომერციული ბანკების „საქექსიმბანკის“, „ინდუსტრიაბანკისა“ და საპაიო კომერციული ბანკის „ახალი ქართული ბანკის“ შერწყმის გზით 1995 წლის 7 აპრილს და ატარებდა ოფიციალურ სახელწოდებას სს „გაერთიანებული ქართული ბანკი“, რომელიც რეგისტრირებულ იქნა 1995 წლის 19 მაისს, ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის ნომრით 03/5-1. 2006 წლის 7 დეკემბერს, სს „გაერთიანებულ ქართულ ბანკს“ შეეცვალა სახელი და ეწოდა სააქციო საზოგადოება „ვითიბი ბანკი ჯორჯია“. სააქციო საზოგადოება „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ წარმოადგენს „საქექსიმბანკის“, „ინდუსტრიაბანკის“, საპაიო კომერციული ბანკის „ახალი ქართული ბანკის“ და სს „გაერთიანებული ქართულ ბანკის“ უფლებამონაცვლესა და სამართალმემკვიდრეს.

2. ემიტენტის აქციათა ემისიის ისტორია.

1997 წლის 7 მარტი:

ბანკის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 12 000 000 ლარს, რომელიც დაყოფილი იყო 12 000 000 ჩვეულებრივ სახელობით აქციად, ნომინალური ღირებულებით ერთი ლარი თითოეული.

1997 წლის 4 დეკემბერი:

ბანკის აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 14 600 000 ლარამდე, რომელიც დაიყო 14 600 000 ჩვეულებრივ სახელობით

აქციად, ნომინალური ღირებულებით 1 ლარი თითოეული. აღნიშნული ემისია დარეგისტრირებულ იქნა ფინანსთა სამინისტროს მიერ 1997 წლის 5 დეკემბერს რეგისტრაციის № 239-1-3-20-097/456.

1998 წლის 14 მარტი:

ბანკის აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 21 000 000 ლარამდე, რომელიც დაიყო 21 000 000 ჩვეულებრივ სახელობით აქციად, ნომინალური ღირებულებით 1 ლარი თითოეული. აღნიშნული ემისია დარეგისტრირებულ იქნა ფინანსთა სამინისტროს მიერ 1998 წლის 22 აპრილს რეგისტრაციის №239-1-4-20-133.

2005 წლის 7 აპრილი

და 15 ივლისი:

ბანკის აქციონერთა საერთო კრებების გადაწყვეტილებით საწესდებო კაპიტალი საერთო ჯამში გაიზარდა 41 000 000 ლარამდე, რომელიც დაიყო 41 000 000 ჩვეულებრივ სახელობით აქციად, ნომინალური ღირებულებით 1 ლარი თითოეული.

2007 წლის 18 დეკემბერი:

ბანკის აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 86 388 002 ლარამდე, რომელიც დაიყო 86 388 002 ჩვეულებრივ სახელობით აქციად, ნომინალური ღირებულებით 1 ლარი თითოეული.

2008 წლის 8 აგვისტო:

ბანკის აქციონერთა საერთო კრებამ ნებადართული აქციების ოდენობა განსაზღვრა 18 187 000 ცალი ჩვეულებრივი აქციის ოდენობით.

2009 წლის 14 აპრილი:

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს 2009 წლის 14 აპრილის №04/2009 გადაწყვეტილების შესაბამისად, ნებადართული აქციების ფარგლებში ბანკმა განახორციელა 15 748 425 ცალი ჩვეულებრივი აქციის საჯარო შეთავაზება ნომინალური ღირებულებით 1 ლარი თითოეული. აღნიშნული ემისიის შედეგად, გამოშვებულ აქციათა საერთო ოდენობამ შეადგინა 102

136 427 ცალი ჩვეულებრივი აქცია, ხოლო გამოშვებულ აქციათაგან განთავსებულ აქციათა საერთო რაოდენობამ შეადგინა 102 104 126 ცალი ჩვეულებრივი აქცია.

2009 წლის 9 ოქტომბერი:

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №12/2009 გადაწყვეტილების შესაბამისად, ნებადართული აქციების ფარგლებში ბანკმა განახორციელა 2 438 575 ცალი ჩვეულებრივი აქციის საჯარო შეთავაზება ნომინალური ღირებულებით 1 ლარი თითოეული. აღნიშნული ემისიის შედეგად, გამოშვებულ აქციათა საერთო ოდენობამ შეადგინა 104 575 002 ცალი ჩვეულებრივი აქცია, ხოლო გამოშვებულ აქციათაგან განთავსებულ აქციათა საერთო რაოდენობამ შეადგინა 104 542 701 ცალი ჩვეულებრივი აქცია.

2010 წლის 2 ივნისი

ბანკის აქციონერთა საერთო კრებამ ნებადართული აქციების ოდენობა განსაზღვრა 43 500 000 ცალი ჩვეულებრივი აქციის ოდენობით. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს 2010 წლის 2 ივნისის №09/2010 გადაწყვეტილების შესაბამისად, ნებადართული აქციების ფარგლებში ბანკმა განახორციელა 43 500 000 ცალი ჩვეულებრივი აქციის საჯარო შეთავაზება ნომინალური ღირებულებით 1 ლარი თითოეული. აღნიშნული ემისიის შედეგად, გამოშვებულ აქციათა საერთო ოდენობა შეადგენს 148 075 002 ცალი ჩვეულებრივი აქცია, ხოლო გამოშვებულ აქციათაგან განთავსებულ აქციათა საერთო რაოდენობამ შეადგინა 148 042 701 ცალი ჩვეულებრივი აქცია.

2011 წლის 14 თებერვალი

ბანკის აქციონერის – ლსს „ბანკ ვეტებს“ 2011 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით განხორციელდა 32 301 ცალი განუთავსებელი აქციის (თითოეული ნომინალური ღირებულებით – 1ლარი) გაუქმება.

2013 წლის 23 ივლისი

ბანკის აქციონერის – ლსს „ბანკ ვეტებს“ 2013 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით ბანკმა განახორციელა 12

250 000 ცალი ჩვეულებრივი აქციის საჯარო შეთავაზება ნომინალური ღირებულებით 1 ლარი თითოეული.

2014 წლის 28 თებერვალი

ბანკის აქციონერის – ლსს „ბანკ ვეტებს“ 2014 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით ბანკმა განახორციელა 11 000 000 ცალი ჩვეულებრივი აქციის საჯარო შეთავაზება ნომინალური ღირებულებით 1 ლარი თითოეული.

დღეისათვის ბანკის განთავსებულ აქციათა ოდენობა შეადგენს 171 292 701 ცალ ჩვეულებრივ აქციას.

3. ემიტენტის საქმიანობის საგანი.

- პროცენტიანი და უპროცენტო დეპოზიტების (მოთხოვნამდე, ვადიანი და სხვა სახის) და სხვა დაბრუნებადი გადახდის საშუალებების მოზიდვა.
- სესხების გაცემა სამომხმარებლო, საიპოთეკო, არაუზრუნველყოფილი და სხვა კრედიტების ჩათვლით, ფაქტორინგული ოპერაციები რეგრესის უფლებით და ამ უფლების გარეშე, კომერციულ გარიგებათა დაფინანსება, გარანტიების, აკრედიტივებისა და აქცეპტების გამოცემა ფორფეტირების ჩათვლით.
- საკუთარი და კლიენტთა სახსრებით ფულადი საბუთების (ჩეკების, თამასუქებისა და სადეპოზიტო სერტიფიკატების ჩათვლით, ფასიანი ქაღალდების, ფიუჩერებისა და ოფციონების სავალო ინსტრუმენტებით ან საპროცენტო განაკვეთებით, სავალუტო და საპროცენტო ინსტრუმენტების, სავალო საბუთების, უცხოური ვალუტის, ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების ყიდვა-გაყიდვა.
- ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციების და საკასო-საინკასაციო მომსახურების განხორციელება.
- გადახდის საშუალებების გამოშვება და მათი მიმოქცევის ორგანიზება (საგადახდო ბარათების, ჩეკებისა და საბანკო ტრატების ჩათვლით).
- უპროცენტო საბანკო მომსახურება.
- საშუამავლო მომსახურება საფინანსო ბაზარზე.
- კლიენტების დავალებით ნდობით (სატრასტო) ოპერაციების განხორციელება, სახსრების მოზიდვა და განთავსება.
- ფასეულობათა შენახვა და აღრიცხვა ფასიანი ქაღალდების ჩათვლით.
- საკრედიტო-საცნობარო მომსახურება.
- „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობა.
- ქონების იჯარით გაცემა.
- საგადახდო მომსახურების განხორციელება, საგადახდო სისტემის ოპერირება, ანგარიშსწორების აგენტის ფუნქციების შესრულება.

- ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება.

4. ემიტენტის საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდები.

დასახელება	ინვესტირებული თანხა (ლარი)	წილი კაპიტალში
სს “ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი”	300	0.27%
სს “გაერთიანებული კლირინგ ცენტრი”	54,000	6.25%
შპს “ქართული საფონდო კომპანია”	11,000	100.00%
შპს “ჯითი+”	200	100.00%
საქართველოს საბანკო-საფინანსო აკადემია	16,200	16.67%
სს “ამერიკული აკადემია თბილისში”	20,000	1.89 %
სს “გუდაური” ყოფილი სს “გერგეთი”	1,076,338	10.33 %

5. აქციონერები, რომლებიც ფლობენ ემიტენტის აქციას 5%-ზე მეტს.

- საჯარო სააქციო საზოგადოება „ბანკი ვეტიბე“, რუსეთის ფედერაციის რეზიდენტი იურიდიული პირი. წილი ემიტენტის კაპიტალში შეადგენს 96.808396 %.

6. ემიტენტის ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოება.

ემიტენტის მიერ გამოშვებულ აქციას რეესტრს და აქციებთან დაკავშირებულ სხვა ოპერაციებს, მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორი სს „კავკასრეესტრი“ (ს/ნ: **211369115**, მის. ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი #74ა, ტელ. 2220718).

7. ემიტენტის მართვის ორგანოები და ინფორმაცია მენეჯმენტის შესახებ:

ემიტენტის მმართველობის ორგანოებს წარმოადგენენ:

- აქციონერთა საერთო კრება.
- სამეთვალყურეო საბჭო.

- დირექტორატი.
- გენერალური დირექტორი.

აქციონერთა საერთო კრება:

აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვს ბანკის ყველა აქციონერს.

სამეთვალყურეო საბჭო:

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭო შედგება ხუთი წევრისაგან: თავმჯდომარე ვასილ ტიტოვი, წევრები: სერგეი ცარიოვი, გრიგოლ ლომიძე, ვსევოლოდ სმაკოვი, მიხეილ იაკუნინი.

დირექტორატი:

შედგება გენერალური დირექტორისაგან და დირექტორატის სხვა წევრებისაგან (დირექტორებისაგან). ბანკის გენერალურ დირექტორს და დირექტორატის წევრებს წარმოადგენენ:

გენერალური დირექტორი არჩილ კონცელიძე: დაბადების თარიღი: 08.10.1971. 2009 ოქტომბრიდან დღემდე სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი. 2008 წლიდან 2009 ოქტომბრამდე სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ – კორპორატიული ბიზნესის დირექტორი. 2007-2008 „ენერგო პრო ჯორჯია“ – ფინანსური მენეჯერი. 2006-2007 საქართველოს გაერთიანებული ენერგო კომპანია – ფინანსური გენერალური დირექტორის მოადგილე. 2004-2005 საქართველოს რკინიგზა – დირექტორი, ფინანსები. 2004 ბრიტანულ-კავკასიური სადაზღვევო კომპანია – დირექტორი, საპენსიო დაზღვევა. 2003 ბანკი „რესპუბლიკა“ – სტრატეგიული განვითარების კონსულტანტი. 1998-2003 ბანკი „რესპუბლიკა“ – გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე. 1996-1998 ბანკი „რესპუბლიკა“ – გენერალური დირექტორის მოადგილე. 1994-1995 პირველი პროფესიონალური ბანკი (მოსკოვი) – საწარმოო ფასიანი ქაღალდების განყოფილების უფროსი. 1994 პირველი პროფესიონალური ბანკი (მოსკოვი) – საფონდო დილერი. 1990 Alcatel Telecommunications (ვენა) – ასისტენტი. 1993 ოქსფორდის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი) – კურსი დიდი ბრიტანეთის ეკონომიკაში. 1991-1994 წმინდა ბონავენტურას უნივერსიტეტი (აშშ) – კორპორატიული ფინანსები. 1988-1991 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი – მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი.

რისკების დირექტორი, დირექტორატის წევრი ნიკო ჩხეტიანი: დაბადების თარიღი: 15.03.1977წ. 17.10.2011 დღემდე სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს რისკების დირექტორი; 09.12.2009 – 17.10.2011 წ. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს კორპორატიული ბიზნესის დირექტორი; 17.09.2008-09.12.2009 სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ – საბანკო რისკების დირექტორი, 23.01.2007-08.2008 სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ – გენერალური დირექტორის მოადგილე, საბანკო რისკების სამმართველოს უფროსი. 01.12.2005-23.01.2007 სს „გაერთიანებული ქართული ბანკი“ – კორპორატიული ბიზნესის მართვის სამმართველოს უფროსი. 01.09.2005–01.12.2005 – სს „გაერთიანებული ქართული ბანკი“ კორპორატიულ

კლიენტთა დაკრედიტების სამმართველოს უფროსი; 11.04.2005–01.09.2005–სს „გაერთიანებული ქართული ბანკი“ კორპორატიული კლიენტების დაკრედიტების დეპარტამენტის დირექტორი; 01.04.2002–17.11.2003 სს „გაერთიანებული ქართული ბანკი“ რუსთაველის ფილიალის მმართველის მოადგილე/საკრედიტო განყოფილების უფროსი; 14.03.2002–01.04.2002 სს „გაერთიანებული ქართული ბანკი“ რუსთაველის ფილიალის მმართველის მოადგილე/საკრედიტო განყოფილების უფროსის მ.შ.; 23.07.1998–14.03.2002–სს „გაერთიანებული ქართული ბანკი“ ფინანსური მენეჯერის თარჯიმან რეფერენტი; 08.12.2003–01.03.2004 სს „ბანკი რესპუბლიკა“ – დაკრედიტების დირექტორის მოადგილის მ.შ.; 01.03.2004 – 01.02.2005 სს „ბანკი რესპუბლიკა“ დაკრედიტების დირექტორის მოადგილე; 01.02.2005 – 18.04.2005 სს „ბანკი რესპუბლიკა“ # 3 სერვისცენტრის უფროსი, ცენტრალური ფილიალი; 1994-1998 ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფინანსები და საბანკო საქმე ბაკალავრი; 1998–2000 ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციები და მათი ფუნქციონირების მექანიზმი-მაგისტრი.

ფინანსური დირექტორი, დირექტორატის წევრი მამუკა მენტეშაშვილი: დაბადების თარიღი: 10.03.1973. 2011 წლის 17 ოქტომბრიდან დღემდე სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ ფინანსური დირექტორი; 09.12.2009–17.10.2011 სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ – რისკების დირექტორი; 01.12.2008–09.12.2009 – სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ – გენერალური დირექტორის მრჩეველი; 14.06.2007–13.05.2008 „საქართველოს ეროვნული ბანკი“ – ბანკების ინსპექტირების განყოფილების უფროსი, ზედამხედველობის დეპარტამენტი; 03.04.2007–14.06.2007 „საქართველოს ეროვნული ბანკი“ მთავარი სპეციალისტი, ბანკების ინსპექტირების განყოფილება; 13.12.2005–03.04.2007 „საქართველოს ეროვნული ბანკი“ მთავარი ეკონომისტი, ბანკების ინსპექტირების განყოფილება; 03.10.2005–13.12.2005 „საქართველოს ეროვნული ბანკი“ მთავარი ეკონომისტის მოვალეობის შემსრულებელი, ბანკების ინსპექტირების განყოფილება, ზედამხედველობის დეპარტამენტი; 22.07.2005–03.10.2005 „საქართველოს ეროვნული ბანკი“ მთავარი ეკონომისტი, სპეციალურ დავალებათა განყოფილება, საბანკო და არასაბანკო სადებოზიტო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტი; 04.08.2004–22.07.2005 „საქართველოს ეროვნული ბანკი“ მთავარი ეკონომისტი, საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველო; 02.06.2003–04.08.2004 „საქართველოს ეროვნული ბანკი“ სპეციალურ დავალებათა განყოფილების წამყვანი ეკონომისტი; 04.02.2003–02.06.2003 „საქართველოს ეროვნული ბანკი“ სპეციალურ დავალებათა განყოფილების უფროსი ეკონომისტი; 01.01.2000–04.02.2003 „საქართველოს ეროვნული ბანკი“ ბანკების ინსპექტირების განყოფილების უფროსი ეკონომისტი; 15.03.1999–01.01.2000 „საქართველოს ეროვნული ბანკი“ ლიცენზირების სექტორის ეკონომისტი, საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველო; 01.05.1996–11.04.1997 ისნის რაიონის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია სახელმწიფო საგადასახადო ინსპექტორი. 1995 წელს დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის

საინჟინრო ეკონომიკის ფაკულტეტი, 2000 წელს – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასპირანტურა (საინჟინრო ეკონომიკა).

საცალო ბიზნესის დირექტორი, დირექტორატის წევრი, ვალერიან გაბუნია: დაბადებული: 22.09.1982 წ. 17.05.2010–დღემდე სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ – საცალო ბიზნესის დირექტორი. 16.09.2008 – 17.05.2010 სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საცალო ბიზნესის განვითარების სამმართველოს უფროსი. 01.2007 – 05.2007 სს სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ საცალო გაყიდვების დეპარტამენტის დირექტორი. 03.2006 – 01.2007 სს სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ გაყიდვების დეპარტამენტის საცალო დაზღვევის განყოფილების უფროსი. 10.2005–03.2006 სს „პროკრედიტბანკის“ კორპორატიული ბანკირი. 03.2005 – 10.2005 – სს „პროკრედიტბანკის“ კორპორატიული სესხების საკრედიტო ანალოტიკოსი, ხოლო 10.2004 – 03.2005 კორპორატიული სესხების საკრედიტო ექსპერტი. 06.2004 – 10.2004 – სს „პროკრედიტბანკის“ ცენტრალური ფილიალის საკრედიტო ექსპერტ-სტაჟიორი. 01.2003 – 04.2004 შპს „ი.რ.ა.“-ს ბაქო – თბილისი – ჯეიხანის პროექტის სერვისის დეპარტამენტის ადმინისტრაციული ასისტენტი. 2007– 2010 სწავლობდა ჩესტერის უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში (დიდი ბრიტანეთი), მიენიჭა მაგისტრის წოდება ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობით. 1999–2003 სწავლობდა თბილისის სახ. უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტზე.

კორპორატიული ბიზნესის დირექტორი, დირექტორატის წევრი ვლადიმერ რობაქიძე: დაბადებული 16.12.1973 წ. 17.10.2011 – დღემდე სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ კორპორატიული ბიზნესის დირექტორი. 01.06.2008–01.10.2011 – სს „HSBC ბანკი საქართველო“ გენერალური დირექტორის მოადგილე. 01.04.2006–01.06.2008 „Caspian Black Sea Solutions“ გენერალური დირექტორი. 01.09.2000–01.03.2006 სს „საქართველოს ბანკი“ გენერალური დირექტორის მოადგილე. 01.03.1999–01.09.2000 სს „საქართველოს ბანკი“ საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორი. 01.06.1998–01.03.1999 სს „საქართველოს ბანკი“ საკრედიტო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე. 01.03.1997–01.06.1998 სს „საქართველოს ბანკი“ დოკუმენტური ბიზნესის განყოფილების უფროსი. 01.02.1996–01.03.1997 სს „საქართველოს ბანკი“ უფროსი ეკონომისტი. 1990–1995 სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მიენიჭა ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაცია. 1993–1996 სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მიენიჭა სამართალმცოდნეობის სპეციალისტის წოდება. 2003 წლის ნოემბერში მიიღო დიპლომი ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკში (European Bank of Reconstruction and Development), სპეციალობა და საგნები: საერთაშორისო სავაჭრო ფინანსები, სტრუქტურირებული სავაჭრო ფინანსები და სავაჭრო ფინანსების რისკები.

8. ემიტენტის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები.

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ რისკების მართვის სისტემა აერთიანებს საკრედიტო, ლიკვიდობის, სავალუტო, პროცენტულ და ოპერაციულ რისკებს. თითოეული ეს რისკი იმართება შესაბამისი პოლიტიკებისა და პროცედურების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი. თითოეული რისკის ნაწილში შემუშავებულია მეთოდოლოგია, ფუნქციონირებს ანგარიშგების სისტემა.

რისკების მართვის პროცესი გულისხმობს ბანკის მენეჯმენტის, პოლიტიკისა და პროცედურების ზედამხედველობას, რისკების იდენტიფიცირებას, შეფასებას, დადგენას. ასევე, მათ მონიტორინგსა და ლიმიტების განსაზღვრას, ინფორმაციული სისტემის ფუნქციონირებასა და რისკების კონტროლს. ბანკის რისკების მართვის უმაღლეს მაკონტროლებელ ორგანოს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო მენეჯმენტის დონეზე რისკების მართვასა და კონტროლს ახორციელებს დირექტორატი, საკრედიტო და აქტივ-პასივებისა და რისკების მართვის კომიტეტები. ბანკს შექმნილი აქვს რისკების მართვის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული – რისკების სამმართველო, რომელსაც ხელმძღვანელობს რისკების დირექტორი, რომელიც ამავე დროს არის დირექტორატის წევრი და საკრედიტო და აქტივ-პასივებისა და რისკების მართვის კომიტეტების თავმჯდომარის მოადგილე.

საკრედიტო რისკების მართვის ნაწილში შემუშავებულია ბანკის 2013 - 2014 წლების საკრედიტო პოლიტიკა და სხვა შესაბამისი საკრედიტო პროცედურები, რომლებიც არეგულირებენ კრედიტის გაცემის, ადმინისტრირების, მონიტორინგისა და კონტროლის პირობებს. მასში განსაზღვრულია თითოეული საკრედიტო პროდუქტის, გეოგრაფიული მდებარეობისა და ეკონომიკური საქმიანობის სფეროების მიხედვით საკრედიტო რისკის ლიმიტები, მათი მონიტორინგისა და ადმინისტრირების მექანიზმები, საკრედიტო რისკების გაანგარიშების საფუძვლები. კორპორატიული მსესხებლების რისკების შეფასებისათვის ბანკი იყენებს შიდა რეიტინგული შეფასების სისტემას, რომლის მეშვეობით ხდება მსესხებელთა რანგირება რისკის ჯგუფებად. აღნიშნული შეფასებები გამოყენებულია მსესხებლების დაკრედიტების ლიმიტების განსაზღვრისა და მათთან სხვა რისკის შემცველი ოპერაციების ჩატარებისათვის. ბანკში საკრედიტო რისკების მართვის ხარისხის ამაღლების მიზნით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში ფუნქციონირებს საკრედიტო კომიტეტი და აქტივ-პასივებისა და რისკების მართვის კომიტეტი. საკრედიტო კომიტეტი (სკ) ხელმძღვანელობს ბანკში საკრედიტო ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობას და საკრედიტო კომიტეტის ლიმიტების ფარგლებში საკრედიტო რისკების მიღებას. აქტივ-პასივებისა და რისკების მართვის კომიტეტი გადაწყვეტილებას იღებს ბანკებს შორის სახსრების განთავსებისა და სახსრების მოზიდვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელებაზე,

ფასწარმოქმნის საკითხებზე, კონვერსიული და სხვა ბანკთაშორისი ოპერაციების შესრულებაზე, აგრეთვე რისკების მართვის საკითხებზე (საკრედიტო რისკების გარდა). ბანკის საკრედიტო პორტფელის ლიმიტების სისტემა მოიცავს კონკრეტული კონტრაგენტებისთვის, ურთიერთდაკავშირებული კონტრაგენტთა ჯგუფებისათვის განსაზღვრულ, დიდ რისკებთან დაკავშირებულ ლიმიტებს, აგრეთვე სებ-ის ნორმატიული დოკუმენტებით და ბანკის მარეგლამენტირებელი დოკუმენტებით გათვალისწინებულ სხვა ლიმიტებს. კონტრაგენტთა რისკების შეფასება ხორციელდება ფინანსურ-ეკონომიკური ანალიზის ჩატარების, ბანკის მსესხებელთა და კონტრაგენტთა რეიტინგის სისტემის საფუძველზე. ხდება საკრედიტო პორტფელის დანაკარგების შეფასება, რეზერვების გაანგარიშება როგორც სებ-ის სტანდარტების, ისე ფასს-ის შესაბამისად. ფუნქციონირებს მონიტორინგისა და საკრედიტო რისკებისა და ანგარიშების კონტროლის სისტემა.

ლიკვიდობის რისკი ბანკში იმართება ლიკვიდობის პოლიტიკის, ლიკვიდობის მართვის დებულებისა და ლიკვიდობის მეთოდოლოგიის გამოყენებით. ლიკვიდობის უშუალო მართვას ახორციელებს ბანკის ხაზინა, ხოლო ინფორმაციულ-ანალიტიკური და მეთოდოლოგიურ უზრუნველყოფას ახდენს რისკების სამმართველო.

ლიკვიდობის რისკის შიდასაბანკო მარეგულირებელი დოკუმენტები განსაზღვრავენ ბანკის ლიკვიდობის რისკის შეფასების პარამეტრებსა და მახასიათებლებს, რომლის საფუძველზე ყოველდღიურად გაიანგარიშება ფულადი ნაკადების შემოდინებისა და გადინების ნაკადები, ლიკვიდური პოზიციის მდგომარეობა ვალუტების ჭრილში და შიდა ნორმატივების შესრულების მაჩვენებლები.

სავალუტო რისკის მიხედვით ბანკი ხელმძღვანელობს დირექტორატის მიერ დამტკიცებული სავალუტო ოპერაციების მართვის მარეგულირებელი ინსტრუქციებითა და პროცედურებით. სავალუტო რისკის მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურაა ხაზინა, რომელიც დადგენილი ლიმიტების ფარგლებში ახორციელებს სავალუტო პოზიციის მართვას და მონიტორინგს, ასევე ანგარიშების წარმოებას სავალუტო პოზიციის მიხედვით ყოველდღიურ რეჟიმში.

საპროცენტო რისკის მიხედვით ბანკის რისკი იმართება საპროცენტო რისკის პოლიტიკისა და სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების საფუძველზე. საპროცენტო რისკის მართვის მიზნით მეთაური ბანკთან კოორდინაციითა და რესურსული ბაზის გამოყენებით ყოველკვარტალურად გაიანგარიშება საპროცენტო რისკის ლიმიტები და რისკს დაქვემდებარებული ღირებულების ოდენობა (VaR), საპროცენტო რისკის ქვეშ არსებული კაპიტალის ოდენობა და საპროცენტო პოზიციის სხვა ინდიკატორები და მახასიათებლები.

ოპერაციული რისკის მართვის ნაწილში დამტკიცებულია ოპერაციული რისკების პოლიტიკა, დებულება და შიდა სტატისტიკური ანგარიშების ინსტრუქცია.

ოპერაციული რისკების მართვა ხდება პროდუქტების, ოპერაციებისა და პროცესების ჭრილში შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ. ეს პროცესი მოიცავს ოპერაციული რისკების იდენტიფიცირების, შეფასების, მონიტორინგის/კონტროლის ეტაპებს. რისკის შემცველი შემთხვევების გამოვლენის მიზნით განსაზღვრულია პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული, შექმნილია ოპერაციული შემთხვევების ბაზა და პერიოდულად ხორციელდება ამ შემთხვევების ანალიზი და წარმოებს ყოველთვიური ანგარიშგება.

9. გამოშვებული აქციების კლასი და რაოდენობა.

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ აქციონერის – საჯარო სააქციო საზოგადოება „ბანკ ვეტებს“ 2015 წლის 13 ოქტომბრის ერთპიროვნული გადაწყვეტილების თანახმად დადგინდა, რომ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მიერ განხორციელდეს 20 000 000 (ოცი მილიონი) ცალი ჩვეულებრივი აქციის საჯარო შეთავაზება.

თითოეული გამოშვებული აქციის პირველადი ფასი, რომელზე ნაკლებადაც დაუშვებელია წინამდებარე ემისიის პროსპექტის საფუძველზე გამოშვებულ აქციათა გასხვისება (ნომინალური ღირებულება), შეადგენს 1 (ერთ) ლარს. აქციის კლასი არის ჩვეულებრივი, რომელიც თავის მფლობელს უფლებას ანიჭებს მიიღოს დივიდენდი ემიტენტის მოგებიდან და გამოიყენოს ხმის უფლება აქციონერთა საერთო კრებაზე.

წინამდებარე ემისიის პროსპექტით არ ხდება აქციათა მფლობელთა სახელით აქციათა შეთავაზება.

10. გამოშვებულ აქციებზე საკუთრების უფლების შეძენა.

ბანკის მიერ აქციათა ყოველი ახალი ემისიისას, ემიტირებულ აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლება აქვთ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას აქციონერებს“. ბანკის მიერ წინამდებარე ემისიის პროსპექტის საფუძველზე გამოშვებული აქციების, ნომინალური ღირებულებით, უპირატესი შესყიდვის უფლება აქვთ ბანკის აქციონერებს, ემისიის პროსპექტის დამტკიცების თარიღისათვის მათ საკუთრებაში არსებულ აქციათა რაოდენობის პროპორციულად. აქციონერთა მიერ აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლების რეალიზაციისათვის დაწესებული ვადა შეადგენს ემისიის პროსპექტის გამოქვეყნების დღიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეს.

ემისიის პროსპექტის გამოქვეყნება განხორციელდება შემდეგი წესით: საბოლოო ემისიის პროსპექტი განთავსებული იქნება სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ ვებ გვერდზე (www.vtb.ge).

ემისიის პროსპექტის გამოქვეყნებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ განთავსებული იქნება განცხადება, რომელშიც აღნიშნული იქნება: ემისიის პროსპექტის დამტკიცების შესახებ, ემიტირებული აქციების საერთო რაოდენობა, ბანკის აქციონერთა მიერ აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლებით სარგებლობის საბოლოო ვადა, აქციონერებისადმი შეთავაზება განახორციელონ აქციათა ღირებულების გადახდა, კაპიტალში აქციონერის წილის პროპორციულად, ემისიის პროსპექტის გამოქვეყნებიდან 10

(ათი) კალენდარული დღის განმავლობაში, რეკვიზიტები რომლებზეც უნდა განხორციელდეს აქციონერთა მიერ აქციათა ღირებულების გადახდა და ასევე ინფორმაცია თუ სად შეიძლება ემისიის პროსპექტის გაცნობა. ამავე დროს, ბანკის კაპიტალის 1%-ზე მეტის მფლობელ აქციონერებს ეგზავნებათ წერილობითი შეტყობინება, რომელშიც გარდა ზემოაღნიშნული მონაცემებისა დამატებით მითითებული იქნება აქციონერის წილი ბანკის კაპიტალში.

აქციონერის მიერ, რომელიც ფლობს აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლებას, ბანკის კაპიტალში შენატანის განუხორციელებლობის შემთხვევაში, ითვლება, რომ ასეთმა აქციონერმა უარი განაცხადა ემიტირებული აქციების უპირატესი შესყიდვის უფლებაზე. განუთავსებელი აქციების (შემდგომ “დარჩენილი აქციები”), ნომინალური ღირებულებით, შესყიდვის უფლება აქვთ იმ აქციონერებს, რომლებმაც ემისიის პროსპექტის გამოქვეყნებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში განახორციელეს ბანკის კაპიტალში შენატანის შეტანა (შემდგომ “დადგენილ ვადაში განახორციელეს უპირატესი უფლების რეალიზაცია”). აქციონერებს, რომლებმაც დადგენილ ვადაში განახორციელეს უპირატესი უფლების რეალიზაცია, უფლება აქვთ სრულად შეიძინონ დარჩენილი აქციები ბანკის კაპიტალში კუთვნილი აქციების რაოდენობის პროპორციულად, იმ აქციონერთა აქციათა გაუთვალისწინებლად, რომლებმაც უარი განაცხადეს ემიტირებული აქციების უპირატესი შესყიდვის უფლებაზე.

იმ შემთხვევაში თუკი აქციონერი, რომელმაც დადგენილ ვადაში განახორციელა უპირატესი უფლების რეალიზაცია, გამოხატავს ნებას დარჩენილი აქციები შეიძინოს უფრო ნაკლები რაოდენობით ვიდრე მას ეკუთვნის დარჩენილი აქციების საერთო რაოდენობაში, მაშინ აქციების უფრო მეტი რაოდენობით შეძენის უფლება აქვს იმ აქციონერებს, რომელმაც გამოხატეს დარჩენილი აქციების შეძენის სურვილი.

თუ აქციონერთაგან, რომლებმაც დადგენილ ვადაში განახორციელეს უპირატესი უფლების რეალიზაცია, ყველამ გარდა ერთისა არ გამოხატა ნება დარჩენილი აქციების შეძენაზე, მაშინ ყველა დარჩენილი აქციების შეძენის უფლება აქვს იმ აქციონერს, რომელმაც გამოხატა სურვილი დარჩენილი აქციების შეძენაზე.

ემიტირებული აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების რეალიზაციის ვადის ამოწურვიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში, აქციონერებს რომლებმაც დადგენილ ვადაში განახორციელეს უპირატესი უფლების რეალიზაცია ეგზავნებათ წერილობითი წინადადება მიიღონ მონაწილეობა დარჩენილი აქციების შეძენაში, სადაც მიეთითება დარჩენილი აქციების რაოდენობა და მათი შეძენის ვადა.

აქციონერებს, რომლებმაც დადგენილ ვადაში განახორციელეს უპირატესი უფლების რეალიზაცია და შეიტანეს შენატანები ბანკის კაპიტალში, დარჩენილი აქციების შეძენაზე ბანკში განაცხადის წარდგენის უფლება აქვთ ბანკის მიერ დარჩენილი აქციების შეძენაზე წერილობითი წინადადების გაგზავნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში (არა უგვიანეს აღნიშნული ვადის ბოლო დღის 18:00 სთ. თბილისის დროით). განაცხადი ბანკში შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას ფოსტის, კურიერის, ელ.ფოსტის, ან ფაქსის მეშვეობით.

განაცხადის წარდგენის ვადის ამოწურვიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში ბანკი აჯამებს მიღებულ განაცხადებს და აქციონერებს, რომლებმაც დადგენილ ვადაში განახორციელეს უპირატესი უფლების რეალიზაცია და ბანკში წარმოადგინეს განაცხადი დარჩენილი აქციების შეძენაზე, ფოსტის, კურიერის, ელ.ფოსტის, ან ფაქსის მეშვეობით უგზავნის შეტყობინებას, იმ აქციათა რაოდენობის მითითებით, რომლებიც შეიძლება რეალიზებულ იქნას ასეთ აქციონერებზე.

აქციონერებს, რომლებმაც დადგენილ ვადაში განახორციელეს უპირატესი უფლების რეალიზაცია და გამოთქვეს დარჩენილი აქციების შეძენის სურვილი, უფლება აქვთ ბანკის მიერ შეტყობინების გაგზავნიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში განახორციელონ აქციათა ღირებულების გადახდა.

თუკი ზემოაღნიშნული წესითა და ვადებში დარჩენილი აქციები სრულად არ იქნება განთავსებული, მაშინ ბანკის დირექტორატი უფლებამოსილია 4 (ოთხი) სამუშაო დღის განმავლობაში განახორციელოს დარჩენილი აქციების განთავსება ნებისმიერ პირებს შორის, რომლებიც გამოხატავენ ნებას მათი შეძენისა.

ემიტენტის მიერ შეთავაზებულ საჯარო ფასიან ქაღალდებზე გარიგებები დაიდება საფონდო ბირჟის გარეთ.

აქციათა ღირებულების გადახდა ხორციელდება ეროვნული ვალუტაში, ლარში, ფულადი სახსრების უნაღდო ანგარიშსწორებით გადარიცხვის გზით, შემდეგ რეკვიზიტებზე: JSC VTB Bank (Georgia) SWIFT: UGEBGE22. IBAN: GE17VT0100000009444501.

ემიტენტი წარუდგენს ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელ რეგისტრატორს სს „კავკასიურესტრ“ შესაბამის დოკუმენტაციას აქციათა მფლობელების შესახებ. საკუთრების უფლება ბანკის მიერ დამატებით გამოშვებულ აქციებზე წარმოიშობა მას შემდეგ, რაც სრულად იქნება გადახდილი შეძენილი აქციების და რეგისტრატორის (სს „კავკასიურესტრი“) მომსახურების ღირებულება, დაკავშირებული შეძენილი აქციების რეესტრში ასახვასთან.

11. აქციათა განთავსების შედეგად მიღებული შემოსავლების გამოყენება.

ბანკი აქციათა განთავსებით მიღებულ სახსრებს გამოიყენებს საკრედიტო დაბანდების გაზრდისათვის და ბანკისათვის კანონმდებლობით დადგენილი ნორმატივების დასაცავად.

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ვ. ტიტოვი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“

გენერალური დირექტორი

ა. კონცელიძე



A handwritten signature in black ink, consisting of a loop followed by a horizontal stroke and a vertical stroke.

11.2.2023


13.03.2023

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი



14726976883715

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

სს "ვითიბი ბანკი ჯორჯიას" აქციონერის გადანაცვეტილება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N151129893



რეგისტრაციის თარიღი

13.10.2015 წ

ნოტარიუსი: ნარგიზა ჯანხოთელი

მისამართი: თბილისი რუსთაველის გამზ. 18

ტელეფონი: 032 2 990506

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ აქციონერის, საჯარო სააქციო საზოგადოება „ბანკ
ვეტებს“ გადაწყვეტილება № 1

2015 წლის 13 ოქტომბერს სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 202906427) კაპიტალში აქციათა 96.808396 %-ის მფლობელმა აქციონერმა – საჯარო სააქციო საზოგადოებამ „ბანკ ვეტებმა“ (იურიდიული მისამართი: 190000 ქალაქი სანქტ-პეტერბურგი, ბოლშაია მორსკაიას ქუჩა, სახლი 29, გადასახადის გადამხდელის ინდივიდუალური ნომერი: 7702070139) – წარმომადგენელი დმიტრი ოლეგის ძე სმირნოვის (დაბადებული 05.07.1980 წელს) მიერ, მიიღო გადაწყვეტილება დღის წესრიგის შემდეგ საკითხებზე:

დღის წესრიგი:

1. სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ კაპიტალის გაზრდა დამატებითი აქციების გამოშვების გზით.

დადგენილება:

- 1.1 სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ კაპიტალის გაზრდის მიზნით განხორციელდეს 20 000 000 (ოცი მილიონი) დამატებითი ჩვეულებრივი აქციის გამოშვება, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამტკიცებული ემისიის პროსპექტის საფუძველზე, ნომინალური ღირებულებით – თითოეული 1 (ერთი) ლარი.
- 1.2 დაევალოს ბანკის დირექტორატს წინამდებარე გადაწყვეტილებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში მოამზადოს ემისიის პროსპექტი და დასამტკიცებლად წარუდგინოს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს.
- 1.3 დამატებით გამოშვებული ბანკის აქციების ნომინალური ღირებულებით უპირატესი შესყიდვის უფლება მიენიჭოს ბანკის აქციონერებს ემისიის პროსპექტის დამტკიცების თარიღისათვის მათ საკუთრებაში არსებული აქციების რაოდენობის პროპორციულად.
- 1.4 დადგინდეს ვადა ბანკის აქციონერების მიერ ბანკის დამატებით გამოშვებული აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების გამოსაყენებლად 10 (ათი) კალენდარული დღე ემისიის პროსპექტის გამოქვეყნების დღიდან. დამტკიცებული ემისიის პროსპექტი გამოქვეყნებულ (განთავსებულ) იქნას სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ საიტზე (www.vtb.ge) უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცებიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

1.5 ბანკის აქციონერების მიერ ბანკის დამატებით გამოშვებული აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების განსახორციელებლად ანუ, კაპიტალში შესაბამისი შენატანების განსახორციელებლად ბანკის დირექტორატს, ემისიის პროსპექტის გამოქვეყნებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში, უფლებამოსილება მიენიჭოს:

1.5.1 ბანკის კაპიტალის 1%-ზე მეტის მფლობელ აქციონერებს გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება ემისიის პროსპექტის დამტკიცების შესახებ. ამგვარი შეტყობინება უნდა შეიცავდეს: ცნობებს ბანკის დამატებით გამოშვებული აქციების საერთო რაოდენობის, აქციონერის წილის ოდენობის, დამატებით გამოშვებული ბანკის აქციების აქციონერის მიერ უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების ვადის დასრულების თარიღის შესახებ, შეთავაზებას დამატებით გამოშვებული აქციების საფასურის გადახდის შესახებ აქციონერის წილის პროპორციულად ემისიის პროსპექტის გამოქვეყნებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში, რეკვიზიტებს ამგვარი გადახდის განსახორციელებლად, ინფორმაციას თუ როგორ შეუძლიათ აქციონერებს ემისიის პროსპექტის გაცნობა, აგრეთვე მისამართს, სადაც შესაძლებელი იქნება მისი გაცნობა.

1.5.2 გამოაქვეყნოს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ განცხადება, რომელიც შეიცავს ცნობებს ემისიის პროსპექტის დამტკიცების, ბანკის დამატებით გამოშვებული აქციების საერთო რაოდენობის, დამატებით გამოშვებული ბანკის აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების აქციონერის მიერ გამოყენების ვადის დასრულების თარიღის შესახებ, შეთავაზებას დამატებით გამოშვებული აქციების საფასურის გადახდის შესახებ აქციონერის წილის პროპორციულად ემისიის პროსპექტის გამოქვეყნებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში, რეკვიზიტებს ამგვარი გადახდის განსახორციელებლად, ინფორმაციას თუ როგორ შეუძლიათ აქციონერებს ემისიის პროსპექტის გაცნობა, აგრეთვე მისამართს, სადაც შესაძლებელი იქნება მისი გაცნობა.

1.6 დადგინდეს ბანკის აქციონერებისთვის განსათავსებელი აქციების ღირებულების გადახდის შემდეგი ფორმა: აქციათა ღირებულების გადახდა ხორციელდება ეროვნული, ვალუტაში, ლარში, ფულადი სახსრების უნაღდო ანგარიშსწორებით გადარიცხვის გზით, შემდეგ რეკვიზიტებზე: JSC VTB Bank (Georgia) SWIFT: UGEBGE22 IBAN: GE17VT010000009444501.

1.7 თუ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე აქციონერების მიერ არ განხორციელდება კაპიტალში შენატანების განხორციელება, ჩაითვლება, რომ ისინი ბანკის დამატებით გამოშვებული აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებაზე უარს აცხადებენ. განუთავსებელი აქციების (შემდგომ-დარჩენილი აქციები) შეძენის უფლება მათი ნომინალური ღირებულებით ენიჭებათ ბანკის აქციონერებს, რომელთაც ემისიის

პროსპექტის გამოქვეყნებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში განახორციელეს შენატანის შეტანა ბანკის კაპიტალში (შემდგომ – „დადგენილ ვადაში განახორციელეს უპირატესი უფლების რეალიზაცია“).

ბანკის აქციონერებს, რომელთაც დადგენილ ვადაში განახორციელეს უპირატესი უფლების რეალიზაცია, უფლება აქვთ სრულად შეიძინონ დარჩენილი აქციები ბანკის კაპიტალში მათი კუთვნილი აქციების რაოდენობის პროპორციულად ბანკის იმ აქციონერების აქციების გათვალისწინების გარეშე, რომელთაც უარი განაცხადეს დამატებით გამოშვებული აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებაზე.

იმ შემთხვევაში თუკი აქციონერი, რომელმაც დადგენილ ვადაში განახორციელა უპირატესი უფლების რეალიზაცია გამოხატავს ნებას შეიძინოს დარჩენილი აქციები უფრო ნაკლები რაოდენობით ვიდრე მას ეკუთვნის დარჩენილი აქციების საერთო რაოდენობაში, მეტი რაოდენობის აქციის შეძენის უფლება მიენიჭება იმ აქციონერებს, რომელთაც გამოხატეს დარჩენილი აქციების შეძენის სურვილი.

თუკი აქციონერთაგან, რომელთაც დადგენილ ვადაში განახორციელეს უპირატესი უფლების რეალიზაცია, ყველამ გარდა ერთისა არ გამოხატა ნება დარჩენილი აქციების შეძენაზე, მაშინ ყველა დარჩენილი აქციების შეძენის უფლება აქვს იმ აქციონერს, რომელმაც გამოხატა სურვილი დარჩენილი აქციების შეძენაზე.

- 1.8 უფლებამოსილება მიენიჭოს ბანკის დირექტორატს აქციონერების მიერ ბანკის დამატებით გამოშვებული აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებისათვის დადგენილ ვადის ამოწურვიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში, გაუგზავნოს წერილობითი წინადადება ბანკის აქციონერებს, რომელთაც დადგენილ ვადაში განახორციელეს უპირატესი უფლების რეალიზაცია, ბანკის დარჩენილი აქციების შეძენაში მონაწილეობის მიღების შესახებ, ბანკის დარჩენილი აქციების რაოდენობის და მათი შეძენის ვადის მითითებით.
- 1.9 განაცხადები ბანკის აქციონერებისგან, რომელთაც დადგენილ ვადაში განახორციელეს უპირატესი უფლების რეალიზაცია და ბანკის კაპიტალში განახორციელეს შენატანი, შეიძლება წარდგენილ იქნეს ბანკში ფოსტის, კურიერის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის საშუალებით ბანკის მიერ დარჩენილი აქციების შეძენაზე წერილობითი წინადადების გაგზავნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში (არა უგვიანეს აღნიშნული ვადის ბოლო დღის 18:00 სთ. თბილისის დროით).
- 1.10 ბანკის დირექტორატი დარჩენილი აქციების შეძენის შესახებ განაცხადების წარდგენის დადგენილ ვადის ამოწურვიდან 2 (ორი) სამუშაო დღის

განმავლობაში აჯამებს მიღებული განაცხადების შედეგებს და ბანკის აქციონერებს, რომელთაც დადგენილ ვადაში განახორციელეს უპირატესი უფლების რეალიზაცია და ბანკში წარადგინეს განაცხადები დარჩენილი აქციების შეძენის თაობაზე, უზავნის შეტყობინებას იმ აქციების რაოდენობის მითითებით, რომლებიც შესაძლებელია რეალიზებული იქნეს ამგვარი აქციონერებზე. ბანკის დირექტორატი აქციონერებს შეტყობინებას უზავნის ფოსტის, კურიერის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის საშუალებით.

- 1.11 ბანკის იმ აქციონერებს, რომელთაც დადგენილ ვადაში განახორციელეს უპირატესი უფლების რეალიზაცია და გამოთქვეს სურვილი ბანკის დარჩენილი აქციების შეძენაზე, უფლება აქვთ განახორციელონ აქციათა ღირებულების გადახდა ბანკის მიერ წინამდებარე გადაწყვეტილების 1.10 პუნქტში აღნიშნული შეტყობინების აქციონერებისათვის გაგზავნიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში
- 1.12 იმ შემთხვევაში, როდესაც დარჩენილი აქციები სრულად არ იქნება განთავსებული ბანკის აქციონერებს შორის, წინამდებარე გადაწყვეტილების 1.7 - 1.11 პუნქტებით დადგენილი ვადისა და წესის შესაბამისად, დირექტორატი უფლებამოსილია დარჩენილი აქციების განთავსება განახორციელოს 4 (ოთხი) სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერ პირებს შორის, რომლებიც გამოხატავენ მათი შეძენის სურვილს.

2. სს "ვითიბი ბანკ ჯორჯიას" წესდების 3.1 პუნქტში ცვლილების შეტანის შესახებ.

- 2.1 უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამტკიცებული ემისიის პროსპექტის საფუძველზე ფასიანი ქაღალდების რეესტრში ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ შესაბამისი ცვლილების შეტანის დღიდან სს "ვითიბი ბანკ ჯორჯიას" წესდების 3.1 პუნქტი ჩაითვალოს შეცვლილად შემდეგი რედაქციით:

„3.1 ბანკის კაპიტალი დაყოფილია 191 292 701 (ას ოთხმოცდათერთმეტი მილიონ ორას ოთხმოცდათორმეტი ათას შვიდას ერთი) ჩვეულებრივ აქციად. თითოეული ნომინალური ღირებულებით – 1 (ერთი) ლარი.“

აქციონერი

სააქციო

დირექტორი

აქციონერის წარმომადგენელი

დირექტორი

ნოტარიუსი



ნ. ჯანხოთელი

Решения Акционера АО «Банк ВТБ (Грузия)» - Банк ВТБ (ПАО) № 1

13 октября 2015 года акционер – владелец 96.808396 % акций в капитале АО «Банк ВТБ (Грузия)» (идентификационный код 202906427) - Банк ВТБ (ПАО) (юридический адрес: 190000 город Санкт-Петербург, улица Большая морская, дом 29, ИНН 7702070139) – представленный в лице Смирнова Дмитрия Олеговича (05.07.1980 года рождения), принял решения по следующим вопросам повестки дня:

Вопрос 1. Об увеличении капитала АО «Банк ВТБ (Грузия)» путем выпуска дополнительных акций.
Решение:

- 1.1. С целью увеличения капитала АО «Банк ВТБ (Грузия)» осуществить выпуск 20 000 000 (двадцать миллионов) штук дополнительных обыкновенных акций АО «Банк ВТБ (Грузия)» на основании Проспекта эмиссии, утверждаемого уполномоченным государственным органом, по их номинальной стоимости – 1 (один) грузинский лари каждая.
- 1.2. Поручить Директорату Банка в течение 3 (три) рабочих дней с даты настоящего решения подготовить соответствующий Проспект эмиссии и предоставить его для утверждения в уполномоченный государственный орган.
- 1.3. Преимущественное право на приобретение дополнительно выпускаемых акций Банка по их номинальной стоимости предоставляется существующим акционерам Банка пропорционально количеству акций Банка, принадлежащих им на дату утверждения Проспекта эмиссии.
- 1.4. Установить срок для реализации акционерами Банка своего преимущественного права на приобретение акций Банка дополнительного выпуска 10 (десять) календарных дней со дня опубликования Проспекта эмиссии. Утвержденный проспект эмиссии опубликовать (разместить) на сайте АО «Банк ВТБ (Грузия)» (www.vtb.ge) в течении одного рабочего дня с даты утверждения уполномоченным государственным органом Проспекта эмиссии.
- 1.5. Для осуществления акционерами Банка права на преимущественное приобретение акций Банка дополнительного выпуска, т.е. внесения соответствующих взносов в капитал, уполномочить Директорат Банка в течение 2 (два) рабочих дней, следующих за днем опубликования Проспекта эмиссии:
 - 1.5.1 Направить акционерам Банка – владельцам более 1% капитала Банка письменное уведомление об утверждении Проспекта эмиссии. Такое уведомление должно содержать сведения об общем размере дополнительного выпуска акций Банка, размере доли акционера, дате окончания срока реализации акционерами своего преимущественного права на приобретение акций Банка дополнительного выпуска, предложение осуществить оплату акций дополнительного выпуска пропорционально доле акционера Банка в течение 10 (десять) календарных дней со дня опубликования Проспекта эмиссии и реквизиты для осуществления такого платежа, а также информацию о порядке ознакомления акционеров с Проспектом эмиссии и адрес, по которому с ним можно ознакомиться.
 - 1.5.2 Опубликовать сообщение в ЮЛПП «Сакартвелос Саканонмдебло Мацне», содержащее: сведения об утверждении Проспекта эмиссии, общем размере дополнительного выпуска акций Банка, дате окончания срока реализации акционерами своего преимущественного права на приобретение акций Банка дополнительного выпуска, предложение осуществить оплату акций дополнительного выпуска пропорционально доле акционера Банка в течение 10 (десять) календарных дней со дня опубликования Проспекта эмиссии, реквизиты для осуществления такого платежа, а также

информацию о порядке ознакомления акционеров с Проспектом эмиссии и адрес, по которому с ним можно ознакомиться.

- 1.6 Установить следующую форму оплаты акционерами Банка размещаемых акций: оплата производится денежными средствами путем безналичного перечисления в грузинских лари - JSC VTB Bank (Georgia) SWIFT: UGEBGE22 IBAN: GE17VT0100000009444501.

- 1.7 В случае не внесения взносов в капитал акционерами Банка, обладающими правом на преимущественное приобретение акций, такие акционеры считаются отказавшимися от реализации преимущественного права на приобретение дополнительно выпускаемых акций Банка. Право на приобретение нераспределенных (неоплаченных) акций (далее – Оставшиеся акции) по их номинальной стоимости предоставляется акционерам Банка, которые в течение 10 (десять) календарных дней со дня опубликования Проспекта эмиссии осуществили взносы в капитал Банка (далее - «реализовали в установленный срок преимущественное право»).

Акционеры Банка, которые реализовали в установленный срок преимущественное право, имеют право полностью приобрести Оставшиеся акции в количестве, пропорциональном количеству принадлежащих им акций в капитале Банка без учета акций акционеров Банка, отказавшихся от реализации преимущественного права приобретения дополнительно выпускаемых акций.

Если кто-либо из акционеров Банка, реализовавших в установленный срок преимущественное право, выражает свое согласие приобрести Оставшиеся акции в количестве меньшем, чем ему причитается в общем количестве Оставшихся акций, право на приобретение акций в большем количестве, имеют акционеры, выразившие желание приобрести Оставшиеся акции.

В случае если все акционеры, которые реализовали в установленный срок преимущественное право, за исключением одного, не выразили согласия на приобретение Оставшихся акций, право на приобретение всех оставшихся акции имеет акционер, выразивший свое согласие приобрести Оставшиеся акции.

- 1.8 Уполномочить Директорат Банка в течение 2 (два) рабочих дней со дня истечения срока для использования акционерами преимущественного права на приобретение акций Банка дополнительного выпуска, направить тем акционерам Банка, которые реализовали в установленный срок преимущественное право, письменное предложение принять участие в приобретении Оставшихся акций Банка с указанием количества Оставшихся акций Банка и срока для приобретения Оставшихся акций.
- 1.9 Заявки от акционеров Банка, которые реализовали в установленный срок преимущественное право и осуществили взносы в капитал Банка, могут быть направлены в Банк по почте, нарочным, электронной почте или факсимильной связью в течение 3 (три) рабочих дней со дня направления Банком письменного предложения о приобретении Оставшихся акций Банка (не позднее 18:00 по Тбилисскому времени последнего дня указанного срока).
- 1.10 Директорат Банка в течение 2 (два) рабочих дней со дня истечения срока установленного для направления заявок на участие в приобретении Оставшихся акций, подводит итоги полученных заявок и направляет в адрес акционеров Банка, которые реализовали в установленный срок преимущественное право и подали в Банк заявки на участие в приобретении Оставшихся акций, уведомление с указанием количества акций, которые могут быть реализованы таким акционерам. Уведомление направляется Директоратом Банка акционерам по почте, нарочным, электронной почте или факсимильной связью.
- 1.11 Акционеры Банка, реализовавшие в установленный срок преимущественное право, и желающие приобрести Оставшиеся акции Банка, имеют право осуществить их оплату в течение 10 (десять) календарных дней со дня направления Банком акционерам уведомления, указанного в пункте 1.10. настоящего решения.
- 1.12 В случае если Оставшиеся акции не будут полностью размещены среди акционеров Банка в срок и в порядке согласно пунктам 1.7. -1.11. настоящего решения, Директорат Банка уполномочен в

течение 4 (четыре) рабочих дней осуществить размещение Оставшихся акций среди любых лиц, выразивших на это желание.

Вопрос 2. О внесении изменения в пункт 3.1 Устава АО «Банк ВТБ (Грузия)».

Решение:

2.1 Со дня внесения регистратором ценных бумаг соответствующих изменений в реестр ценных бумаг на основании утвержденного уполномоченным государственным органом Проспекта эмиссии, считать пункт 3.1 Устава АО «Банк ВТБ (Грузия)» измененным и изложенным в следующей редакции:

«3.1. Капитал банка разделен на 191 292 701 (Сто девяносто один миллион двести девяносто две тысячи семьсот один) обыкновенную акцию номинальной стоимостью 1 (один) грузинский лари каждая».

Акционер

Смирнов Дмитрий Алексович

Представитель акционера

[Подпись]

Нотариус



Наргиза Джанхотели

საქართველო
სანოტარო აქტი

ბილისი, ორი ათას თხუთმეტი წლის ცამეტი ოქტომბერი.

ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. N18, 2015 წლის 13 ოქტომბერს დავესწარი სს „ვითიზი ბანკ ჯორჯიას“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 202906427) კაპიტალში აქციათა 96.808396 %-ის მფლობელი აქციონერის – სსს „ბანკ ვეტებს“ (იურიდიული მისამართი: 190000 ქალაქი სანქტ-პეტერბურგი, ბოლშაია მორსკაიას ქუჩა, სახლი 29, გადასახადის გადამხდელის ინდივიდუალური ნომერი: 7702070139) მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურას და შევადგინე წინამდებარე გადაწყვეტილება. სსს „ბანკი ვეტებს“ წარმოდგენილი იყო დიმიტრი ოლეგის ძე სმირნოვის (დაბადებული 05.07.1980 წელს, მცხოვრები რფ, მოსკოვის ოლქი, ქალაქი ოდინცოვო, მარშალ ჟუკოვის ქუჩა, სახლი 2, ბინა 31, პასპორტი 75 1465357, გაცემული 22.05.2015 წელს) სახით, მინდობილობის საფუძველზე, რომლის რეკვიზიტებია: N350000/2339-დ, რეესტრში რეგისტრაციის N 2-3542, თარიღი 09.10.2015 წელი, დამოწმებული ქალაქ მოსკოვის ნოტარიუსის – რ.გ.რიაზოვის მიერ. დიმიტრი ოლეგის ძე სმირნოვი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები. აქციონერის მიერ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მისამართზე: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. № 14. გადაწყვეტილების მიღების პროცედურა დაიწყო 10.40 სთ-ზე და დამთავრდა 11.30 სთ-ზე. გადაწყვეტილება შედგენილია, დარეგისტრირებულია ელექტრონულ სანოტარო რეესტრში და გაცემულია იმავე დღეს.

გადახდილია სანოტარო საზღაური „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის N507 დადგენილების 21-ე მუხლის თანახმად 250 ლარი, აგრეთვე დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად 45 ლარი, ასევე ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, ზემოთ მითითებული დადგენილების 39-ე მუხლის თანახმად 2 ლარი სულ 297 ლარი.

ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი



Грузия
Нотариальный акт

Город Тбилиси, тринадцатое октября две тысячи пятнадцатого года.

Я, нотариус Наргиза Джанхотели, бюро которой расположено по адресу г.Тбилиси, проспект Руставели №18, тринадцатого октября две тысячи пятнадцатого года присутствовала при процедуре принятия решения Банк ВТБ (ПАО) (юридический адрес: 190000 город Санкт-Петербург, улица Большая Морская, дом 29, ИНН 7702070139) – акционером владельцем 96.808396% акции в капитале АО «Банк ВТБ (Грузия)» (идентификационный код 202906427) и составила данное решение. Банк ВТБ (ПАО) был представлен в лице Сминнова Дмитрия Олеговича (05.07.1980 года рождения, проживающий по адресу: РФ, Московская Область, город Одинцово, улица М.Жукова, дом № 2, квартира № 31, паспорт гражданина РФ 75 1465357, выдан 22.05.2015 года) на основании доверенности № 350000/2339-Д, регистрационный № 2-3542, дата 09.10.2015 года, заверенная нотариусом г.Москвы Рябовым Р.В. Смирнов Дмитрий Олегович уполномочен принимать решения. Принятие акционером решения состоялось по адресу: г.Тбилиси, ул.Чантурия №14. Процедура принятия решения началась в 10.45 ч. и закончилась в 11.30 ч. Решение составлено, зарегистрировано в электронном нотариальном реестре в тот же день. Уплачена нотариальная пошлина в соответствии со ст.21 постановления Правительства Грузии № 507 от 29.12.2011 года «О пошлинах за совершение нотариального действия, размере установленных для Нотариальной Палаты Грузии налогов, порядке их взыскания и утверждении сроков обслуживания» 250 лари, НДС в соответствии со ст. 169 налогового кодекса Грузии 45 лари, а также 2 лари регистрационный сбор в соответствии со ст. 39 вышеуказанного постановления, всего 297 лари.



Нотариус Джанхотели Н.



საგადახდო დავალება
Payment Order

N 1

თარიღი/Date 15/10/2015

გადამხდელი/Payer სს"ვითიბი ბანკი ჯორჯია", 202906427

გადამხდელის ანგარიში/Payer's Account	GE45VT0100000046714501
გადამხდელის ბანკი/Payer's Bank	სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ბანკის კოდი/Bank Code	UGEBGE22
ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა Information about the person on behalf of which the payment is carried out	
დასახელება/Denomination	სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"
საიდენტიფიკაციო კოდი/Identification Code	202906427

მიმღები/Receiver	ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილისი)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	177,862	-	-	-	-	-	-	177,862
მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	8,323	6,699	7,403	8,059	19,557	-	-	50,041
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	29,118	51,638	59,771	87,007	248,395	2,244	-	478,173
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	27,807	20,960	4,849	-	-	54	53,670
- გასაყიდად არსებული სხვა აქტივები	6,086	30	13	3	1	-	-	6,133
სულ	221,389	86,174	88,147	99,918	267,953	2,244	54	765,879
ფინანსური ვალდებულებები								
ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	36,783	2,666	-	28,458	23,614	-	-	91,521
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	102,177	69,159	77,298	35,749	235,770	-	-	520,152
სხვა ნასესხები სახსრები	11,985	438	8,176	7,848	63,261	-	-	91,708
სუბორდინირებული ვალი	241	-	-	-	20,836	-	-	21,077
სხვა ვალდებულებები	7,686	3,829	242	3,214	33	-	-	15,004
სულ	158,872	76,092	85,716	75,269	343,514	-	-	739,462
წმინდა კუმულაციური ვადიანობის გეპი	62,517	10,083	2,431	24,649	(75,561)	2,244	54	26,418
	62,517	72,600	75,032	99,681	24,120	26,364	26,418	-

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ 2013 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

24. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი (გაგრძელება)

	2012							
	მოთხოვ- ნამდე და 1 თვემდე	1 თვიდან 3 თვემდე	3 თვიდან 6 თვემდე	6 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტ	ვადაგადა- ცილებული	გაურკვევე- ლი ვადის	სულ
ფინანსური აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	90,668	-	-	-	-	-	-	90,668
მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	6,082	4,973	6,717	4,882	11,001	-	-	33,655
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	22,004	43,206	48,744	56,248	171,578	3,408	-	345,188
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები								
- გასაყიდად არსებული	10,470	-	1,027	-	-	-	54	11,551
სხვა აქტივები	95	473	25	1	-	-	-	594
სულ	129,319	48,652	56,513	61,131	182,579	3,408	54	481,656
ფინანსური ვალდებულებები								
ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	11,205	18,311	4,970	-	25,016	-	-	59,502
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	55,432	27,446	50,785	30,072	129,404	-	-	293,139
სხვა ნასესხები სახსრები	13,468	317	1,098	8,846	69,156	-	-	92,885
სუბორდინირებული ვალი	247	-	-	-	19,880	-	-	20,127
სხვა ვალდებულებები	1,358	3,122	180	2,877	17	-	-	7,554
სულ	81,710	49,196	57,033	41,795	243,473	-	-	473,207
წმინდა	47,609	(544)	(520)	19,336	(60,894)	3,408	54	8,449
კუმულაციური ვადიანობის გეპი	47,609	47,065	46,545	65,881	4,987	8,395	8,449	-

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „მშობელი ბანკისგან“ მიღებულმა დაფინანსებამ 129,399 ლარი შეადგინა (2012 წ.: 131,770 ლარი). ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ დაფინანსების ასეთ დონეს „ჯგუფი“ შეინარჩუნებს ახლო მომავალში, ხოლო თანხების განადგურების შემთხვევაში კი „ბანკი“ მიიღებს წინასწარ შეტყობინებას ისე, რომ მოახერხოს ლიკვიდური აქტივების რეალიზაცია და უზრუნველყოს გადახდა. იხილეთ 25-ე შენიშვნა.

გრძელვადიანი სესხები ძირითადად არ არის ხელმისაწვდომი საქართველოში. თუმცა საქართველოს ბაზარზე ბევრი მოკლევადიანი კრედიტი გაიცემა იმ მოლოდინით, რომ მათი დაფარვის თარიღისთვის ამ სესხების ვადა გაგრძელდება. ამდენად, აქტივების ვადიანობა, რომელიც ზემოთ არის მოცემული, შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური ვადიანობისგან.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ 2013 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

25. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

2013 და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეთა შორის განხორციელებული გარიგებების მიმდინარე ბალანსი შემდეგნაირია:

	2013			2012		
	„მშობელი ბანკი“	საერთო კონტროლის დაქვემდებარე - ბუღლი პირები	ხელმძღვანელ ობის მთავარი წარმომადგენლები	„მშობელი ბანკი“	საერთო კონტროლის დაქვემდებარე - ბუღლი პირები	ხელმძღვანელ ობის მთავარი წარმომადგენლები
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	331	22,916	-	351	17,372	-
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები, მთლიანი	-	-	387	-	-	54
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	-	-	(3)	-	-	(1)
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები, წმინდა	-	-	384	-	-	53
სხვა აქტივები	-	-	-	460	-	-
ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ (მე-14 შენიშვნა)	62,925	-	-	58,611	2	-
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	-	23,084	1,543	-	15,831	1,089
სხვა ნასესხები სახსრები (მე-16 შენიშვნა)	45,397	-	-	53,032	-	-
სუბორდინირებული სესხი	21,077	-	-	20,127	-	-
სხვა ვალდებულებები	6	-	2,229	-	-	2,052

საწარმოები საერთო კონტროლის ქვეშ – ისეთი საწარმოებია, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან რამოდენიმე შუამავლით იმართებიან ან კონტროლდებიან ან „ბანკთან“ ერთად იმყოფებიან საერთო კონტროლ ქვეშ (მათ შორის შვილობილი და მასთან დაკავშირებული კომპანიები და ჰოლდინგური კომპანიები). წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში საერთო კონტროლ ქვეშ მყოფი იურიდიული პირები მოიცავს იურიდიულ პირებს, რომლებიც არიან ვითიბი ჯგუფის წევრები და აგრეთვე სხვა იურიდიულ პირებს, რომლებიც კონტროლდებიან რუსეთის ფედერაციის მიერ.

2005 წლის 25 ოქტომბერს „ჯგუფმა“ „მშობელი ბანკთან“ დადო ხელშეკრულება სუბორდინირებული სესხის - 12,000 ათასი აშშ დოლარის საერთო ღირებულებით, გამოყოფის თაობაზე. საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა ლიბორ +6%-ის დონეზე, პროცენტის გადახდები წარმოებს კვარტალურად. სესხის გადახდის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 26 ოქტომბრამდე. ვითიბის ჯგუფის ლიკვიდაციის შემთხვევაში, სესხის დაფარვა მოხდება მხოლოდ „ბანკის“ ძირითადი კრედიტორების წინაშე არსებული ვალდებულებების დაფარვის შემდგომ.

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობის მიმართ სხვა დავალიანება მოიცავს დარიცხულ ბონუსებს 2,141 ლარის ოდენობით (2012 წ.: 1,977 ლარი) და საშვებულებო ანაზღაურებას 86 ლარის ოდენობით (2012 წ.: 75 ლარი).

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ 2013 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

25. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებების შედეგად მიღებული შემოსავალი და ხარჯი ქვემოთ ცხრილშია წარმოდგენილი:

	2013			2012		
	„შოხელი ბანკი“	საერთო კონტროლს დაქვემდებარე -ბული პირები	ხელმძღვანელ ობის მთავარი წარმომად- გენლები	„შოხელი ბანკი“	საერთო კონტროლს დაქვემდებარე -ბული პირები	ხელმძღვანელ ობის მთავარი წარმომად- გენლები
საპროცენტო შემოსავალი	1	76	34	1	60	6
საპროცენტო ხარჯი	(7,759)	(686)	(106)	(7,335)	(611)	(83)
სესხის გაუფასურების დანარიცხი	-	-	(4)	-	-	(1)
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო	-	11	1	-	12	1
საკომისიო ხარჯი	(2)	(76)	-	(52)	(63)	-
წმინდა მოგება უცხოურ ვალუტაში შესრულებული გარიგებებიდან	585	115	3	968	108	2

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება მოიცავდა ხელფასებს, ბონუსებს და სხვა კომპენსაციებს ჯამში 4,068 ლარის ოდენობით (2012 წ.: 3,810 ლარი).

2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მთავარი რგოლი შედგებოდა სამეთვალყურეო საბჭოს 5 წევრისგან და დირექტორატის 5 წევრისგან.

2013 და 2012 წლებში „ჯგუფს“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან მნიშვნელოვანი ოპერაციები არ ჰქონია.

26. კაპიტალის ადეკვატურობა

„ბანკი“ ინარჩუნებს და აქტიურად განაგრძებს კაპიტალის ბაზას ბიზნესთან დაკავშირებული რისკების მართვის მიზნით. „ბანკის“ კაპიტალის ადეკვატურობის შემოწმება ხდება სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით.

„ბანკის“ კაპიტალის მართვის უპირველესი მიზანია მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა კაპიტალის დადგენილ მოთხოვნებთან, აგრეთვე, „ბანკის“ მიერ ძლიერი საკრედიტო რეიტინგისა და ჯანსაღი კაპიტალის კოეფიციენტების შენარჩუნება წარმატებული ბიზნესის წარმოებისა და აქციონერთათვის დამატებითი ღირებულების უზრუნველსაყოფად.

„ბანკი“ მართავს კაპიტალის სტრუქტურას და შეაქვს შესწორებები ეკონომიკური სიტუაციის და რისკის ფაქტორების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან დაკორექტორების მიზნით „ბანკმა“ შესაძლებელია უკან დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს ან გაზარდოს კაპიტალი აქციების გამოშვების გზით. წინა წლებიდან „ბანკის“ მიზნები, სტრატეგია და პროცედურები არ შეცვლილა.

კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი

საზედამხედველო კაპიტალი შედგება პირველადი კაპიტალისაგან, რომელიც, შედგება აქციებისაგან, სარეზერვო ფონდისა და გაუნაწილებელი მოგებისაგან გარდა მიმდინარე წლის მოგების/ზარალის, მინუს „ბანკის“ საწესდებო კაპიტალში ასახული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან გადატანილი თანხა და არამატერიალური აქტივები. საზედამხედველო კაპიტალის მეორე კომპონენტი მეორადი კაპიტალია, სადაც შედის მიმდინარე წლის მოგება/ზარალი, საერთო რეზერვები (არაუმეტეს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1.25%-ისა) და სუბორდინირებული გრძელვადიანი სესხი.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ერთიანი ბანკი ჯორჯია“ 2013 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

26. კაპიტალის ადეკვატურობა (გაგრძელება)

საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნით „ბანკი“ ვალდებულია შეინარჩუნოს მინიმალური კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი რისკებთან შეწონილი აქტივების 12%-ის ოდენობით, რაც გამოითვლება საქართველოს ეროვნული ბანკის დირექტივების საფუძველზე. 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად გამოთვლილი კაპიტალის ადეკვატურობის სავალდებულო კოეფიციენტი 12.10% (2012 წ.: 13.48%) იყო.

საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნით „ბანკი“ ასევე ვალდებულია იქონიოს პირველი რიგის მინიმალური კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი რისკებთან შეწონილი აქტივების 8%-ის ოდენობით, რაც გამოითვლება საქართველოს ეროვნული ბანკის დირექტივების საფუძველზე. 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად გამოთვლილი პირველი რიგის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 7.78% იყო (იხ. 27-ე შენიშვნა). 2013 წლის 31 დეკემბრისთვის „ბანკმა“ ასევე მოიპოვა ნებართვის წერილი ეროვნული ბანკისგან, რომლის მიხედვითაც სეზ-ი მას ავალდებულებს, იქონიოს პირველი რიგის მინიმალური კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი რისკებთან შეწონილი აქტივების 7.5%-ის ოდენობით 2014 წლის 31 მარტამდე.

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სეზ-ის მოთხოვნების შესაბამისად გამოთვლილი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი შესაბამისობაში იყო სეზ-ის ნორმატიულ მოთხოვნებთან.

ბაზელ I-ს შესაბამისად და სეზ-ის მოთხოვნების გათვალისწინებით გამოთვლილი კაპიტალის ადეკვატურობა შემდეგია:

	2013	2012
პირველი რიგის კაპიტალი	90,681	68,684
მეორე რიგის კაპიტალი	28,996	27,991
სულ საზედამხებდელი კაპიტალი კოეფიციენტის გამოთვლის მიზნებისათვის	119,677	96,675
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	633,928	624,740
კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	18.88%	15.47%

27. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

2014 წლის 28 თებერვლისთვის „ბანკის“ მთავარი აქციონერის - ლსს „ბანკი ვეტეხს“ გადაწყვეტილებით დამტკიცდა დამატებითი აქციების ემისია კაპიტალის 11,000 ლარით გაზრდის მიზნით. ლსს „ბანკი ვეტეხე“ აპირებს ისარგებლოს უპირატესი შესყიდვის უფლებით და გადარიცხავს 10,625 ლარს - თავისი საკუთრების პროპორციულ წილს 2014 წლის მარტის ბოლოსთვის. საწესდებო კაპიტალის გაზრდის შემდეგ „ბანკი“ სავარაუდოდ დააკმაყოფილებს სეზ-ის მოთხოვნას კაპიტალის ადეკვატურობასთან დაკავშირებით.

სს „ვითიზი ბანკი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული

საანგარიშგებო წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	7

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. შესავალი	8
2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
3. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასთან დაკავშირებით გამოყენებული მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები	19
4. სააღრიცხვო პოლიტიკაში შესული ცვლილებები და ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება	21
5. სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები	22
6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	27
7. მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	28
8. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	28
9. გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	30
10. ძირითადი საშუალებები	31
11. საინვესტიციო ქონება	32
12. გადასახადები	32
13. სხვა აქტივები და ვალდებულებები	34
14. ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების წინაშე	36
15. ვალდებულებები კლიენტების წინაშე	36
16. სხვა ნასესხები სახსრები	37
17. კაპიტალი	38
18. პირობითი ვალდებულებები	38
19. წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან	40
20. სხვა შემოსავალი	40
21. ხელფასები და სხვა საოპერაციო ხარჯი	41
22. რისკის მართვა	41
23. სამართლიანი ღირებულების შეფასება	53
24. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი	60
25. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები	62
26. კაპიტალის ადეკვატურობა	63



EY Georgia LLC
Kote Abkhazi Street, 44
Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
Fax: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

შპს იუაი საქართველო
საქართველო, 0105 თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
ფაქსი: +995 (32) 215 8822

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

ჩვენ ჩავატარეთ სს „ვითიბი ბანკი (ჯორჯიას)“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2014 წლის 31 დეკემბრით არსებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალის, სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი შენიშვნებისგან.

აუდიტირებული საწარმოს პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

აუდიტირებული საწარმოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარმოდგენაზე. აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, დავიცვათ ეთიკის მოთხოვნები და იმგვარად დავგეგმოთ და ჩავატაროთ აუდიტი, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია ჩვენს განსჯაზე, მათ შორის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებაზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლის სისტემა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისთვის, რათა დაგვემოს მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს აუდიტირებული საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის, ასევე მთლიანად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.



მოსაზრება

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს სს „ვითიბი ბანკი (ჯორჯიას)“ და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრისათვის, ასევე მათი ფინანსური საქმიანობის შედეგებს და ფულად ნაკადებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ქსე იყაი საქართველო

10 მარტი, 2015 წ.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიზი ბანკი ჯორჯია“

2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2014	2013
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	212,621	177,862
მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	7	63,960	50,041
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	8	611,020	478,173
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	9	73,880	53,670
ძირითადი საშუალებები	10	33,142	33,284
საინვესტიციო ქონება	11	24,352	26,926
მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები		87	34
მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივები	12	1,085	3,021
სხვა აქტივები	13	6,122	10,624
სულ აქტივები		1,026,269	833,635
ვალდებულებები			
ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	14	56,758	91,521
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	15	704,718	520,152
სხვა ნასესხები სახსრები	16	100,897	91,708
სხვა ვალდებულებები	13	11,713	16,606
სუბორდინირებული სესხი	25	26,879	21,077
სულ ვალდებულებები		900,965	741,064
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	17	171,293	160,293
მიწის და შენობების გადაფასების რეზერვი		943	963
აკუმულირებული ზარალი		(46,932)	(68,685)
სულ კაპიტალი		125,304	92,571
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,026,269	833,635

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად „ბანკის“ დირექტორთა საბჭოს მიერ 2015 წლის 10 მარტს:


 არჩილ კონცელიძე
 გენერალური დირექტორი


 მამუკა მენთეშაშვილი
 ფინანსური დირექტორი

8-64 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიზი ბანკი ჯორჯია“

2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2014	2013
საპროცენტო შემოსავალი			
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები		77,679	66,536
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები		3,702	1,275
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		2,332	987
მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		2	10
		<u>83,715</u>	<u>68,808</u>
საპროცენტო ხარჯი			
ვალდებულებები კლიენტების მიმართ		(26,277)	(19,975)
მოთხოვნები ბანკების, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ და სხვა ნასესხები სახსრები		(8,756)	(9,195)
სუბორდინირებული სესხი		<u>(1,504)</u>	<u>(1,343)</u>
		<u>(36,537)</u>	<u>(30,513)</u>
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		47,178	38,295
სესხის გაუფასურების წმინდა რეზერვის ამობრუნება	8	2,051	4,275
წმინდა საპროცენტო შემოსავალი რეზერვის ამობრუნების შემდგომ		<u>49,229</u>	<u>42,570</u>
წმინდა საკომისიო შემოსავალი	19	8,196	5,835
წმინდა შემოსულობა/(ზარალი) უცხოური ვალუტიდან:			
- გარიგებები		922	4,566
- საკუროსო სხვაობები		4,813	(1,042)
წმინდა შემოსულობა გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან		-	32
წმინდა მოგება/(ზარალი) საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან	11	1,416	1,702
წმინდა მოგება საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	11	(42)	498
სხვა შემოსავალი	20	6,021	4,685
არასაპროცენტო შემოსავალი		<u>21,326</u>	<u>16,276</u>
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	21	(30,463)	(27,699)
ცვეთა	10	(3,154)	(2,941)
სხვა საოპერაციო ხარჯები	21	(13,304)	(11,744)
სხვა გაუფასურება და რეზერვები		35	(15)
არასაპროცენტო ხარჯი		<u>(46,886)</u>	<u>(42,399)</u>
მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე		23,669	16,447
მოგების გადასახადის ხარჯი	12	<u>(1,936)</u>	<u>(3,166)</u>
წმინდა მოგება		<u><u>21,733</u></u>	<u><u>13,281</u></u>

8-64 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“

2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2014	2013
წმინდა მოგება		21,733	13,281
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც ხდება:			
მოგება-ზარალის ანგარიშგებაში რეკლასიფიცირებული გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდების აღიარებული მოგება		-	(32)
მოგების გადასახადით დაბეგვრის გავლენა		-	5
წმინდა სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც ხდება		-	(27)
სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც არ ხდება:			
წმინდა სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც არ ხდება:		-	-
წლის სხვა სრული შემოსავალი, წმინდა		0	(27)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		21,733	13,254

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიზი ბანკი ჯორჯია“

2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

			გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდე- ბის	მიწის და შენობების გადაფა- სების რეზერვი	აქუმული- რებული ზარალი	სულ კაპიტალი
	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	მოგება/ (ზარალი)			
2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		148,043	27	984	(78,234)	70,820
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	(27)	-	13,281	13,254
სააქციო კაპიტალის გამოშვება	17	12,250	-	-	-	12,250
ქონების გადაფასების რეზერვის ცვეთა, მოგების გადასახადის გათვალისწინებით		-	-	(21)	21	-
გამოცხადებული დივიდენდები	17	-	-	-	(3,753)	(3,753)
2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		160,293	-	963	(68,685)	92,571
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	-	-	21,733	21,733
სააქციო კაპიტალის გამოშვება	17	11,000	-	-	-	11,000
ქონების გადაფასების რეზერვის ცვეთა, მოგების გადასახადის გათვალისწინებით		-	-	(20)	20	-
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		171,293	-	943	(46,932)	125,304

8-64 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“

2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

	შენიშვნა	2014	2013
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტი		85,095	71,733
გადახდილი პროცენტი		(36,058)	(28,179)
მიღებული საკომისიო		13,343	9,608
გადახდილი საკომისიო		(4,748)	(3,563)
უცხოურ ვალუტაში შემდგარი გარიგებებიდან წმინდა რეალიზებული შემოსავალი / (გასავალი)		(637)	5,242
სხვა მიღებული შემოსავალი		5,789	3,759
გადახდილი ხელფასები და თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები		(29,863)	(26,443)
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯი		(12,116)	(12,225)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		20,805	19,932
საოპერაციო აქტივების წმინდა (ზრდა) / (კლება)			
მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		(13,339)	(16,327)
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები		(110,195)	(124,322)
სხვა აქტივები		4,703	(5,910)
საოპერაციო ვალდებულებების წმინდა ზრდა / (კლება)			
ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		(39,497)	29,431
ვალდებულებები კლიენტების მიმართ		173,152	219,211
სხვა ვალდებულებები		(5,822)	6,134
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე		29,807	128,149
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(99)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		29,807	128,050
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა		(224,793)	(109,406)
შემოსულობა გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან და გამოსყიდვიდან		204,911	67,417
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(3,711)	(2,032)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		19	2,693
შემოსულობა საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან		8,495	4,940
საინვესტიციო ქონების შესყიდვა		(599)	(7,699)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(15,678)	(44,087)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
საწესდებო კაპიტალის ზრდა	17	11,000	12,250
სხვა ნასესხები სახსრებიდან ზრდა		32,961	32,135
შემოძინება სუბორდინირებული სესხიდან		5,519	
სხვა ნასესხები სახსრების დაფარვა		(29,757)	(37,552)
გადახდილი დივიდენდები	17	(3)	(3,704)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		19,720	3,129
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		910	102
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (კლება)		34,759	87,194
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისი	6	117,862	90,668
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლო	6	212,621	177,862

8-64 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

1. შესავალი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ (შემდგომში „ბანკი“) 1995 წლის 7 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოებად „გაერთიანებული ქართული ბანკის“ სახელით. 2006 წლის 7 დეკემბერს „ბანკმა“ შეიცვალა სახელი და ეწოდა „ვითიბი ბანკი ჯორჯია“. „ბანკი“ საქმიანობს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში „სებ“-ი) მიერ 1995 წლის 19 მაისს გაცემული ზოგადი საბანკო ლიცენზიით.

„ბანკი“ იღებს ანაზრებს მოსახლეობისგან, გასცემს სესხებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, აწარმოებს ვალუტის გაცვლით ოპერაციებს და თავის კორპორატიულ და საცალო კლიენტებს სთავაზობს სხვადასხვა საბანკო მომსახურებას. „ბანკის“ სათავეს ოფისი მდებარეობს თბილისში, საქართველოში.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ბანკს“ აქვს 18 ფილიალი (10 მათგანი თბილისში) და 12 სერვის ცენტრი. 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ბანკს“ ჰქონდა 16 ფილიალი (8 მათგანი თბილისში) და 1 სერვის ცენტრი.

„ბანკის“ იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ჭანტურიას ქ. 14. თბილისი, საქართველო.

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ბანკის“ მიმოქცევაში გამოშვებული აქციების 1%-ზე მეტს ფლობდნენ შემდეგი აქციონერები:

აქციონერი	2014 %	2013 %
ღსს „ბანკი ვეტბე“	96.81	96.59
შპს „ლაკარპა ენტერპრაიზისი“	1.80	1.92
სხვა	1.39	1.49
სულ	100.0	100.0

ღსს „ბანკი ვეტბე“, (შემდგომში „მშობელი ბანკი“) წარმოადგენს „ბანკის“ პირდაპირ მშობელს. „ჯგუფის“ საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის რუსეთის ფედერაცია, რომელიც მოქმედებს „ქონების ფედერალური სააგენტოს“ მეშვეობით და 2014 წლის 31 დეკემბრისთვის ფლობს „მშობელი ბანკის“ მიერ გამოშვებული აქციების 60.9%-ს (2013 წ.: 60.9%).

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ბანკის“ სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოს წევრები არ ფლობდნენ „ბანკის“ აქციებს.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ბანკის“ თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა 1,116-ს (2013 წ.: 1,046).

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიასა“ და მისი შვილობილი კომპანიებისთვის (შემდგომში „ჯგუფი“).

„ბანკი“ არის „ჯგუფის“ მშობელი კომპანია. „ჯგუფი“ შედგება ფინანსურ ანგარიშგებაში კონსოლიდირებული შემდეგი იურიდიული პირებისგან:

„ჯგუფის“ მფლობელობაში არსებული წილი					
დასახელება	ქვეყანა	2014	2013	შერთების თარიღი	საქმიანობა
შპს „ქართული საფონდო კომპანია“	საქართველო	100%	100%	1999 წლის 24 ივნისი	ფინანსური მომსახურება (უმოქმედო)
შპს „ჯითი“	საქართველო	100%	100%	2008 წლის 4 ნოემბერი	ვაჭრობა და კომერცია (უმოქმედო)

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ათასი ლარი)

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „ფასს“) შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, გარდა მიწისა და შენობა-ნაგებობების, საინვესტიციო ქონების, გასაყიდად არსებული საივესტიციო ფასიანი ქაღალდების და მოგებაში ან ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც ასახულია სამართლიანი ღირებულებით.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში თუკი სხვაგვარად არ იქნა მითითებული. ანგარიშგება ლარშია წარმოდგენილი, რადგან „ბანკის“ ფინანსური ოპერაციების უმეტესობა შესრულებულია აღნიშნულ ვალუტაში. ოპერაციები სხვა ვალუტაში აღრიცხულია, როგორც უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ.

შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები არის ის სამეურნეო სუბიექტები, რომელთა საწესდებო კაპიტალის ნახევარზე მეტ წილს „ბანკი“ ფლობს ხმის უფლებით, ან მას აქვს უფლება განხორციელოს ამ ორგანიზაციების საქმიანობაზე კონტროლი. შვილობილი კომპანიების ანგარიშები „ბანკის“ ანგარიშგებაში კონსოლიდირებულია იმ დღიდან, როდესაც კონტროლი „ბანკის“ ხელში გადავიდა და მათი კონსოლიდაცია წყდება იმ დღიდან, როდესაც „ბანკი“ მათზე კონტროლის უფლებას დაკარგავს. „ჯგუფის“ შიდა ტრანსაქციები, ნაშთები და არარეალიზებული შემოსულობა ამ ტრანსაქციებიდან, ასევე ზარალი ამ ტრანსაქციებიდან გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი ასახავს გადაცემული აქტივის გაუფასურებას, კონსოლიდირებული ანგარიშგების შედგენის მიზნით სრულად გაქვითულია. საჭიროების შემთხვევაში შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა იცვლება მშობელი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება

ბასს 39-ის სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ფასიან ქაღალდებად ან გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებად. ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ ინვესტიციების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში. „ჯგუფი“ განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარების შემდგომ და მოგვიანებით შეიძლება მოახდინოს ფინანსური აქტივების რეკლასიფიცირება ქვემოთ მითითებულ შემთხვევებში.

აღიარების თარიღი

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც „ჯგუფმა“ აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

სესხები და მისაღები ანგარიშები

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ არის განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისთვის, და არ არის კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. აღნიშნული აქტივები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგება და ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ სესხების და მისაღები ანგარიშების აღიარება შეწყდება, გაუფასურდება ან ამორტიზდება.

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები ის არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომლებსაც „ჯგუფი“ გასაყიდად ფლობს ან არ არის გათვალისწინებული რომელიმე სხვა კატეგორიაში. გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები ის არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომლებიც გამიზნულია გასაყიდად ან არ არის გათვალისწინებული რომელიმე ზემოხსენებულ კატეგორიაში. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში ინვესტიციის აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურების დრომდე, როდესაც კუმულაციური მოგება-ზარალი, რომელიც მანამდე სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყო ასახული, რეკლასიფიცირდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. თუმცა, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოანგარიშებული საპროცენტო შემოსავლების აღიარება ხდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

თუ „ჯგუფს“ აქვს სურვილი და შესაძლებლობა, ფლობდეს გასაყიდად არსებულ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს მათი დაფარვის ვადამდე, ისინი შეიძლება იყოს რეკლასიფიცირებული, როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. ამ შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულება რეკლასიფიკაციის თარიღის მდგომარეობით გახდება ამ ქაღალდების ახალი ამორტიზებული ღირებულება. დაფარვის ფიქსირებული ვადის მქონე ინსტრუმენტების გადაფასების რეზერვები, რეკლასიფიკაციის თარიღისათვის, ამორტიზებული უნდა იქნას მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამ ფასიანი ქაღალდების დაფარვის ვადამდე.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, და ის ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში, კორექტირდება გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯებით.

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო შეფასება არის გარიგების ფასი. თუ „ჯგუფი“ გადაწყვეტს, რომ თავდაპირველი აღიარებისას შეფასებული სამართლიანი ღირებულება განსხვავდება გარიგების ფასისგან, მაშინ:

- ▶ თუ სამართლიანი ღირებულება დასტურდება აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასით (ე.ი. 1 დონის მდგენელი) ან ეყრდნობა შეფასების მეთოდს, რომელიც გამოიყენებს მხოლოდ საბაზრო ინფორმაციას, მაშინ „ჯგუფი“ აღიარებს სხვაობას თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, როგორც მოგებას ან ზარალს.
- ▶ ყველა დანარჩენ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი შეფასება დაკორექტირდება, რომ გადაავადოს სხვაობა თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის. თავდაპირველი აღიარების შემდეგ „ჯგუფი“ ამ გადავადებულ სხვაობას აღიარებს, როგორც შემოსულობას ან ზარალს მხოლოდ მაშინ, როდესაც მდგენელები გახდება ბაზარზე მოპოვებადი, ან როდესაც ინსტრუმენტების აღიარება შეწყდება.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითები ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან, ეროვნული ბანკისადმი (სავალდებულო რეზერვების გამოკლებით) და საკრედიტო დაწესებულებებისადმი არსებული მოთხოვნებისაგან, რომელთაც აქვთ განთავსებიდან 90 დღის ვადა და თავისუფალნი არიან საკონტრაქტო ვალდებულებებისაგან.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას „ჯგუფი“ წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებით ახორციელებს ოპერაციებს, რომლებშიც ძირითადი წილი უკავია სავალუტო ფორვარდებსა და სვოპებს. ამგვარი ფინანსური ინსტრუმენტები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება ფასწარმოქმნის მოდელის შესაბამისად, სადაც გათვალისწინებულია შესაბამისი ინსტრუმენტის მიმდინარე საბაზრო და საკონტრაქტო ფასი და სხვა ფაქტორები. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აისახება, როგორც აქტივები, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, და როგორც ვალდებულებები, როცა მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. ამ ინსტრუმენტებიდან მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც სავალუტო ოპერაციებიდან წმინდა შემოსავალი/(ზარალი).

ნასესხები სახსრები

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირდება ვალდებულებების სახით მაშინ, როდესაც მფლობელის წინაშე საკონტრაქტო გარიგებების შედეგად „ჯგუფს“ წარმოეშობა ვალდებულება, რომ გადაიხადოს ფული ან ფინანსური ინსტრუმენტი ან სხვაგვარად დააკმაყოფილოს ეს ვალდებულება, გარდა გარკვეული ფულადი თანხის ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის სანაცვლოდ საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების განსაზღვრული რაოდენობის მიღებისა. ამგვარი ინსტრუმენტები მოიცავს ვალდებულებებს ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტრუმენტების, კლიენტების მიმართ, სხვა ნასესხებ სახსრებსა და სუბორდინირებულ სესხებს. აღნიშნული თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საფასურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ხდება ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

საკრედიტო ინსტიტუტების წინაშე ვალდებულება წარმოადგენს თანხებს, რომლებიც მოზიდულია „ჯგუფის“ ლიკვიდურობის მართვის მიზნით. ხოლო სხვა ნასესხები სახსრები მოიცავს თანხებს, რომლებიც მიღებულია ძირითადი საქმიანობის მიზნებისთვის და საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტებთან დადებული შესაბამისი ხელშეკრულებების თანახმად „ჯგუფის“ კლიენტების საქმიანობის დაფინანსებისათვის.

საოპერაციო იჯარა – „ჯგუფი“, როგორც მოიჯარე

აქტივების იჯარა, რომელთან მიმართებაშიც მფლობელობის რისკებიც და სარგებელიც მეიჯარის ხელშია, კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის საიჯარო თანხები აისახება წრფივი მეთოდით, როგორც ხარჯი იჯარის პერიოდში და შესულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

საოპერაციო იჯარა – „ჯგუფი“, როგორც მეიჯარე

„ჯგუფი“ საოპერაციო იჯარის აქტივებს წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივების ხასიათის მიხედვით. საოპერაციო იჯარიდან საიჯარო შემოსავლის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში. მოიჯარის წამახალისებელ ფაქტორებზე ჯამური დანახარჯის აღიარება ხდება იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო შემოსავლის წრფივი მეთოდით შემცირების სახით. საოპერაციო იჯარიდან შემოსავლების მიღების თავდაპირველი პირდაპირი ხარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ათასი ლარი)

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების რაიმე ობიექტური ნიშნის არსებობას. ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად განიხილება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“) და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მომავალში მოსალოდნელ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია. გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მევალე ან მევალეთა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს სესხის პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულებას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და ხელთ არსებული მომაცემები მიუთითებს ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორცაა ცვლილებები ვადაგადაცდილებული გადახდების დონეში ან ეკონომიკურ პირობებში, რომლებსაც უკავშირდება ვალდებულებების შეუსრულებლობა.

კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები, მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული აქტივების შემთხვევაში „ჯგუფი“ ჯერ სათითაოდ განსაზღვრავს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე აქტივებისთვის ინდივიდუალურად ან ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე ფინანსური აქტივებისთვის კოლექტიურად. თუ დადგინდა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა, მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, აქტივის ჩართვა ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფში, რომელსაც ახასიათებს ანალოგიური საკრედიტო რისკები და ამ ფინანსური აქტივების ჯგუფის შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება კოლექტიურად. აქტივები, რომელთა გაუფასურებაც ინდივიდუალურად ფასდება და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ მონაწილეობს გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების კოლექტიური შეფასების პროცესში.

თუ არსებობს გაუფასურების ზარალის წარმოშობის ობიექტური საფუძველი, ზარალის თანხა აღირიცხება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (გარდა მომავალში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია). აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. საპროცენტო შემოსავალი ერიცხება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას აქტივის თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით, თუ მომდევნო წლის განმავლობაში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი გაიზრდება ან შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით.

მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, თუ სესხს აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტის განაკვეთს გაუფასურების ზარალის შესაფასებლად წარმოადგენს მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გამოთვლა ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც გამომდინარეობს დაგირავებული ქონების გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევიდან, უზრუნველყოფის მიღებასთან და რელიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, იმისდა მიუხედავად, მოსალოდნელია თუ არა დაგირავებული ქონების გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევა.

გაუფასურების კოლექტიურად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია „ჯგუფის“ შიდა საკრედიტო რანჟირების სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საკრედიტო რისკის ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა აქტივის ტიპი, სექტორი, უზრუნველყოფის ტიპი, ვადაგადაცდილების სტატუსი და სხვა.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ისტორიული ზარალის შესაბამისად. ისტორიული ზარალი კორექტირდება ამჟამინდელ მონაცემებზე დაყრდნობით, რათა გათვალისწინებულ იქნას ამჟამინდელი პირობები, რომლებიც არ მოქმედებდა ისტორიული ზარალის წლებში, და არ იქნას გათვალისწინებული ისტორიული ზარალის პერიოდის ის გარემოებები, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს. სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო ცვლილებები ასახავს და უკავშირდება წლიდან წლამდე გარკვეული თარიღისათვის მომხდარ ცვლილებებს. სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით გამოყენებული შეფასების მეთოდოლოგიის და დაშვებების გადახედვა ხდება რეგულარულად განსაზღვრულ და რეალურ ზარალს შორის სხვაობის შემცირების მიზნით.

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები

გასაყიდად არსებული ფინანსური ინვესტიციების შემთხვევაში, „ჯგუფი“ ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ინვესტიციის თუ ინვესტიციათა „ჯგუფის“ გაუფასურების ობიექტური საფუძველი.

გასაყიდად არსებული კაპიტალის ინვესტიციების შემთხვევაში, ობიექტური საფუძველი ნიშნავს ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვან ან გრძელვადიან შემცირებას მის თვითღირებულებაზე ნაკლებ ოდენობამდე. თუ არსებობს გაუფასურების საფუძველი, აკუმულირებული ზარალი (რომელიც შეფასებულია, როგორც სხვაობა შესყიდვის ღირებულებასა და მიმდინარე სამართლიან ღირებულებას შორის, რასაც აკლდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებული ინვესტიციის გაუფასურების ზარალი), ამოღებულია სხვა სრული შემოსავლის მუხლიდან და აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. კაპიტალის ინვესტიციების გაუფასურების ზარალის აღდგენა მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახვით არ ხდება; გაუფასურების შემდგომ მათი სამართლიანი ღირებულების ზრდა მთლიანად სხვა სრულ შემოსავალში აისახება.

გასაყიდად არსებული სავალო ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასება ხდება იმავე კრიტერიუმებით, როგორითაც – ამორტიზებული ღირებულების მქონე ფინანსური აქტივების შეფასება. სამომავლო საპროცენტო შემოსავალი ეფუძნება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას და ირიცხება საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გამოიყენება გაუფასურების ზარალის შეფასების მიზნით სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისათვის. საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. თუ შემდგომ პერიოდში სავალო ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გაიზრდება და ზრდა შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარების შემდგომ მოვლენას, ხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახვით.

ფინანსური აქტივების რესტრუქტურიაგია

საჭიროების შემთხვევაში დროდადრო „ჯგუფი“ ახდენს თავის ფინანსური აქტივების რესტრუქტურიაგას. ძირითადად ეს ეხება სესხებს და მისაღებ ანგარიშებს. აღნიშნული ხორციელდება სამი ძირითადი სცენარის მიხედვით:

- თუ სესხის ვალუტა იცვლება, მაშინ ხდება ძველი სესხის აღიარების შეწყვეტა და ახალი სესხის აღიარება, რაც საჭიროებს ახალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრას. თუ ახალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე დაბალია, მაშინ თავდაპირველი აღიარებით გამოწვეული ზარალი აღიარებული იქნება საანგარიშგებო პერიოდში;

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითარება ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების რესტრუქტურირება (გაგრძელება)

- ▶ თუ სესხის რესტრუქტურირება არ უკავშირდება მსესხებლის ფინანსურ სიძნელეებს და მოსალოდნელი ფულადი ნაკადები გადაისინჯა, მაშინ სესხი არ მიიჩნევა გაუფასურებულად. სესხის აღიარების შეწყვეტა არ ხდება და განისაზღვრება ახალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი სესხის დარჩენილი პერიოდის ფულადი ნაკადების საფუძველზე. თუ რესტრუქტურირების თარიღისათვის ახალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი სამართლიანი ღირებულება დაბალია, სესხის ახალი საბალანსო ღირებულება გამოითვლება, როგორც მისი სამართლიანი ღირებულება რესტრუქტურირების შემდეგ. სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს რესტრუქტურირების თარიღისათვის მოქმედი საბაზრო განაკვეთით დისკონტირებულ სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას. ამ შემთხვევაში განსხვავება სესხის რესტრუქტურირებამდე საბალანსო ღირებულებასა და რესტრუქტურირების შემდეგ მის სამართლიან ღირებულებას შორის აღიარებულია, როგორც სესხის რესტრუქტურირების შედეგად მიღებული ზარალი.
- ▶ თუ სესხის გაუფასურება ხდება რესტრუქტურირების შემდეგ, მაშინ „ჯგუფი“ სესხის აღდგენადი ღირებულების გამოსათვლელად ახალი ფულადი ნაკადებისთვის იყენებს თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს. სხვაობა გადაანგარიშებული ახალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას, რომელიც მოიცავს უზრუნველყოფის რეალიზაციიდან მისაღებ ამონაგებს, და სესხის რესტრუქტურირებამდე მის საბალანსო ღირებულებას შორის შეტანილია მიმდინარე პერიოდის სესხის გაუფასურების ხარჯებში.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ „ჯგუფმა“ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ▶ „ჯგუფმა“ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ „ჯგუფმა“ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი ან კონტროლი აქტივზე, „ჯგუფის“ მიერ აქტივის აღიარება ხდება შემდგომი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და „ჯგუფის“ მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

როდესაც შემდგომი გამოყენება მიიღებს გადაცემულ აქტივზე წერილობითი და/ან შემენილი ოფციონის ფორმას (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით), „ჯგუფის“ ჩართულობის ხარისხი წარმოადგენს იმ გადაცემული აქტივის თანხას, რომლითაც შესაძლებელია აქტივის გამოსყიდვა. თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს წერილობითი მიწოდების ოფციონი (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით) სამართლიანი ღირებულებით ასახულ აქტივზე, „ჯგუფის“ ჩართულობის ხარისხი შემოიფარგლება გადაცემული აქტივების სამართლიან ღირებულებასა და ოფციონის რეალიზაციის ფასს შორის უმცირესით.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიზი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ათასი ლარი)

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა (გაგრძელება)

უმოქმედო სესხები

„ჯგუფის“ პოლიტიკის თანახმად, უმოქმედო სესხების აღიარების შეწყვეტა ხდება შემდეგნაირად:

- ▶ ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხები ჩამოიწერება „ბანკის“ საკრედიტო კომიტეტის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე;
- ▶ უიმედო სესხების ჩამოწერა ხდება შესაბამისი გაუფასურების რეზერვის მეშვეობით მას შემდეგ, რაც განხორციელებული იქნება სესხების ამოღების ყველა საჭირო პროცედურა და განისაზღვრება დაუბრუნებელი თანხის მოცულობა.

თუ „ჯგუფი“ ამოიღებს თანხას სესხის ჩამოწერის შემდეგ პერიოდში, ამოღებული თანხა აისახება სესხის გაუფასურების რეზერვის ანგარიშზე, დადებითი ეფექტით.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულებების სხვაობა აისახება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ურთიერთგაქცეობა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქცეობა და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქცეოვის იურიდიული უფლება და სურვილი, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი, ეს არ ეხება ძირითად საკლირინგო ხელშეკრულებებს და დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები მთლიანად წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ფინანსური გარანტიები

ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში „ბანკი“ გასცემს ფინანსურ გარანტიებს, ძირითადად აკრედიტივებსა და საბანკო გარანტიებს. ფინანსური გარანტიები სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების „სხვა ვალდებულებების“ მუხლში, როგორც მიღებული პრემია. თავდაპირველი აღიარების შემდეგ „ბანკის“ ვალდებულებები თითოეული გარანტიისთვის ფასდება ამორტიზებულ პრემიასა და გარანტიის შედეგად წარმოშობილი ფინანსური ვალდებულების დასაფარად გაწეული ხარჯების მაქსიმალურად ზუსტ გათვალისწინებით.

ყოველი მატება ვალდებულებებში, რაც დაკავშირებულია ფინანსურ გარანტიებთან, აისახება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. მიღებული პრემია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით გარანტიის ვადის განმავლობაში.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოიანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომლებიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ საფუძველსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა გუდვილის თავდაპირველი აღიარებიდან ან აქტივიდან და ვალდებულებიდან იმ ოპერაციაში, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გავლენას არ იქონიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგება-ზარალზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აისახება იმ პირობით, რომ არსებობს ალბათობა დასაბეგრი მოგებისა, რომლითაც შესაძლებელი იქნება დროებითი გამოქვითვადი სხვაობების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულების დაფარვის პერიოდში იმ განაკვეთებზე დაყრდნობით, რომლებიც მოქმედებდა ან ამოქმედდა ანგარიშგების დღეს.

გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილია დროებით სხვაობებზე, რომლებიც წარმოიშობა შეიღობილ კომპანიებში, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციებიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლოა გაკონტროლებულ იქნას დროებითი სხვაობის აღდგენის დრო და როდესაც ახლო მომავალში მათი აღდგენა არ არის მოსალოდნელი.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს „ჯგუფის“ საქმიანობაზე. ეს გადასახადები შესულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღრიცხულია თვითღირებულებით, გარდა ყოველდღიური მომსახურების ხარჯებისა, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების მოცულობა. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია. შენობა-ნაგებობები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება გადაფასების თარიღის შემდგომ დარიცხული ცვეთა და გაუფასურება. მიწის შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით და მას არ ერიცხება ცვეთა. შეფასება ტარდება იმდენად ხშირად, რომ გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან.

გადაფასების ნებისმიერი მეტობა კრედიტდება სხვა სრულ შემოსავლებში ჩართული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში უწინ აღიარებული ამავე აქტივის გადაფასებისას მისი ოდენობის შემცირების აღდგენა. ამ შემთხვევაში მატების აღიარება ხდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეფიციტი, რომელიც უშუალოდ გაქვითავს ამავე აქტივზე უწინ აღიარებულ მეტობას, პირდაპირ გაიქვითება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის მეტობიდან.

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან წლიური გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე ხდება აქტივის გადაფასებული საბალანსო ღირებულების ცვეთასა და აქტივის თავდაპირველი ღირებულების ცვეთას შორის სხვაობით. გაყიდვისას კონკრეტულ აქტივთან დაკავშირებული მთლიანი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

დაუმთავრებელი მშენებლობა აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც, საჭიროების შემთხვევაში, აკლდება გაუფასურების რეზერვი. მშენებლობის დასრულების შემდეგ აქტივები გადაიტანება საოფისის ან სხვა შენობებში მათი საბალანსო ღირებულებით. დაუმთავრებელი მშენებლობის ცვეთა არ ხდება, სანამ აქტივი ექსპლუატაციისთვის მზად არ იქნება.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიზი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიაჩნევენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წელი
შენობა-ნაგებობები	35-50
კომუნალური სისტემები და მასთან დაკავშირებული მოწყობილობები	10-40
კომპიუტერული და საკომუნიკაციო ტექნიკა	4
ავტო და საოფისე ტექნიკა	2-6
სატრანსპორტო საშუალებები	5
იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	შესაბამის საიჯარო პერიოდში

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის მიწა, შენობა ან შენობის ნაწილი, რომელიც გაიცემა იჯარით საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის გაზრდისათვის, და რომელსაც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში „ჯგუფი“ არ იყენებს და არ ფლობს გაყიდვის მიზნით.

საინვესტიციო ქონების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით და შემდეგ ხელმეორედ ფასდება სამართლიანი ღირებულებით საბაზრო ფასის საფუძველზე, რომელზეც შეიძლება ნებაყოფლობით შეთანხმდნენ სათანადოდ ინფორმირებული მხარეები. „ჯგუფის“ საინვესტიციო ქონების ღირებულება გადაფასდება ყოველი ანგარიშგების თარიღისთვის და მისი აღიარება ხდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც საინვესტიციო ქონების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება/ზარალი. მიღებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

ცალკეული არამატერიალური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა შეფასებულია განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო ეკონომიკური ხანგრძლივობის – 2-20 წლის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი ფისკალური წლის ბოლოს.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც „ჯგუფს“ წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა.

საპენსიო თუ სხვა ვალდებულებები თანამშრომელთა წინაშე

„ჯგუფს“ საქართველოს სახელმწიფო საპენსიო სისტემის გარდა სხვა საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა არა აქვს.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარე ხარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციებისა, აღრიცხულია, როგორც გამოქვითვები კაპიტალის შემოსავლებიდან. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სარწმუნოდ შეფასება.

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტისა და გასაყიდად არსებული საპროცენტო სარგებლის მქონე ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში ადისკონტირებს ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ „ჯგუფი“ გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ათასი ლარი)

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება) შემოსავლისა და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)

როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება ახალ საბალანსო ღირებულებაზე თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

მიღებული გასამრჯელო და საკომისიო

საანგარიშსწორებო და საკასო ოპერაციებიდან მიღებული საკომისიოს აღიარება ხდება კლიენტისთვის მომსახურების გაწევისთანავე.

იმ სესხების შემთხვევაში, რომელთა ათვისებაც მოსალოდნელია, სესხის აუთვისებელი თანხის საკომისიო და საკრედიტო პროდუქტებთან დაკავშირებული სხვა გასამრჯელოები, მათ შორის გარანტიებისა და აკრედიტივების გაცემის საზღაური გადავადდება (დამატებით ხარჯებთან ერთად) და აღიარდება სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირების სახით.

შემოსავალი დივიდენდებიდან

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როცა „ჯგუფს“ განესაზღვრება თანხების მიღების უფლება.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც „ჯგუფის“ სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ხელახლა კონვერტაცია ლარში ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი – საკურსო სხვაობა. არაფულადი მუხლების კონვერტაცია, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს შესულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებული მოგების მუხლში, რომელსაც აკლდება ზარალი. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 1.8636 და 1.7363 ლარი, შესაბამისად, 1 აშშ დოლართან მიმართებაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასთან დაკავშირებით გამოყენებული მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები

„ჯგუფი“ მიმართავს გარკვეულ შეფასებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ქვემოთ მოცემულია გადაწყვეტილებები, რომლებსაც აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასებებზე, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასთან დაკავშირებით გამოყენებული მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ფუნქციონირებადი საწარმო

„ჯგუფის“ ხელმძღვანელობის შეფასებით, „ჯგუფს“ შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც მოქმედმა საწარმომ. „ჯგუფის“ ხელმძღვანელობამ გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ „ჯგუფს“ აქვს ფულადი სახსრები და „მშობელი ბანკის“ ფინანსური მხარდაჭერა უახლოეს მომავალში თავისი საქმიანობის გასაგრძელებლად. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ექვეყნებინა დააყენოს „ჯგუფის“ უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც მოქმედმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

სესხების გაუფასურების რეზერვი

„ჯგუფის“ მიერ რეგულარულად ხდება სესხებისა და მისაღები ანგარიშების გადახედვა გაუფასურებასთან მიმართებაში. „ჯგუფი“ იყენებს საკუთარ შეფასებებს ნებისმიერი გაუფასურების ზარალის განსაზღვრის მიზნით იმ შემთხვევებში, როდესაც მსესხებელს აქვს ფინანსური სირთულეები და ანალოგიურ მსესხებლებთან მიმართებაში ისტორიული მონაცემები რთულად მოიპოვება. ასევე „ჯგუფი“ აფასებს სამომავლო ფულადი ნაკადების ცვლილებას იმ მოპოვებად მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებენ, რომ არსებობს „ჯგუფში“ მსესხებლების გადახდის სტატუსის ან ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებისკენ ცვლილება, რაც განაპირობებს „ჯგუფში“ აქტივებზე ვალდებულებების შეუსრულებლობას.

საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივებისთვის ხელმძღვანელობა იყენებს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დაყრდნობილ შეფასებებსა და ანალოგიური სესხებისა და მისაღები ანგარიშების გაუფასურების ობიექტურ საფუძველს. მიმდინარე მოვლენების ასახვის მიზნით, „ჯგუფი“ ეყრდნობა საკუთარ შეფასებებს სესხებისა თუ მისაღები ანგარიშების სათანადო მონაცემების კორექტირებისათვის.

საანგარიშგებო პერიოდში ცვლილებები შევიდა მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე საცალო სესხების გაუფასურების რეზერვის გამოთვლის მეთოდოლოგიაში. ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით დანაკარგების ნორმა განისაზღვრება ამოღების ნორმის (განაკვეთის) გათვალისწინებით. ამოღების ნორმა გამოითვლება იმ სესხების დანაკარგების ანაზღაურების (დაფარვის) სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, რომლებმაც მიაღწიეს 90 დღეზე მეტ ვადაგადაცილებას. ახალი მეთოდოლოგიაზე გადასვლის მომომენტში გადასვლის ეფექტი ყველა საცალო კრედიტის მიხედვით იყო GEL 1,124 ლარი (2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცვლითი კურსის ცვლილების გათვალისწინებით, 2,700 ლარი).

ქონების გადაფასება

„ჯგუფი“ რეგულარულად ახდენს ძირითადი საშუალებების (მიწის, საოფისე შენობებისა და საინვესტიციო ქონების) ღირებულების გადახედვას სამართლიან ღირებულებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით და ახდენს გადაფასებას, რათა ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მათი სამართლიანი ღირებულებისაგან. „ჯგუფი“ ახდენს გადაფასებას სპეციალური შეფასების ხერხისა და ადგილობრივ ბაზარზე განხორციელებული უძრავი ქონების გარიგებების შესახებ არსებული ინფორმაციის გამოყენებით. თუმცა აღნიშნული შეფასების მეთოდის გამოყენებით მიღებული შედეგები შესაძლოა ყოველთვის არ შეესაბამებოდეს ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულებას.

მიწა და შენობები გადაფასებულია საბაზრო ღირებულებასთან მიმართებით 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. გადაფასებული შენობები 2013 წლის 1 იანვრიდან აღიარებულია მათი სასარგებლო გამოყენების დარჩენილი ვადის მიხედვით. „ჯგუფის“ ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შენობებისა და მიწის საბალანსო ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების სამართლიანი ღირებულებისაგან 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დამოუკიდებელმა შემფასებელმა განსაზღვრა „ჯგუფის“ საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება. ქონების საბაზრო ღირებულება დადგინდა აქტიურ ბაზარზე არსებული მონაცემების საფუძველზე. იხილეთ მე-10 და მე-11 შენიშვნები.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიზი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასთან დაკავშირებით გამოყენებული მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად, სადაც „ბანკი“ და მისი შვილებილი კომპანიები საქმიანობენ.

აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივები წარმოადგენს მოგების გადასახადს, რომლის აღდგენაც შესაძლებელია მომავალი დასაბეგრი მოგებიდან გამოქვითვით და რომელიც აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები აღირიცხება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მოსალოდნელია შესაბამისი საგადასახადო შეღავათების რეალიზაცია. სამომავლო გადაბეგრი მოგება და მომავალში მოსალოდნელი საგადასახადო შეღავათების ოდენობა ეყრდნობა ხელმძღვანელობის გონივრულ შეფასებას არსებული პირობების გათვალისწინებით. იხილეთ მე-12 შენიშვნა.

4. სააღრიცხვო პოლიტიკაში შესული ცვლილებები და ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

წლის განმავლობაში „ჯგუფმა“ მიიღო ქვემოაღნიშნული შეცვლილი „ფასს“:

„საინვესტიციო კომპანიები“ (ცვლილებები ფასს 10-ში, ფასს 12-ში და ბასს 27-ში)

ეს ცვლილებები უშვებს კონსოლიდაციის მოთხოვნებიდან გამონაკლისის ისეთი კომპანიების შემთხვევაში, რომლებიც აკმაყოფილებენ ფასს 10-ის განმარტებას „საინვესტიციო კომპანიის“ შესახებ. კონსოლიდაციის ვალდებულებისგან გათავისუფლება საინვესტიციო კომპანიებისგან მოითხოვს შეიღობილი კომპანიების აღრიცხვას მოგებაში ან ზარალში ასახული სამართლიანი ღირებულებით. არ არის მოსალოდნელი, რომ ეს დამატება შეეხება „ჯგუფს“, რადგან „ჯგუფის“ არცერთი სამეურნეო ერთეული არ შეესაბამება ფასს 10-ის განმარტებას „საინვესტიციო კომპანიის“ შესახებ.

ბასს (IAS) 32 „ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგაქვითვა“ — ბასს 32-ში შესული ცვლილებები

ეს ცვლილებები განმარტავს იმას, თუ რას ნიშნავს „ამჟამად აქვს გაქვითვის იურიდიული უფლება“ და ასევე კრიტერიუმებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს საკლირინგო დაწესებულების ანგარიშსწორების არათანადროული შექანიშები, რომ მიიღოს ურთიერთგაქვითვის უფლება. ამ დამატებებს გავლენა არ აქვს „ჯგუფის“ ფინანსურ მდგომარეობაზე.

ფაისკ 21-ის ინტერპრეტაცია მოსაკრებლების თაობაზე (ფაისკ (IFRIC) 21)

ფაისკ 21 განმარტავს, რომ საწარმო ვალდებულია აღიარებს მოსაკრებლის მიზნით მაშინ, როდესაც ადგილი აქვს გადახდის გამომწვევ ქმედებას (შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით). ინტერპრეტაციის მიხედვით, ისეთი მოსაკრებლის შემთხვევაში, რომელიც გადასახდელია მინიმალური ზღვრის მიღწევის შედეგად, ვალდებულება არ წარმოიქმნება მანამ, სანამ არ იქნება მიღწეული აღნიშნული მინიმალური ზღვარი. „ფაისკ“-ის ამ ინტერპრეტაციას, არანაირი გავლენა არ მოუხდენია „ჯგუფის“ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან ამ უკანასკნელმა წინა წლებში გამოიყენა დოკუმენტით, „ბასს 37: ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და აქტივები“, განსაზღვრული აღიარების პრინციპები, რომლებიც შეესაბამება „ფაისკ 21“-ის მოთხოვნებს.

ბასს (IAS) 39 „წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გადაცემა და ჰეჯირების აღრიცხვის უწყვეტობა - ბასს 39-ში შესული ცვლილებები“

ეს ცვლილებები უშვებს გამონაკლისს ჰეჯირების აღრიცხვის უწყვეტის ვალდებულებისგან ისეთ შემთხვევებში, როდესაც ჰეჯირებისთვის გამიზნული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის გადაცემა გარკვეულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. „ჯგუფს“ მოცემული პერიოდის განმავლობაში არ გადაუცია თავისი წარმოებული ინსტრუმენტები. თუმცა, ეს დამატებები გათვალისწინებული იქნება სამომავლოდ, უფლებათა გადაცემის შემთხვევაში.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ათასი ლარი)

4. სააღრიცხვო პოლიტიკაში შესული ცვლილებები და ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების აღდგენითი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები - ბასს 36-ის შესწორება
ამ ცვლილებებით უქმდება ფასს 13-ის „სამართლიანი ღირებულების შეფასება“ გავლენა ბასს 36-ის „აქტივების გაუფასურება“ მიხედვით სავალდებულო განმარტებით შენიშვნებზე. გარდა ამისა, ეს ცვლილებები მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების აღდგენითი ღირებულებების შესახებ, რომლებისთვისაც პერიოდის განმავლობაში აღიარებული ან შებრუნებულია გაუფასურების ზარალი. ამ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია „ჯგუფის“ ფინანსურ მდგომარეობასა თუ შედეგებზე.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები

გამოქვეყნებულია ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც „ჯგუფმა“ ვადაზე ადრე არ დანერგა და რომლებიც სავალდებულოა „ჯგუფისთვის“ 2015 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომ პერიოდებში:

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

2014 წლის ივლისში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ საბოლოო ვერსია, რომელიც ასახავს ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ყველა ფაზას და ჩაანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ და ფასს 9-ის ყველა მანამდე არსებულ ვერსიას. სტანდარტი დამტკიცდა კლასიფიკაციისა და შეფასების, გაუფასურებისა და ჰეჯირების აღრიცხვის ახალი წესები. ფასს 9 ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ამასთან დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც. აუცილებელია რეტროსპექტულად გამოყენება, მაგრამ შესაძარის ინფორმაცია არ არის სავალდებულო. ფასს 9-ის (2009, 2010 და 2013 წლების) წინა ვერსიების გამოყენება დასაშვებია, თუ თავდაპირველი გამოყენების თარიღი წინ უსწრებს 2015 წლის 1 თებერვალს. ფასს 9-ის მიღება იმოქმედებს ჯგუფის ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე, მაგრამ გავლენას არ იქონიებს ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე.

ფასს (IFRS) 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“

„ფასს 15“ გამოიცა 2014 წლის მაისში და იგი ამკვიდრებს ახალ, 5-ნაბიჯიან მოდელს, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვისთვის. „ბასს 17-ის „იჯარა“ მოქმედების ფარგლებში მოქცეული საიჯარო ხელშეკრულებებიდან, ფასს 4-ის „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ მოქმედების ფარგლებში მოქცეული სადაზღვევო კონტრაქტებიდან და ბასს 39-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ (ან ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“, თუ ადრე იქნა მიღებული) მოქმედების ფარგლებში მოქცეული სხვა ფინანსური ინსტრუმენტებისა და საკონტრაქტო უფლებებისგან მიღებული შემოსავლები, არ ხდება ფასს 15-ის მოქმედების ფარგლებში და მათი აღრიცხვა ხდება შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.

ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. ფასს 15-ის პრინციპები შემოსავლების შეფასებისა და აღიარების უფრო სისტემატურ მიდგომას გვთავაზობს.

შემოსავლების ახალი სტანდარტი ვრცელდება ყველა საწარმოზე და ჩაანაცვლებს ფასს-ის მიხედვით შემოსავლების აღიარების ყველა არსებულ წესს. სრული ან ნაწილობრივ შეცვლილი რეტროსპექტული გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც. „ჯგუფი“ ამჟამად აფასებს ფასს 15-ის გავლენას და აპირებს ახალი სტანდარტის მიღებას მისი ძალაში შესვლის თარიღისთვის.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ათასი ლარი)

5. სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 14 „გადავადების მარეგულირებელი ანგარიშები“

ფასს 14 არის ნებაყოფლობით გამოსაყენებელი სტანდარტი, რომელიც საწარმოს, რომლის საქმიანობაზეც ვრცელდება ტარიფების რეგულირება, საშუალებას აძლევს, გააგრძელოს არსებული სააღრიცხვო პოლიტიკის მეტი წილის გამოყენება გადავადების მარეგულირებელი ანგარიშების ნაშთებისთვის, ფასს-ის პირველად გამოყენებისას. საწარმოებმა, რომლებიც გამოიყენებენ ფასს 14-ს, გადავადების მარეგულირებელი ანგარიშები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცალკე მუხლად უნდა წარმოადგინონ და ასახონ ამ ანგარიშებზე არსებული ნაშთების მოძრაობა ცალკე მუხლად მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებებში. სტანდარტით სავალდებულოა საწარმოს ტარიფების რეგულირების ხასიათისა და მასთან დაკავშირებული რისკების, ასევე მის ფინანსურ ანგარიშგებაზე ტარიფების რეგულირების გავლენის გაცხადება. ფასს 14 ძალაში შედის 2016 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. რადგან „ჯგუფი“ ანგარიშგებას არსებული ფასს-ის მიხედვით ამზადებს, ეს სტანდარტი მასზე არ ვრცელდება.

ცვლილებები ბასს (IAS) 19-ში „დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები: თანამშრომელთა შენატანები“

ბასს 19 მოითხოვს საწარმოსგან, რომ დადგენილ გადასახდელიანი პროგრამის აღრიცხვისას გაითვალისწინოს თანამშრომლებისა და მესამე პირების შენატანები. როდესაც შენატანები დაკავშირებულია მომსახურებასთან, ისინი უნდა მიეკუთვნოს მომსახურების გაწევის პერიოდს, როგორც უარყოფითი სარგებელი. ეს ცვლილებები განმარტავს, რომ თუ შენატანების რაოდენობა არ არის დამოკიდებული მომსახურების გაწევის წლების რაოდენობაზე, ორგანიზაციას აქვს უფლება, რომ ესეთი შენატანები აღიაროს, როგორც მომსახურების ღირებულების შემცირება, იმ პერიოდში, როდესაც გაიწია ეს მომსახურება, იმის ნაცვლად, რომ გადაანაწილოს შენატანები მომსახურების მიწოდების პერიოდებზე. ცვლილებები ძალაში შედის 2014 წლის 1 ივლისს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. აღნიშნული ცვლილებები სავარაუდოდ „ჯგუფზე“ გავლენას ვერ მოახდენს, რადგან „ჯგუფში“ შემავალ არცერთ სამეურნეო ერთეულს არ აქვს დადგენილ გადასახდელიანი პროგრამა, სადაც შენატანები შეაქვთ თანამშრომლებსა და მესამე პირებს.

ცვლილებები ფასს (IFRS) 11-ში „ერთობლივი საქმიანობა: წილების შეძენის აღრიცხვა“

ფასს 11-ში შეტანილი ცვლილებები მოითხოვს ერთობლივი ოპერაციის ოპერატორისგან, რომელიც აწარმოებს ერთობლივი ოპერაციის ფარგლებში შეძენილი წილების აღრიცხვას, რომ იმ შემთხვევაში, თუ ეს ერთობლივი ოპერაცია წარმოადგენს ბიზნესაქტივობას, გამოიყენოს ფასს 3-ის შესაბამისი პრინციპები, განკუთვნილი საწარმოთა გაერთიანების ბუღალტრული აღრიცხვისთვის. ცვლილებები ასევე განმარტავს, რომ ერთობლივ საქმიანობაში წარსულში არსებული წილი არ ექვემდებარება გადაფასებას, იმავე ერთობლივი საქმიანობის ფარგლებში დამატებითი წილის შესყიდვისას, როდესაც ხდება ერთობლივი კონტროლის შენარჩუნება. ამასთანავე, ფასს 11-ს დავამატა გამოწვევები, რომლებიც ხაზს უსვამენ, რომ ეს ცვლილებები არ გამოიყენება, როდესაც მხარეები, რომლებიც ინაწილებენ ერთობლივ კონტროლს, მათ შორის ანგარიშგებელი ერთეული, ექვემდებარებიან ერთი და იმავე უზენაესი მაკონტროლებელი მხარის საერთო კონტროლს.

ცვლილებები ეხება როგორც პირველადი წილის შესყიდვას საერთო ოპერაციაში, ისე ნებისმიერი დამატებითი წილის შესყიდვას იმავე საერთო ოპერაციაში და ძალაში შედის წლიური ანგარიშგებისთვის, 2016 წლის 1 იანვრიდან და შემდეგ. ნებადართულია ცვლილებების ვადაზე ადრე დაწერგვა და გამოყენება. ამ ცვლილებებს არანაირი გავლენა არ ექნება „ჯგუფზე“.

ცვლილებები ბასს (IAS) 16-სა და ბასს (IAS) 38-ში: ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვის მისაღები მეთოდების დაზუსტება

ცვლილებები განმარტავს ბასს 16-ისა და ბასს 38-ის პრინციპს, რომ შემოსავალი ასახავს ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც მიიღება ბიზნესსაქმიანობიდან (რისი ნაწილიც არის აქტივი) და არა იმ ეკონომიკურ სარგებელს, რომლის ათვისებაც ხდება აქტივის გამოყენებით. ამის შედეგად, შემოსავლების მეთოდის გამოყენება არ შეიძლება ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად და მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისთვის. ცვლილებები ძალაშია პერსპექტიულად, 2016 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც. ცვლილებები სავარაუდოდ გავლენას არ იქონიებს ჯგუფზე, რადგან იგი არ იყენებს შემოსავლების მეთოდს თავის გრძელვადიან აქტივებზე ცვეთის დარიცხვისთვის.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

5. სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

დამატებები ბასს (IAS) 16-სა და ბასს (IAS) 41-ში: სოფლის მეურნეობა: სამრეწველო მცენარეები

დამატებები, ცვლიან იმ ბიოლოგიური აქტივების ბუღალტრული აღრიცხვის წესს, რომლებიც შეესაბამებიან „სამრეწველო მცენარის“ განმარტებას. ცვლილების თანახმად, ბიოლოგიური აქტივები, რომლებიც შეესაბამებიან „სამრეწველო მცენარის“ განმარტებას, აღარ დაექვემდებარებიან ბასს 41-ის მოქმედების ფარგლებს. სანაცვლოდ, ისინი დაექვემდებარებიან ბასს 16-ს. პირველადი აღიარების შემდეგ, სამრეწველო მცენარეების შეფასება მოხდება ბასს 16-ის მიხედვით, დაგროვილი ღირებულებით (სიმწიფემდე), ღირებულების ან გადაფასების (სიმწიფის შემდეგ) მოდელის გამოყენებით. დამატებები, ასევე მოითხოვს, რომ პროდუქტი, რომელიც იზრდება სამრეწველო მცენარეებზე, დარჩეს ბასს 41-ის მოქმედების ფარგლებში და შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით და ნაკლები გასაყიდი ხარჯებით. სამრეწველო მცენარეებთან დაკავშირებული სამთავრობო გრანტებისთვის, გამოყენებული უნდა იქნეს ბასს 20 „სამთავრობო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნები“. დამატებები, წლიური ანგარიშებისთვის, რეტროსპექტიულად (უკუქცევითი ძალით) ძალაში შედის, 2016 წლის 1 იანვრიდან და შემდეგ, ნებადართულია დამატებების ვადაზე ადრე დანერგვა და გამოყენება. ამ დამატებებს არანაირი გავლენა არ ექნებათ „ჯგუფზე“, რადგან ამ უკანასკნელს არ გააჩნია სამრეწველო მცენარეები.

ცვლილებები ბასს (IAS) 27-ში „კაპიტალ-მეთოდი ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში“

ცვლილებები საწარმოებს საშუალებას მისცემს, გამოიყენონ კაპიტალ-მეთოდი, რათა ბუღალტრულად აღრიცხოს შვილობილ, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში ჩადებული ინვესტიციები, თავიანთ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებში. ორგანიზაციებმა, რომლებიც უკვე იყენებენ ფასს-ს და რომელთაც სურთ, რომ გადაერთონ კაპიტალ-მეთოდზე, ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, უნდა შეიტანონ ეს ცვლილება რეტროსპექტიულად (უკუქცევითი ძალით). ორგანიზაციები, რომლებიც პირველად იყენებენ ფასს-ს და რომელთაც სურთ, რომ გადაერთონ კაპიტალ-მეთოდზე, ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, ამ მეთოდის გამოყენება მოეთხოვებათ ფასს-ზე გადასვლის თარიღიდან. დამატებები წლიური ანგარიშებისთვის ძალაში შედის 2016 წლის 1 იანვრიდან და შემდეგ, ნებადართულია დამატებების ვადაზე ადრე დანერგვა და გამოყენება. „ბანკი“ ამჟამად განიხილავს, გამოიყენოს თუ არა ეს დამატებები ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. „ჯგუფის“ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებას გავლენა არ ექნება.

ცვლილებები ფასს (IFRS) 10-სა და ბასს (IAS) 28-ში „აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის“.

ცვლილება ეხება ფასს 10-ის და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის არსებულ აღიარებულ შეუსაბამობას შვილობილ კომპანიაზე კონტროლის დაკარგვასთან მიმართებით. აღნიშნული ცვლილებების თანახმად, ინვესტორი აღიარებს მოგებას ან ზარალს აქტივების გაყიდვასთან ან დაბანდებასთან დაკავშირებით, რაც, ფასს 3-ის თანახმად, წარმოადგენს ბიზნესს ინვესტორსა და მის ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოს შორის. ყოფილ შვილობილ კომპანიაში დარჩენილი ინვესტიციის სამართლიანი ღირებულებით გადაფასების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარებული იქნება მხოლოდ ყოფილ შვილობილ კომპანიაში ინვესტორის წილის ფარგლებში. ცვლილებების გამოყენება დასაშვებია პერსპექტიულად, 2016 წლის 1 იანვრის შემდგომი წლიური პერიოდებისთვის. ვადაზე ადრე გამოყენება დასაშვებია.

2010-2012 წ.წ. ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესებები

ეს გაუმჯობესებები ძალაში შედის 2014 წლის 1 ივლისს და, სავარაუდოდ, არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას „ჯგუფზე“. ისინი მოიცავს შემდეგს:

ფასს (IFRS) 2 „წილობრივი გადახდა“

ეს გაუმჯობესება გამოიყენება პერსპექტიულად და განმარტავს სხვადასხვა საკითხებს საქმიანობისა და მომსახურების პირობების განსაზღვრებასთან დაკავშირებით, რაც წარმოადგენს უფლების გადაცემის პირობებს, მათ შორისაა შემდეგი პირობები:

- ▶ საქმიანობის პირობა უნდა მოიცავდეს მომსახურების პირობას;
- ▶ საქმიანობის მიზანი უნდა იყოს შესრულებული კონტრაგენტის მიერ მომსახურების განხორციელებისას;
- ▶ საქმიანობის მიზანი შეიძლება დაკავშირებული იყოს ოპერაციებთან ან საწარმოს საქმიანობასთან ან იმავე ჯგუფის სხვა სამეურნეო ერთეულის საქმიანობასთან;
- ▶ საქმიანობის პირობა შეიძლება მოიცავდეს საბაზრო ან არასაბაზრო პირობას;
- ▶ თუ კონტრაგენტი რამე მიზეზით წყვეტს მომსახურების მიწოდებას უფლების გადაცემის პერიოდში, მომსახურების პირობა არ ჩაითვლება დაკმაყოფილებულად.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

5. სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 3 „საწარმოთა გაერთიანება“

ცვლილება გამოიყენება პერსპექტიულად და განმარტავს, რომ ყველა პირობითი ანაზღაურება, რომელიც კვალიფიცირდება, როგორც საწარმოთა გაერთიანებიდან გამომდინარე ვალდებულება (ან აქტივი) შემდგომში სამართლიანი ღირებულებით უნდა იქნას შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, მიუხედავად იმისა, შეესაბამება თუ არა ისინი ფასს 9-ს (ან ბასს 39-ს).

ფასს 8 (IFRS) „საოპერაციო სეგმენტები“

ცვლილებები გამოიყენება რეტროსპექტიულად (უკუქცევითი ძალით) და განმარტავს იმას, რომ:

- ▶ საწარმო ვალდებულია, გააცხადოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები ფასს 8-ის მე-12 მუხლში მითითებული აგრეგირების კრიტერიუმთან დაკავშირებით, სადაც წარმოადგენს აგრეგირებული საოპერაციო სეგმენტების მოკლე აღწერასა და აქტივების ეკონომიკურ მახასიათებლებს (გაყიდვები და ერთობლივი შემოსავალი), რომელთა მიხედვითაც ფასდება სეგმენტების „მსგავსება“.
- ▶ სეგმენტის აქტივებისა და მთლიანი აქტივების შეჯერების გაცხადება აუცილებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეჯერება უნდა წარედგინოს საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიმღებ მთავარ პირს, სეგმენტის ვალდებულებების სავალდებულო განმარტებითი შენიშვნების ანალოგიურად.
- ▶ ფასს 13 „მოკლევადიანი დებიტორული და კრედიტორული დავალიანება“ – ფასს 13-ის ცვლილება ფასს 13 -ის გაუმჯობესება „დასკვნის საფუძველზე“ განმარტავს, რომ დაუდგენელი საპროცენტო განაკვეთის მქონე მოკლევადიანი დებიტორული და კრედიტორული დავალიანების შეფასება შეიძლება ინვოისის თანხების საფუძველზე, იმ შემთხვევაში, როდესაც დისკონტირების ეფექტი უმნიშვნელოა.

ბასს (IAS) 16 „ძირითადი საშუალებები“ და ბასს (IAS) 38 „არამატერიალური აქტივები“

ცვლილებები გამოიყენება რეტროსპექტიულად (უკუქცევითი ძალით) და ბასს 16 და ბასს 38 განმარტავს, რომ აქტივების გადაფასება შესაძლებელია არსებული მონაცემების საფუძველზე მთლიანი ან წმინდა მიმდინარე ღირებულებით, ამასთანავე, დაგროვილი ცვეთა ან ამორტიზაცია წარმოადგენს სხვაობას აქტივის მთლიან და მიმდინარე ღირებულებებს შორის.

ბასს (IAS) 24 „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“

ცვლილება რეტროსპექტიულად გამოიყენება და განმარტავს, რომ მმართველი სამეურნეო სუბიექტი (ანუ სამეურნეო სუბიექტი, რომელიც უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობით ამარაგებს საწარმოს) არის დაკავშირებული მხარე და ამიტომ მასზე უნდა გავრცელდეს დაკავშირებული მხარის განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნა. გარდა ამისა, საწარმო, რომელიც გამოიყენებს მმართველი სამეურნეო სუბიექტის მომსახურებას, ვალდებულია წარმოადგინოს მართვის მომსახურების ხარჯის განმარტებითი შენიშვნები.

2011–2013 წ.წ. ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესებები

ეს გაუმჯობესებები ძალაში შედის 2014 წლის 1 ივლისს და, სავარაუდოდ, არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას „ჯგუფზე“. ისინი მოიცავს შემდეგს:

ფასს (IFRS) 3 „საწარმოთა გაერთიანება“

ცვლილებები განსაზღვრულია სამომავლოდ და მათი მიზანია, რომ ფასს 3-ის ფარგლებში არსებული გამოწვევებისთვის დააზუსტონ, რომ:

- ▶ არა მხოლოდ ერთობლივი საწარმოები, არამედ ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების ფარგლებში არსებული ყველა საქმიანობა, სცდება ფასს 3-ის მოქმედების ფარგლებს.
- ▶ ეს გამოწვევის გამოიყენება მხოლოდ თავად ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების ფინანსური ანგარიშების ბუღალტრული აღრიცხვისთვის.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიზი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

5. სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

2011-2013 წ.წ. ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესებები (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 13 „სამართლიანი ღირებულებით შეფასება“

ცვლილება გამოიყენება პერსპექტიულად და განმარტავს, რომ ფასს 13-ში პორტფელის გამოწვევის შეიძლება გავრცელდეს არა მხოლოდ ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე, არამედ სხვა კონტრაქტებზეც ფასს 9-ის (ან, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, ბასს 39-ის) ფარგლებში.

ბასს (IAS) 40 „საინვესტიციო ქონება“

დამხმარე მომსახურებების აღწერა, რომელიც ბასს 40-შია მოცემული, განასხვავებს საინვესტიციო ქონებასა და მესაკუთრის მიერ დაკავებულ ქონებას (ანუ ძირითად საშუალებებს). ცვლილებები გამოიყენება პერსპექტიულად და მათი მიზანია განმარტონ, რომ იმის დასადგენად, თუ რას წარმოადგენდა კონკრეტული ტრანსაქცია, აქტივის შეძენას თუ საწარმოთა გაერთიანებას, გამოიყენება ფასს 3 და არა ბასს 40-ში მოცემული დამხმარე მომსახურებების აღწერა.

ეფექტური ფასს-ების მნიშვნელობა – ცვლილებები ფასს (IFRS) 1-ში

ცვლილება „დასკვნის საფუძველში“ განმარტავს, რომ საწარმოს შეუძლია გააკეთოს არჩევანი და გამოიყენოს ან არსებული სტანდარტი, ან ახალი სტანდარტი, რომელიც ჯერ არ არის სავალდებულო, მაგრამ მისი წინასწარ გამოყენება ნებადართულია, მაგრამ ამასთანავე აუცილებელია, რომ ეს სტანდარტი უწყვეტად იყოს გამოყენებული, ორგანიზაციის მიერ ფასს-ის მიხედვით მომზადებულ პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული საანგარიშო პერიოდებისთვის. ეს ცვლილება არ არის რელევანტური „ჯგუფისთვის“, რადგან ეს უკანასკნელი დიდი ხანია იყენებს ფასს-ს.

2012-2014 წ.წ. ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესებები

ეს გაუმჯობესებები ძალაში შედის 2016 წლის 1 იანვრიდან და, სავარაუდოდ, არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას „ჯგუფზე“. ისინი მოიცავს შემდეგს:

ფასს (IFRS) 5 „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“ – გასხვისების მეთოდების ცვლილებები

აქტივების (ან მათი ჯგუფების) გასხვისება ძირითადად ხდება მათი გაყიდვით, ან მფლობელებისთვის განაწილებით. ფასს 5-ის ცვლილებები განმარტავს, რომ გასხვისების ერთი მეთოდიდან მეორეზე გადასვლა, არ უნდა იქნეს მიჩნეული გასხვისების ახალ გეგმად, არამედ უნდა ჩაითვალოს არსებული გეგმის გაგრძელებად. მაშასადამე, ფასს 5-ის მოთხოვნების გამოყენება ხდება უწყვეტად. ცვლილება ასევე განმარტავს, რომ გასხვისების მეთოდის ცვლილება არ ცვლის კლასიფიცირების თარიღს. ცვლილება გამიზნულია სამომავლოდ და უნდა იქნეს გამოყენებული მეთოდების ცვლილებებისთვის, რომლებიც განხორციელდება 2016 წლის 1 იანვარს ან შემდგომ საანგარიშო პერიოდში. სტანდარტის წინასწარი გამოყენება და დანერგვა ნებადართულია.

ფასს (IFRS) 7: „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ – მომსახურების კონტრაქტები

ფასს 7 საწარმოებისგან მოითხოვს განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას ნებისმიერი მოგების შესახებ, რომელსაც იღებს გადაცემული აქტივიდან, რომელიც სრულად არის ჩამოწერილი ბალანსიდან. ასეთ შემოსავალს ეწოდება „შემდგომი გამოყენება“. მმართველ საბჭოს დაუსვეს კითხვა, წარმოადგენს თუ არა მომსახურების კონტრაქტები „შემდგომი გამოყენებას“, რათა დაეზუსტებინათ მომავალში განმარტებითი შენიშვნების ამ მოთხოვნების გამოყენების საჭიროება. ცვლილება განმარტავს, რომ მომსახურების კონტრაქტი, რომელიც შეიცავს გასამრჯელოს, წარმოადგენს ფინანსური აქტივის შემდგომ გამოყენებას. საწარმო უნდა შეაფასოს გასამრჯელოს და კონტრაქტის ხასიათი „შემდგომი გამოყენების“ სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, რომლებიც მოცემულია ფასს 7.830 და ფასს 7.42გ მუხლებში, რათა დაადგინოს, აუცილებელია თუ არა განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენა. ცვლილებები ძალაში შედის 2016 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის. სტანდარტის წინასწარი გამოყენება და დანერგვა ნებადართულია. ცვლილების გამოყენებისას, მომსახურების კონტრაქტების შეფასება, „შემდგომი გამოყენების“ დადგენის მიზნით, უნდა მოხდეს უკუქცევითი ძალის პრინციპის გათვალისწინებით. თუმცა, სავალდებულო განმარტებითი შენიშვნები, ცვლილებების გამოყენების პირველის წლიურ პერიოდამდე, ნებისმიერი წინა პერიოდისთვის არ იქნება საჭირო.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

5. სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

2012-2014 წ.წ. ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესებები (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 7: „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ – ურთიერთჩათვლის შესახებ განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნის გამოყენებადობა შემოკლებულ შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებში

2011 წლის დეკემბერში ფასს 7-ში შევიდა ცვლილებები, რომლებითაც მას დაემატა ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთჩათვლის სახელმძღვანელო პრინციპები. თავში, რომელიც ეხება დამატების ძალაში შესვლის თარიღსა და ცვლილებაზე გადასვლას, წერია, რომ „ორგანიზაციამ ცვლილებების გამოყენება უნდა დაიწყოს 2013 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშო პერიოდისთვის და მათი შუალედური პერიოდებისთვის. თუმცა, შუალედური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნების სტანდარტი - ბასს (IAS) 34 ამ მოთხოვნას არ ასახავს და გაურკვეველია, აუცილებელია თუ არა ასეთი ინფორმაციის გაცხადება შემოკლებულ შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებში.

ცვლილებამ ტექსტიდან ამოიღო ფრაზა „...და მათი შუალედური პერიოდებისთვის“, რითაც ნათელი გახდა, რომ ფასს 7-ში მოცემული განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების გამოყენება არ არის სავალდებულო შემოკლებულ შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებში, დამატებები, რეტროსპექტიულად (უკუქცევითი ძალით) შედის ძალაში, 2016 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული საანგარიშო პერიოდისთვის. ნებადართულია დამატებების ვადაზე ადრე დანერგვა და გამოყენება.

ბასს (IAS) 19 „დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები – დისკონტირების განაკვეთთან დაკავშირებული რეგიონული ბაზრის საკითხი“

ცვლილება განმარტავს, რომ მაღალი ხარისხის კორპორატიული ობლიგაციების ბაზრის სიღრმის შეფასება ხდება ვალუტის მიხედვით, რომელშიც არის ვალდებულება გამოხატული და არა იმ ქვეყნის მიხედვით, სადაც ვალდებულება მდებარეობს. როდესაც არ არსებობს მაღალი ხარისხის კორპორატიული ობლიგაციების ბაზრის სიღრმე ასეთ ვალუტაში, უნდა მოხდეს სახელმწიფო ობლიგაციების განაკვეთების გამოყენება.

ცვლილებები ძალაში შედის 2016 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის. სტანდარტის წინასწარი გამოყენება და დანერგვა ნებადართულია.

ბასს (IAS) 34 „შუალედური ფინანსური ანგარიშგება – ინფორმაციის გაცხადება შუალედური ფინანსური ანგარიშის დანარჩენ ნაწილში“

ცვლილება განმარტავს, რომ ინფორმაცია, რომლის გაცხადებაც აუცილებელია შუალედურ ანგარიშგებში, უნდა გაცხადდეს ან პირდაპირ შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებში ან უნდა ჩაირთოს, ჯვარედინი მითითებების გზით, შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებასა და უფრო დიდ შუალედურ ანგარიშგებს შორის (მაგ. ხელმძღვანელობის კომენტარები ან რისკების ანგარიში). ხელმძღვანელობამ დააზუსტა, რომ შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებში მოცემული სხვა ინფორმაცია, იმავე პირობებით და იმავე დროს უნდა იყოს ხელმისაწვდომი მომხმარებლებისთვის, როგორც არის ხელმისაწვდომი შუალედური ფინანსური ანგარიშგებში. თუ სხვა ინფორმაცია მომხმარებლებისთვის არ იქნება ხელმისაწვდომი ზემოხსენებული პირობებისა და ვადების დაცვით, შუალედური ფინანსური ანგარიშგეში ჩაითვლება არასრულად. დამატებები, რეტროსპექტიულად (უკუქცევითი ძალით) შედის ძალაში, 2016 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული საანგარიშო პერიოდისთვის. ნებადართულია დამატებების ვადაზე ადრე დანერგვა და გამოყენება.

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2014	2013
ერთდღიანი დეპოზიტები სებ-ში	84,322	51,029
მიმდინარე ანგარიშები სებ-ში	76,519	15,284
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	37,523	43,221
მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში	9,935	36,641
ვადიანი დეპოზიტები საკრედიტო დაწესებულებებში	4,322	31,687
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	212,621	177,862

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა საკრედიტო დაწესებულებების მიმდინარე ანგარიშების 61% განთავსებულია ორ არარეზიდენტ საკრედიტო დაწესებულებაში (2013 წ.: 84%).

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (გაგრძელება)

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერთდღიან დეპოზიტს სებ-ში ერიცხებოდა 2.5%-იანი (2013 წ.: 2.25%) საპროცენტო განაკვეთი.

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ბანკის“ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განეკუთვნებოდა საკრედიტო რისკის მიხედვით მაღალი შეფასების აქტივებს და არ იყო ვადაგადაცილებული, ინდივიდუალურად დარეზერვებული ან რესტრუქტურისებული.

7. მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ

	2014	2013
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	63,760	49,902
ვადიანი დეპოზიტები	200	139
მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	<u>63,960</u>	<u>50,041</u>

საკრედიტო დაწესებულებებს მოეთხოვებათ საქართველოს ეროვნულ ბანკში საპროცენტო სარგებლის მქონე დეპოზიტების (სავალდებულო რეზერვი) გახსნა, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია საკრედიტო დაწესებულებების მიერ მოზიდული თანხების მოცულობაზე. კანონმდებლობის შესაბამისად, „ჯგუფს“ შეზღუდული აქვს დეპოზიტზე არსებული თანხების გამოტანის უფლება.

2014 და 2013 წლებში სარეზერვო ანგარიშზე აშშ დოლარით განთავსებულ მინიმალურ რეზერვზე დასარიცხი საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია, როგორც აშშ ფედერალური სარეზერვო სისტემის პოლიტიკის განაკვეთის გამოკლებული 0.5 პროცენტული პუნქტი; სარეზერვო ანგარიშზე ევროთი განთავსებულ მინიმალურ რეზერვზე დასარიცხი საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია, როგორც ევროპის ცენტრალური ბანკის განაკვეთის გამოკლებული 0.5 პროცენტული პუნქტი.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 200 ლარი (2013 წ.: 139 ლარი), რომელიც განეკუთვნებოდა ვადიან დეპოზიტებს, განთავსდა გრძელვადიან დეპოზიტზე და გამოყენებული იქნა უზრუნველსაყოფად საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან ანგარიშსწორების ოპერაციებში.

8. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები

	2014	2013
კორპორატიული სესხები	257,758	209,686
სამომხმარებლო სესხები	232,063	180,200
სესხები მცირე ბიზნესისთვის	139,836	107,826
ფიზიკური პირების ანაბრით უზრუნველყოფილი სესხები	6,833	6,492
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები, სულ	<u>636,490</u>	<u>504,204</u>
გამოკლებული - გაუფასურების რეზერვი	<u>(25,470)</u>	<u>(26,031)</u>
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები, წმინდა	<u>611,020</u>	<u>478,173</u>

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ათასი ლარი)

8. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

კლიენტებზე გაცემული სესხების და ავანსების გაუფასურების რეზერვი

კლიენტებზე გაცემული სესხების და ავანსების გაუფასურების რეზერვის შედარება ტიპების მიხედვით ასეთია:

	კორპორატიული სესხები 2014 წ.	სამომხმარებლო სესხები 2014 წ.	სესხები მცირე ბიზნესისთვის 2014 წ.	სულ 2014 წ.
2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	18,998	3,670	3,363	26,031
წლის დანარიცხი/აღდგენა, ნეტო	(3,493)	2,838	(1,397)	(2,052)
საკურსო სხვაობები	1,011	86	101	1,198
ჩამოწერილი სესხების და ავანსების აღდგენა	609	1,077	527	2,213
ჩამოწერილი თანხები	(145)	(1,775)	–	(1,920)
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16,980	5,896	2,594	25,470
ინდივიდუალური გაუფასურება	13,428	105	839	14,372
კოლექტიური გაუფასურება	3,552	5,791	1,755	11,098
	16,980	5,896	2,594	25,470
ინდივიდუალურად შეფასებული და გაუფასურებულად მიჩნეული სესხების მთლიანი თანხა, ინდივიდუალურად შეფასებული გაუფასურების რეზერვის გამოქვითვამდე	23,301	500	1,629	25,430

	კორპორატიული სესხები 2013 წ.	სამომხმარებლო სესხები 2013 წ.	სესხები მცირე ბიზნესისთვის 2013 წ.	სულ 2013 წ.
2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	25,784	2,866	3,572	32,222
წლის დანარიცხი/აღდგენა, ნეტო	(7,390)	2,052	1,063	(4,275)
საკურსო სხვაობები	820	76	94	990
ჩამოწერილი სესხების და ავანსების აღდგენა	1,718	655	687	3,060
ჩამოწერილი თანხები	(1,934)	(1,979)	(2,053)	(5,966)
2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	18,998	3,670	3,363	26,031
ინდივიდუალური გაუფასურება	16,035	358	674	17,067
კოლექტიური გაუფასურება	2,963	3,312	2,689	8,964
	18,998	3,670	3,363	26,031
ინდივიდუალურად შეფასებული და გაუფასურებულად მიჩნეული სესხების მთლიანი თანხა, ინდივიდუალურად შეფასებული გაუფასურების რეზერვის გამოქვითვამდე	30,165	990	1,598	32,753

ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხები

დარიცხული საპროცენტო შემოსავალი იმ სესხებზე, რომელთათვისაც აღიარებულ იქნა ინდივიდუალური გაუფასურების რეზერვი, 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 2,333 ლარს (2013 წ.: 2,413 ლარი).

სესხის უზრუნველყოფა

უზრუნველყოფისათვის საჭირო მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. ამ მიზნით შემუშავებულია უზრუნველყოფის ტიპებისა და შეფასების პარამეტრები და ინსტრუქციები.

მიღებული უზრუნველყოფის ძირითადი ტიპებია:

- ▶ კომერციული სესხებისათვის - უძრავი ქონება, სასაქონლო მატერიალური მარაგები, სავაჭრო დებიტორული დავალიანება და საბანკო გარანტიები და დეპოზიტები.
- ▶ საცალო სესხებისათვის - საბანკო დეპოზიტები, საცხოვრებელი ფართის გირაო, სასაქონლო-მატერიალური მარაგები, საყოფაცხოვრებო აქტივები და შესამე მხარეთა თავდებობა.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

8. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

„ჯგუფი“ ასევე იღებს კლიენტის მშობელი კომპანიების გარანტიებს შვილობილი კომპანიების სესხების უზრუნველსაყოფად.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ჯგუფის“ მიერ წლის განმავლობაში დასაკუთრებულმა უზრუნველყოფამ (მიწა და შენობები) დასაკუთრების მომენტში არსებული თვითღირებულებით შეადგინა 8,747 ლარი (2013 წ.: 9,804 ლარი), რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც საინვესტიციო ქონება. იხილეთ მე-11 შენიშვნა.

„ჯგუფის“ პოლიტიკით, დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნების გაყიდვა რეგულირდება შესაბამისი პროცედურებით. რეალიზაციიდან მიღებული თანხები გამოიყენება „ბანკის“ მოთხოვნების დასაფარად. ზოგადად, „ჯგუფი“ დასაკუთრებულ აქტივებს კომერციული მიზნებისათვის არ იყენებს.

კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების კონცენტრაცია

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ბანკის“ სესხების კონცენტრაცია ათ უმსხვილეს მესამე მხარე მსესხებელზე შეადგენს 131,744 ლარს (მთლიანი სასესხო პორტფელის 20.7%) (2013 წ.: 104,715 ლარი ანუ 20.8%). აღნიშნული სესხებისათვის შეიქმნა რეზერვი 10,397 ლარის (2013 წ.: 8,869 ლარი) ოდენობით.

2014 წლის 31 დეკემბრისთვის კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები მოიცავდა უმსხვილესი მსესხებლის მიმართ გაცემული სესხის თანხას 25,174 ლარის ოდენობით, რაც მთლიანი პორტფელის 4%-ს შეადგენდა (2013 წ.: 21,617 ლარი, ანუ 4.3%).

კლიენტებზე გაცემული სესხები კლიენტების ტიპების მიხედვით:

	2014	2013
მეწარმე იურიდიული პირები	371,289	295,849
ფიზიკური პირები	265,201	208,355
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები, სულ	636,490	504,204

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების (რომლებიც ძირითადად საქართველოშია გაცემული) განაწილება დარგების მიხედვით:

	2014	2013
ფიზიკური პირები	265,201	208,355
ვაჭრობა და მომსახურება	229,502	177,876
უძრავი ქონების მშენებლობა	45,580	34,541
წარმოება	24,204	29,559
სოფლის მეურნეობა და საკვები პროდუქტების გადამამუშავება	21,996	9,644
საფინანსო საქმიანობა	15,730	16,739
ტრანსპორტი და ტელეკომუნიკაციები	6,050	5,416
ენერგეტიკა	5,414	3,711
სხვა	22,813	18,363
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები, სულ	636,490	504,204

9. გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები მოიცავდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფასიან ქაღალდებს საბალანსო ღირებულებით 9,792 ლარი (2013 წ.: 4,849 ლარი), საქართველოს ეროვნული ბანკის ფასიან ქაღალდებს საბალანსო ღირებულებით 64,034 ლარი (2013 წ.: 48,767 ლარი) და კომუნალური გადახდების კლირინგის სფეროს ერთი ქართული კომპანიის აქციებს საბალანსო ღირებულებით 54 ლარი (2013: 54 ლარი) .

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვიტიბი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ათასი ლარი)

10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების დინამიკა 2014 და 2013 წლებში შემდეგია:

	მიწა და შენობა- ნაგებობები	კომპიუტერული და საკომუნიკაციო აღჭურვილობა	ავტო და საოფისე ტექნიკა	კომუნალური სისტემები და მასთან დაკავშირებული მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	საიჯარო გაუმჯობესებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება ან გადაფასებული ღირებულება								
31 დეკემბერი, 2012 წ.	22,977	7,141	7,551	1,938	1,200	2,011	351	43,169
შემოსვლები	-	833	688	-	110	-	211	1,842
შიდა გადაცემა	303	-	59	-	-	200	(562)	-
გასვლები	-	(73)	(258)	-	(48)	-	-	(379)
31 დეკემბერი, 2013 წ.	23,280	7,901	8,040	1,938	1,262	2,211	-	44,632
შემოსვლები	441	895	697	-	426	-	582	3,041
შიდა გადაცემა	188	-	7	-	-	387	(582)	-
გასვლები	-	(101)	(136)	-	(82)	-	-	(319)
31 დეკემბერი, 2014 წ.	23,909	8,695	8,608	1,938	1,606	2,598	-	47,354
დარიცხული ცვეთა და გაუფასურება								
31 დეკემბერი, 2012 წ.	-	(4,984)	(2,999)	(92)	(689)	-	-	(8,764)
ცვეთის დანარიცხი	(493)	(874)	(1,092)	(68)	(149)	(265)	-	(2,941)
გასვლები	-	68	240	-	49	-	-	357
31 დეკემბერი, 2013 წ.	(493)	(5,790)	(3,851)	(160)	(789)	(265)	-	(11,348)
ცვეთის დანარიცხი	(494)	(969)	(1,148)	(68)	(156)	(319)	-	(3,154)
გასვლები	-	99	109	-	82	-	-	290
31 დეკემბერი, 2014 წ.	(987)	(6,660)	(4,890)	(228)	(863)	(584)	-	(14,212)
წმინდა საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი, 2012 წ.	22,977	2,157	4,552	1,846	511	2,011	351	34,405
31 დეკემბერი, 2013 წ.	22,787	2,111	4,189	1,778	473	1,946	-	33,284
31 დეკემბერი, 2014 წ.	22,922	2,035	3,718	1,710	743	2,014	-	33,142

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დამოუკიდებელმა შემფასებელმა დაადგინა „ჯგუფის“ მიწისა და შენობა-ნაგებობების სამართლიანი ღირებულება. შემფასებელი არის ასეთი ტიპის ძირითადი საშუალებების შეფასების სპეციალისტი. 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ჯგუფმა“ მოახდინა თავისი შენობა-ნაგებობების საბაზრო ფასების ანალიზი და დაასკვნა, რომ მათი საბაზრო ფასი არსებითად არ განსხვავდებოდა მათი საბალანსო ღირებულებებისგან. „ჯგუფის“ შენობა-ნაგებობების სამართლიანი ღირებულების შეფასება დაწერილობით აღწერილია 23-ე შენიშვნაში.

გადაფასების ეფექტის გათვალისწინების გარეშე, „მიწისა და შენობა-ნაგებობების“ მუხლში აღრიცხული ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება 2014 წლის 31 დეკემბრისა და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იქნებოდა 31,099 ლარი (2013 წ.: 30,470 ლარი), ხოლო დარიცხული ცვეთა – 9,264 ლარი (2013 წ.: 8,588 ლარი).

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ექსპლუატაციაში მყოფი, მაგრამ სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების მთლიანი ღირებულება, შესაბამისი თანმიმდევრობით, შეადგენდა 6,756 ლარს და 5,373 ლარს.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიზი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

11. საინვესტიციო ქონება

	2014	2013
საწყისი ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	26,926	20,723
შემოსვლები (მე-8 შენიშვნა)	8,747	9,804
გასვლები	(11,279)	(4,099)
არარეალიზებული მოგება გადაფასებიდან	(42)	498
საბოლოო ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	24,352	26,926

საინვესტიციო ქონება არის მიწისა და შენობებისგან შემდგარი უძრავი ქონება, რომელიც „ჯგუფმა“ მიიღო დაუფარავი სესხების უზრუნველყოფის საგნების დასაკუთრებით. იხილეთ მე-8 შენიშვნა.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საინვესტიციო ქონების გასხვებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა 1,416 ლარი იყო (2013 წ.: 1,702 ლარი). ხუთი უმსხვილესი შემოსულობა 1,237 ლარს შეადგენდა (საინვესტიციო ქონების გასხვებიდან მიღებული წმინდა შემოსულობის 87.4%) (2013 წ.: 1,479 ლარი, ანუ 86.9%). 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დამოუკიდებელმა შემფასებელმა განსაზღვრა „ჯგუფის“ საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება. შემფასებელი არის ასეთი ტიპის ქონების შეფასების სპეციალისტი. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის შემდგარი ჩვეულებრივი გარიგების პირობებში. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შეფასება დაწვრილებით აღწერილია 23-ე შენიშვნაში.

ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრა ადგილობრივი ბაზრის ანალოგიური გარიგებების საფუძველზე. საბაზრო მიდგომა გამოიყენებოდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით, შემოსავლების მიდგომა გამოიყენებოდა მიღებული შეფასებების დასადასტურებლად, ხოლო დანახარჯების მეთოდი გამოიყენებოდა ქონების ღირებულების განსაზღვრად მაშინ, როდესაც არ არსებობდა მსგავსი საკუთრებისთვის იმავე ტერიტორიულ არეალში მიმდინარე გაყიდვებზე ან საიჯარო განაკვეთებზე ინფორმაცია.

12. გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს:

	2014	2013
მიმდინარე გადასახადის ხარჯი	–	(1)
გადავადებული საგადასახადო ხარჯი - დროებითი სხვაობების წარმოშობა და გაუქმება.	(1,936)	(3,170)
გამოკლებული: სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული გადავადებული გადასახადი	–	5
მოგების გადასახადის ხარჯი	(1,936)	(3,166)

მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოგების გადასახადის განაკვეთისგან. ქვემოთ, კანონმდებლობით გათვალისწინებული განაკვეთების მიხედვით, მოგების გადასახადის ხარჯი შესაბამისობაშია მოყვანილი გადასახადის რეალურ ოდენობასთან:

	2014	2013
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	23,669	16,447
კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით	(3,550)	(2,467)
ცვლილება აუღიარებელ გადავადებულ საგადასახადო აქტივებში (ვადაგასული ნაწილის გარდა)	887	2,134
მომდევნო პერიოდზე გადატანილი წმინდა საგადასახადო ზარალის ვადაგასული ნაწილის საგადასახადო ეფექტი	–	(2,163)
არაგამოქვითადი ხარჯები	(46)	(311)
შემოსავლები, რომლებიც არ ექვემდებარება დაბეგვრას, შემცირებული საგადასახადო მიზნებისათვის აღიარებული შემოსავლებით	773	(359)
მოგების გადასახადის ხარჯი	(1,936)	(3,166)

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

12. გადასახადები (გაგრძელება)

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი დინამიკა შესაბამის წლებში შემდეგია:

	დროებითი სხვაობების წარმოშობა და გაუქმება						
	მოგება- ზარალის ანგარიშგე- ბაში		სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგე- ბაში	მოგება- ზარალის ანგარიშგე- ბაში		სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგე- ბაში	2014
	2012			2013			
გადასახადის გავლენა გამოსაქვით დროებით სხვაობებზე							
მომდევნო პერიოდებზე გადატანილი ზარალი	9,165	(4,818)	–	4,347	(1,776)	–	2,571
ფინანსური ინსტრუმენტების კორექტირება ეფექტური საპროცენტო განაკვეთების შესაბამისად	991	316	–	1,307	84	–	1,391
დარიცხული ხარჯი	900	176	–	1,076	100	–	1,176
გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდები	162	(6)	5	161	-	–	161
საინვესტიციო ქონება	154	62	–	216	(216)	–	–
სხვა	401	(46)	–	355	(48)	–	307
მთლიანი გადავადებული საგადასახადო აქტივები	11,773	(4,316)	5	7,462	(1,856)	–	5,606
აუღიარებელი გადავადებული საგადასახადო აქტივები	(4,307)	2,134	–	(2,173)	887	–	(1,186)
გადავადებული საგადასახადო აქტივები	7,466	(2,182)	5	5,289	(969)	–	4,320
გადასახადის გავლენა დასაბეგრ დროებით სხვაობაზე:							
სესხების გაუფასურების რეზერვი	(240)	(746)	–	(986)	(897)	–	(1,883)
ძირითადი საშუალებები ძირითადი საშუალებების გადაფასება	(618)	(59)	–	(677)	(66)	–	(743)
საინვესტიციო ქონება	–	–	–	–	(52)	–	(52)
გაუფასურების და სხვა დანაკარგების რეზერვი	(115)	(173)	–	(288)	42	–	(246)
ფინანსური ინსტრუმენტების კორექტირება ეფექტური საპროცენტო განაკვეთით	(5)	(5)	–	(10)	6	–	(4)
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	(1,285)	(983)	–	(2,268)	(967)	–	(3,235)
წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივები	6,181	(3,165)	5	3,021	(1,936)	–	1,085

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

12. გადასახადები (გაგრძელება)

საქართველოში იურიდიულმა პირებმა ინდივიდუალური საგადასახადო დეკლარაციები უნდა წარადგინონ. 2014 და 2013 წლებში მოგების გადასახადის განაკვეთი ბანკებისათვის საქართველოში 15%-ს შეადგენდა. საგადასახადო განაკვეთი დანარჩენი კომპანიებისთვისაც 15% იყო. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული შემოსავალი არ იბეგრება.

საქართველოში მოქმედი გადასახადები მოიცავს მოგების გადასახადს, საშემოსავლო გადასახადს, ქონების გადასახადს, დამატებითი ღირებულების გადასახადს და სხვ. თუმცა მათი რეგულირება ხშირად ბუნდოვანია ან საერთოდ არ ხდება, და საკმარისი პრეცედენტი არ არსებობს. ამის გამო, საგადასახადო რისკები საქართველოში, ჩვეულებრივ, გაცილებით მაღალია, ვიდრე უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემის მქონე ქვეყნებში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ „ჯგუფი“ არსებითად აკმაყოფილებს იმ საგადასახადო კანონებს, რომლებიც მის საქმიანობას ეხება. ამის მიუხედავად, მაინც არსებობს იმის რისკი, რომ შესაბამისმა ორგანოებმა ამა თუ იმ კანონის სხვაგვარი ინტერპრეტაცია მოახდინონ.

„ბანკს“ და მის შვილობილ კომპანიებს აქვთ მომდევნო პერიოდზე გადატანილი 17,141 ლარის საგადასახადო ზარალი, რომელსაც ვადა ეწურება 2015 წელს.

წლის განმავლობაში „ბანკმა“ გამოქვითა მომდევნო პერიოდებზე გადატანილი საგადასახადო ზარალი 11,837 ლარის ოდენობით (2013 წ.: 17,702 ლარი) და ჩამოწერა ვადაგასული ნაწილი 0 ლარის ოდენობით (2013 წ.: 14,420 ლარი). გამოქვითვის საგადასახადო ეფექტმა შეადგინა 1,776 ლარი (2013 წ.: 2,655 ლარი), ხოლო ჩამოწერის საგადასახადო ეფექტმა - 0 ლარი (2013 წ.: 2,163 ლარი).

13. სხვა აქტივები და ვალდებულებები

სხვა აქტივებს მიეკუთვნება:

	2014	2013
ფინანსური აქტივები		
წარმოებული ფინანსური აქტივები	1,673	12
დაუსრულებელი ანგარიშსწორება ფულადი გადარიცხვებით	1,326	882
გარანტიებზე და აკრედიტივებზე დარიცხული მისაღები საკომისიო	69	126
დარიცხული შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან	7	47
საანგარიშსწორებო ოპერაციებზე გადახდილი ავანსები	—	5,066
ფინანსური აქტივები, სულ	3,075	6,133
არაფინანსური აქტივები		
წინასწარ გაწეული ხარჯები	1,363	2,346
არამატერიალური აქტივები	1,337	914
გადახდილი ავანსები	185	195
ხელმისაწვდომი სასაქონლო-მატერიალური მარაგები	120	123
წინასწარ გადახდილი საოპერაციო გადასახადები	42	913
არაფინანსური აქტივები, სულ	3,047	4,491
სხვა აქტივები	6,122	10,624

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საანგარიშსწორებო ოპერაციებზე 5,066 ლარის ოდენობით გადახდილი ავანსები წარმოადგენდა VISA Inc.-სთვის გადახდილ ავანსებს, რომლებიც შემდგომში გამოყენებულ იქნა საანგარიშსწორებო და საკლირინგო ოპერაციებისთვის. 2014 წელს ეს ოპერაციები ხორციელდებოდა „სითი ბანკში“ და „დოიჩე ბანკში“ გახსნილი საკორესპონდენტო ანგარიშების მეშვეობით.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ათასი ლარი)

13. სხვა აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა ვალდებულებები მოიცავდა შემდეგს:

	2014	2013
ფინანსური ვალდებულებები		
დარიცხული პრემია	6,814	6,259
ანგარიშსწორება პლასტიკური ბარათებით	1,044	6,316
დარიცხული ხარჯი	895	637
დარიცხული გამოუყენებელი შევსება	846	804
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	382	279
დაუსრულებელი ანგარიშსწორება ფულადი გადარიცხვებით	166	365
ანგარიშსწორება ძირითადი საშუალებების და სასაქონლო-მატერიალური მარაგების შესაძენად	23	344
სულ ფინანსური ვალდებულებები	10,170	15,004
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	1,015	1,205
„ბანკის“ აქციონერებისათვის გადასახდელი დივიდენდები	388	390
გადასახდელი საოპერაციო გადასახადები	140	–
რეზერვი იურიდიული სარჩელებისთვის	–	7
სულ არაფინანსური ვალდებულებები	1,543	1,602
სხვა ვალდებულებები	11,713	16,606

პლასტიკური ბარათებით ანგარიშსწორება 6,316 ლარის ოდენობით ძირითადად წარმოადგენს „ბანკის“ მიერ 2013 წლიდან გაწეული მომსახურების შედეგად ელექტრონული ვაჭრობით დაკავებული კონტრაგენტი კომპანიებისთვის გადასახდელ ანგარიშებს, რომელშიც „ბანკი“ გამოდიოდა შუამავლად კომპანიებსა და მომხმარებლებს შორის გარკვეული საკომისიო ანაზღაურების სანაცვლოდ. 2014 წლის ბოლოსთვის აღნიშნული ოპერაციების წარმოება ბანკმა თითქმის შეწყვიტა.

2014 და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ჯგუფის“ წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები სავალუტო სვოპებისგან შედგებოდა.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები შეფასებულია შეფასების მეთოდით, რომელიც იყენებს აქტიური ბაზრის მონაცემებს. გამოყენებული მეთოდიკა მოიცავს ფორვარდულ ფასწარმოქმნას, სვოპ მოდელებს, მიმდინარე ღირებულების გამოთვლის გამოყენებით. მოდელები შეიცავს სხვადასხვა მონაცემს მხარეთა საკრედიტო რეიტინგის, სავალუტო სვოპების და ფორვარდული კურსისა და საპროცენტო განაკვეთის მრუდის ჩათვლით. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს შემდეგს:

	2014				2013			
	პირობითი თანხა		სამართლიანი ღირებულებები		პირობითი თანხა		სამართლიანი ღირებულებები	
	აქტივი	ვალდებულება	აქტივი	ვალდებულება	აქტივი	ვალდებულება	აქტივი	ვალდებულება
სავალუტო ხელშეკრულებები								
ფორვარდები და სვოპები - უცხოურ ვალუტაში	45,000	43,709	1,673	382	36,534	36,801	12	279
სულ წარმოებული აქტივები/ვალდებულებები			<u>1,673</u>	<u>382</u>			<u>12</u>	<u>279</u>

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიზი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

14 ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების წინაშე

	2013	2013
„მშობელი ბანკისგან“ მიღებული სახსრები	51,516	62,742
ვადიანი ანაზრები და სესხები	5,000	24,342
მიმდინარე ანგარიშები	242	4,437
ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების წინაშე	<u>56,758</u>	<u>91,521</u>

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „მშობელი ბანკისგან“ მოზიდული სახსრების დაფარვის ვადები მერყეობდა 2015 წლის მარტიდან 2015 წლის დეკემბრამდე (2013 წ.: 2014 წლის იანვრიდან 2015 წლის დეკემბრამდე) და ერიცხებოდა წლიური საპროცენტო განაკვეთი 4.73%-იდან 8.14%-მდე (2013 წ.: 0.40%-დან 8.14%-მდე).

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ვადიანი ანაზრები და სესხები მოიცავდა ერთ ვადიან დეპოზიტს, რომლის დაფარვის ვადა იყო 2015 წლის იანვარი (2013 წ.: ვადიანი ანაზრების და სესხების დაფარვის ვადები მერყეობდა 2014 წლის იანვრიდან 2014 წლის ოქტომბრამდე) და ერიცხებოდა საპროცენტო განაკვეთი 5.1% (2013წ.: 2.30%-დან 6.50%-მდე).

15. ვალდებულებები კლიენტების წინაშე

	2014	2013
ფიზიკური პირები:		
- მიმდინარე/მოთხოვნამდე ანგარიშები	77,196	69,116
- ვადიანი ანაზრები	123,332	111,339
სულ ვალდებულებები ფიზიკური პირების წინაშე	<u>200,528</u>	<u>180,455</u>
სახელმწიფო და საბიუჯეტო ორგანიზაციები:		
- მიმდინარე/ანგარიშსწორების ანგარიშები	46,942	48,260
- ვადიანი ანაზრები	5,683	-
სულ ვალდებულებები სახელმწიფო და საბიუჯეტო ორგანიზაციების წინაშე	<u>52,625</u>	<u>48,260</u>
მეწარმე იურიდიული პირები:		
- მიმდინარე/ანგარიშსწორების ანგარიშები	353,659	219,183
- ვადიანი ანაზრები	97,906	72,254
სულ ვალდებულებები მეწარმე იურიდიული პირების წინაშე	<u>451,565</u>	<u>291,437</u>
სულ ვალდებულებები იურიდიულ პირთა წინაშე	<u>504,190</u>	<u>339,697</u>
სულ ვალდებულებები კლიენტების წინაშე	<u>704,718</u>	<u>520,152</u>
გაცემული სესხების აუთენსიკელი ნაწილის უზრუნველყოფა	304	19
გაცემული გარანტიების უზრუნველყოფა	12,016	3,989
აკრედიტივების უზრუნველყოფა	<u>18,640</u>	<u>19,324</u>
ანგარიშსწორების ოპერაციების უზრუნველყოფა	<u>347</u>	<u>46</u>

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ჯგუფს“ ჰყავდა ათი უმსხვილესი მეანაზრე კლიენტი, რომელთა მიმართ მთლიანი ვალდებულება შეადგენდა 313,920 ლარს, ანუ კლიენტების წინაშე ვალდებულებების 45%-ს შეადგენდა (2013 წ.: 200,096 ლარს, ანუ 38%-ს).

შიდა პროცედურებისა და საკონტრაქტო პირობების მიხედვით, „ბანკი“ ვალდებულია ვადიანი დეპოზიტი დაფაროს კლიენტის მოთხოვნისთანავე. თუ ვადიანი დეპოზიტი კლიენტს დაუბრუნდა ვადის გასვლამდე, დეპოზიტზე პროცენტის გადახდა ხდება მოთხოვნამდე დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთით, თუკი სხვაგვარად არ იქნა მითითებული ხელშეკრულებაში.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

15. ვალდებულებები კლიენტების წინაშე (გაგრძელება)

კლიენტთა ანგარიშების ანალიზი დარგების მიხედვით შემდეგია:

	2014	2013
ფიზიკური პირები	200,528	180,455
ტრანსპორტი და კომუნიკაცია	161,721	43,731
ენერგეტიკა	108,513	43,912
ვაჭრობა და მომსახურება	95,578	129,270
სახელმწიფო	52,625	48,260
უძრავი ქონების მშენებლობა	38,087	20,558
საფინანსო საქმიანობა	25,443	30,311
წარმოება	9,631	7,837
განათლება	7,927	10,762
სოფლის მეურნეობა	1,179	1,730
სხვა	3,486	3,326
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	704,718	520,152

16. სხვა ნასესხები სახსრები

	2014	2013
„მშობელი ბანკისგან“ ნასესხები სახსრები	54,196	45,397
საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან ნასესხები სახსრები	44,748	43,721
სახელმწიფო ორგანოებისგან ნასესხები სახსრები	1,953	2,590
სხვა ნასესხები სახსრები	100,897	91,708

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „მშობელი ბანკისგან“ ნასესხები სახსრების დაფარვის ვადები მერყეობდა 2015 წლის თებერვლიდან 2019 წლის აგვისტომდე (2013 წ.: 2014 წლის აპრილიდან 2015 წლის სექტემბრამდე) და ერიცხებოდა წლიური საპროცენტო განაკვეთი 3.52%-იდან 8.95%-მდე (2013 წ.: 6.71%-დან 8.95%-მდე). იხილეთ 25-ე შენიშვნა.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან ნასესხები სახსრები მოიცავდა აშშ დოლარსა და ევროში მოზიდული თანხებს, რომელთა დაფარვის ვადაც მერყეობდა 2015 წლის იანვრიდან 2032 წლის დეკემბრამდე (2013 წ.: 2014 წლის იანვრიდან 2032 წლის დეკემბრამდე), ხოლო საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრებოდა ლიბორ +3%-დან ლიბორ +5.25%-მდე, ხოლო ერთ კრედიტზე განაკვეთი იყო 0.75% (2013 წ.: ლიბორ+3%-დან ლიბორ+5.5%-მდე; 0.75%).

სახელმწიფო ორგანიზაციებიდან ნასესხები სახსრები 2014 წლის 31 დეკემბრისთვის მოიცავდა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისგან ენერგოსექტორის კომპანიების დაფინანსებისთვის მიღებულ თანხებს. ნასესხები თანხები გამოხატულია ევროში, მათი წლიური საპროცენტო განაკვეთია 3% (2013 წ.: 3%), ხოლო დაფარვის ვადა – 2018 წლის მაისიდან 2021 წლის ნოემბრამდე (2013 წ.: 2018 წლის მაისი).

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

17. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

ნებადართული და მთლიანად განაღებული ჩვეულებრივი აქციების დინამიკა ასეთია:

	ნებადართული აქციების რაოდენობა	განაღებული კაპიტალის აქციების რაოდენობა	ნომინალური ოდენობა, ლარში
31 დეკემბერი, 2012 წ.	148,042,701	148,042,701	148,043
სააქციო კაპიტალის გაზრდა	12,250,000	12,250,000	12,250
31 დეკემბერი, 2013 წ.	160,292,701	160,292,701	160,293
სააქციო კაპიტალის გაზრდა	11,000,000	11,000,000	11,000
31 დეკემბერი, 2014 წ.	171,292,701	171,292,701	171,293

„ბანკის“ საწესდებო კაპიტალში აქციონერთა მიერ შენატანი ხორციელდებოდა ლარში, შესაბამისად, კაპიტალი უნდა განაწილდეს დივიდენდის ან სხვა სახით მხოლოდ ლარში.

2013 წლის 23 ივლისს აქციონერმა მიიღო გადაწყვეტილება ნებადართული აქციების რაოდენობის 12,250,000-ით გაზრდის შესახებ. შესაბამისი ემისიის პროსპექტი 2013 წლის 31 ივლისს დაამტკიცა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა. ამ აქციებისთვის მიღებული საზღაური მოიცავდა ნაღდ ფულს 12,250 ლარის ოდენობით.

2014 წლის 28 თებერვალს აქციონერმა მიიღო გადაწყვეტილება ნებადართული აქციების რაოდენობის 11,000,000-ით გაზრდის შესახებ. შესაბამისი ემისიის პროსპექტი 2014 წლის 20 მარტს დაამტკიცა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა. ამ აქციებისთვის მიღებული საზღაური მოიცავდა ნაღდ ფულს 11,000 ლარის ოდენობით.

დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დივიდენდების განაწილება შეიძლება გამოცხადდეს „ბანკის“ აქციონერებისთვის წმინდა მოგებიდან, რომელიც მოცემულია „ბანკის“ მიერ ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებულ არაკონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, სებ-ი უნდა იყოს ინფორმირებული დივიდენდების გამოცხადების შესახებ. იმ შემთხვევაში თუ კომერციული ბანკი არღვევს სებ-ის სარეგულაციო მოთხოვნებს, მას აქვს უფლება შეაჩეროს ან აკრძალოს დივიდენდების გაცემა. 2014 წლის განმავლობაში ბანკის მიერ დივიდენდების გაცხადება არ მომხდარა.

2013 წლის 16 მაისს „ბანკის“ აქციონერთა ყოველწლიურმა საერთო კრებამ გამოაცხადა 2012 წლის დივიდენდები 3,753 ლარის ოდენობით, ანუ 0.02535 ლარი ერთ აქციაზე, სებ-ის მოთხოვნების თანახმად მომზადებული 2012 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე. დივიდენდების გამოცხადება ძალაში 2013 წლის 17 ივნისიდან შედის. გამოცხადებული მთლიანი თანხიდან 2013 წელს აქციონერებს 3,704 ლარის დივიდენდები გადაეხადათ.

18. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო გარემო

2014 წელს საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა შედარებით სტაბილური იყო. მიღწეულია 5%-იანი ეკონომიკური ზრდა. ერთგვარი სირთულეები შეიქმნა მე-4 კვარტალში, ევროპის ეკონომიკაში არსებული ვითარებისა, და განსაკუთრებით, ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების გამო. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სავაჭრო ბალანსის გაუარესება წინა წელთან შედარებით და ვალუტის კურსის შესამჩნევი კლება, თუმცა ინფლაცია 2% იყო და მიზნობრივ პარამეტრს (6%) მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

18. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

2014 წლის ბოლოსთვის არსებული ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით, 2015 წელს მოსალოდნელია ეკონომიკური ზრდის შემცირება.

2014 წელს რიგი ქვეყნების მიერ მშობელი კომპანიის წინააღმდეგ დაწესებული იქნა შეზღუდული სექტორული სანქციები. მშობელი კომპანია ითვალისწინებს აღნიშნულ სანქციებს თავისი საქმიანობაში, ახორციელებს მის მუდმივ მონიტორინგს და აანალიზებს მათ გავლენას ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე. აღნიშნულმა გარემოებებმა მოკლევადიან პერსპექტივაში შესაძლოა გარკვეულწილად შეაფერხოს „ჯგუფის“ განვითარების მაღალი ტემპები, თუმცა, ბოლო წლებში დაგროვილი პოტენციური სტაბილური განვითარებისა და საქართველოს საბანკო სისტემაში პოზიციის შენარჩუნების კარგ შესაძლებლობას ქმნის.

იურიდიული საკითხები

დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, „ჯგუფის“ წინააღმდეგ ხდება სარჩელის აღძვრა. ანგარიშგების დღისთვის „ჯგუფს“ მიღებული ჰქონდა რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ სარჩელების შედეგად არ მოხდება რესურსების არსებითი გადინება. შესაბამისად, წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ამისათვის არსებითი მნიშვნელობის რეზერვი არ არის გამოყოფილი, გარდა მე-13 შენიშვნაში აღნიშნულისა.

პირობითი ფინანსური ვალდებულებები

31 დეკემბრის მდგომარეობით, „ჯგუფის“ პირობითი ფინანსური ვალდებულებები შედგებოდა შემდეგისგან:

	2014	2013
საკრედიტო ვალდებულებები		
გაცემული გარანტიები	54,200	31,649
გაცემული სესხების აუთვისებელი ნაწილი	42,471	37,467
აკრედიტივები	25,046	34,766
კრედიტის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებები	7,181	6,148
პირობითი ფინანსური ვალდებულებები (უზრუნველყოფის გამოქვითვამდე)	<u>128,898</u>	<u>110,030</u>
გამოკლებული – გაცემული აკრედიტივებისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად განკუთვნილი ფულადი სახსრები (მე-15 შენიშვნა)	<u>(30,960)</u>	<u>(23,332)</u>
პირობითი ფინანსური ვალდებულებები	<u><u>97,938</u></u>	<u><u>86,698</u></u>
საოპერაციო იჯარის ვალდებულება		
1 წლამდე	616	617
1-დან 5 წლამდე	2,271	2,137
5 წელზე მეტი	<u>1,045</u>	<u>1,369</u>
	<u><u>3,932</u></u>	<u><u>4,123</u></u>

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

19. წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან

	2014	2013
საკომისიო საანგარიშსწორებო ოპერაციებიდან	8,148	6,080
საკომისიო გარანტიებიდან და კრედიტთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებებიდან	3,456	2,127
საკომისიო ნაღდი ფულით შესრულებული ოპერაციებიდან	1,191	965
სხვა	215	308
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო	<u>13,010</u>	<u>9,480</u>
საკომისიო საანგარიშსწორებო ოპერაციებიდან	(3,590)	(2,798)
საკომისიო გარანტიებიდან და კრედიტთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებებიდან	(623)	(493)
საკომისიო ნაღდი ფულით შესრულებული ოპერაციებიდან	(488)	(327)
სხვა	(113)	(27)
საკომისიო ხარჯი	<u>(4,814)</u>	<u>(3,645)</u>
წმინდა საკომისიო შემოსავალი	<u><u>8,196</u></u>	<u><u>5,835</u></u>

20. სხვა შემოსავალი

	2014	2013
სესხის პირობების დარღვევების შედეგად მიღებული ჯარიმები	4,598	3,175
შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან	376	350
სადაზღვევო კომპანიის მიერ ზარალის ანაზღაურება	362	4
მარკეტინგული ხარჯების ანაზღაურება	261	–
დეპოზიტების ვადაზე ადრე გატანის შედეგად მიღებული ჯარიმები	252	150
იურიდიული მომსახურების ხარჯის დაფარვა	26	224
ძირითადი საშუალების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	19	13
სესხის რესტრუქტურირების შედეგად მიღებული ნამეტი შემოსავალი	–	717
სხვა	127	52
სხვა შემოსავალი	<u><u>6,021</u></u>	<u><u>4,685</u></u>

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

21. ხელფასები და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2014	2013
ხელფასები	21,517	19,876
ბონუსები და პრემიები	8,946	7,823
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	<u>30,463</u>	<u>27,699</u>
მარკეტინგი და რეკლამა	1,881	1,342
იჯარა და ქირა	1,759	1,470
იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურება	1,617	974
საზარათო ოპერაციებთან დაკავშირებული სხვა ხარჯები	1,302	1,002
პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერა	851	730
საოფისე აღჭურვილობა	772	756
ინვასიების ხარჯები	759	693
საკომუნიკაციო მომსახურება	674	674
კომუნალური ხარჯები	653	623
ძირითადი საშუალებების ტექნიკური მომსახურებისა და შეკეთების ხარჯი	612	758
წარმომადგენლობითი ხარჯები	587	631
სამივლინებო ხარჯები	395	437
საოპერაციო გადასახადები	385	389
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	273	271
დაზღვევა	176	222
დაცვა-უსაფრთხოება	80	269
ზარალი ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგად	28	22
სხვა	500	481
სხვა საოპერაციო ხარჯები	<u>13,304</u>	<u>11,744</u>

22. რისკის მართვა

„ჯგუფს“ მოეთხოვება იმ ფინანსური რისკების მართვა, რომელიც წარმოიშობა თავისი პოლიტიკის მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის პროცესში და არსებობს „ჯგუფის“ ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების მომზადების დროს. ეს რისკები მოიცავს საკრედიტო რისკს, ლიკვიდურობის რისკს და დაფინანსების მართვას, საბაზრო, წინასწარ დაფარვის და საოპერაციო რისკებს.

რისკები დამახასიათებელია „ჯგუფის“ საქმიანობისთვის, და მათი მართვა ხორციელდება გამოვლენის, შეფასებისა და კონტროლის უწყვეტი პროცესით, რისკების ლიმიტებისა და კონტროლის სხვა მექანიზმების მეშვეობით. რისკის მართვას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს „ჯგუფის“ რენტაბელურობისათვის და „ჯგუფის“ თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე თავისი საქმიანობის ფარგლებში.

რისკების კონტროლის დამოუკიდებელი პროცესი არ მოიცავს ისეთ ბიზნესრისკებს, როგორებიცაა გარემო პირობების, ტექნოლოგიების და ინდუსტრიის ცვლილებების რისკები. მათი კონტროლი ხდება „ჯგუფის“ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში.

რისკების მართვის სტრუქტურა

რისკების იდენტიფიკაციასა და კონტროლს ძირითადად ახორციელებს „ჯგუფის“ დირექტორი, თუმცა რისკების მართვა და ზედამხედველობა ასევე ხორციელდება „ჯგუფის“ დამოუკიდებელი ორგანოების მიერ.

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია რისკების მართვის საერთო მიდგომის ჩამოყალიბებასა და რისკების მართვის სტრატეგიებისა და პრინციპების დამტკიცებაზე.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ეტიბი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

22. რისკის მართვა (გაგრძელება)

დირექტორთა საბჭო

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია „ჯგუფში“ რისკებთან დაკავშირებული მთელი პროცესის მონიტორინგზე, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტს აკისრია საერთო პასუხისმგებლობა, ჩამოაყალიბოს რისკების მართვის სტრატეგია და დანერგოს მასთან დაკავშირებული პრინციპები, წესები, პოლიტიკა და შეზღუდვები. კომიტეტი პასუხისმგებელია რისკის ძირითად საკითხებზე და მართავს და ამოწმებს რისკთან დაკავშირებულ შესაბამის გადაწყვეტილებებს.

რისკების მართვის განყოფილება

რისკების მართვის დეპარტამენტი (რისკის დეპარტამენტი) პასუხისმგებელია რისკებთან დაკავშირებული პროცედურების დანერგვასა და ფუნქციონირებაზე რისკების კონტროლის პროცესის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით, 2014 წლის ბოლოსთვის რისკის დეპარტამენტი შემდეგი განყოფილებებისგან შედგებოდა:

- ▶ კონსოლიდირებული რისკის ანალიზის განყოფილება;
- ▶ იურიდიული პირების საკრედიტო რისკის განყოფილება;
- ▶ ფიზიკური პირების საკრედიტო რისკის განყოფილება;
- ▶ საბაზრო და საოპერაციო რისკების განყოფილება;
- ▶ უზრუნველყოფის საგნის შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფი.
- ▶ საკრედიტო გარიგებების მონიტორინგის ჯგუფი.

რისკის კონტროლის განყოფილება

რისკების კონტროლის ქვედანაყოფი კონტროლს უწევს „ჯგუფის“ პროცედურების შესაბამისობას რისკების პრინციპებთან, პოლიტიკასთან და ლიმიტებთან. თითოეულ ბიზნეს ჯგუფს აქვს დეცენტრალიზებული სტრუქტურული ერთეული, რომელიც პასუხისმგებელია რისკების დამოუკიდებელ კონტროლზე, მათ შორის ლიმიტების დარღვევის რისკის მართვაზე და ახალი პროდუქციისა თუ ტრანსაქციის რისკების შეფასებაზე. აღნიშნული ქვედანაყოფი ასევე უზრუნველყოფს რისკების სრულყოფილ ასახვას რისკის შეფასებისა და ანგარიშების სისტემებში.

ხაზინა

„ბანკის“ ხაზინა პასუხისმგებელია „ჯგუფის“ აქტივებისა და ვალდებულებების მართვაზე, ასევე, ხაზინის ძირითად მოვალეობას წარმოადგენს „ჯგუფის“ დაფინანსებისა და ლიკვიდურობის რისკის მართვა.

შიდა აუდიტი

„ჯგუფში“ რისკების მართვის პროცესებს ყოველწლიურად მეთვალყურეობს „ჯგუფის“ შიდა აუდიტი, რომელიც ამოწმებს პროცედურების ადეკვატურობასა და „ჯგუფის“ შესაბამისობას პროცედურებთან. შიდა აუდიტი ყველა შეფასების შედეგს განიხილავს ხელმძღვანელობასთან და შედეგებსა და რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის მეშვეობით მოახსენებს.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვეთიბი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

22. რისკის მართვა (გაგრძელება)

რისკის შეფასებისა და ანგარიშგების სისტემა

ბანკის რისკების შეფასება ხდება იმ მეთოდის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში წარმოქმნილ მოსალოდნელ ზარალს და მოულოდნელ ზარალს, რომელიც წარმოადგენს რეალური ფინანსური ზარალის შეფასებას სტატისტიკური მოდელის საფუძველზე. მოდელში გამოყენებულია წარსული გამოცდილების ალბათობა, რომელიც კორექტირებულია არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. ჯგუფი ასევე ითვალისწინებს პესიმიზტურ სცენარს, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ექსტრემალურ პირობებში, რაც ნაკლებად სავარაუდოა, თუმცა შესაძლებელია.

სხვადასხვა ბიზნეს განყოფილებიდან მიღებული ინფორმაციის შემოწმება და დამუშავება ხდება იმისათვის, რომ მოხდეს რისკების გამოვლენა, ანალიზი და კონტროლი ადრეულ სტადიაზე. ინფორმაცია მიეწოდება დირექტორატს, აქტივ-პასივებისა და რისკების მართვის კომიტეტსა და თითოეული ბიზნესგანყოფილების ხელმძღვანელს, ანგარიში მოიცავს მთლიან საკრედიტო რისკს, საკრედიტო საპროგნოზო მაჩვენებლებს, ლიმიტებთან დაკავშირებულ გამოწვევებს, ლიკვიდურობის კოეფიციენტებსა და რისკის სტრუქტურაში ცვლილებებს. ყოველთვიურად მზადდება დეტალური ანგარიში, რომელიც შეიცავს ინფორმაციას დარგის, მომხმარებლის და გეოგრაფიული რისკების შესახებ. რისკების მართვის განყოფილება ყოველთვიურად აფასებს სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვის ადეკვატურობას.

ყოველდღიურად დირექტორთა საბჭოს და „ჯგუფის“ სხვა შესაბამის თანამშრომლებს წარედგინება ინფორმაცია ლიკვიდურობის შესახებ.

რისკის შემცირება

საკრედიტო რისკის შემცირების მიზნით „ჯგუფი“ იყენებს უზრუნველყოფას (უფრო დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ „ჯგუფმა“ განიცადოს ზარალი, თუ მისი კლიენტები ან მონაწილე მხარეები ვერ შეძლებენ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას. „ჯგუფი“ საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით ცალკეული მონაწილე მხარეებისთვის და რისკების ამ ლიმიტებთან შესაბამისობის მონიტორინგით.

საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების რისკი

„ჯგუფი“ თავის კლიენტებს სთავაზობს გარანტიებს და აკრედიტივებს, რომელთა მიხედვითაც „ჯგუფს“ შესაძლოა მოუხდეს მათი სახელით გადახდა. ამ თანხების ამოღება კლიენტებისგან ხდება შესაბამისი ხელშეკრულების პირობების მიხედვით. ამ შემთხვევაში, „ჯგუფი“ დგას სესხის გაცემისთვის დამახასიათებელი რისკების წინაშე, ამ რისკების შემცირება ხდება სესხებზე გამოყენებული პოლიტიკისა და კონტროლის პროცესების შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგების კომპონენტების, მათ შორის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების მაქსიმალურ საკრედიტო რისკს ყველაზე უკეთ ასახავს მათი საბალანსო ღირებულება, ურთიერთგაქვითვის და უზრუნველყოფის ხელშეკრულებებით ამ რისკების შემცირების ეფექტამდე.

თუ ფინანსური ინსტრუმენტები აღრიცხულია საბაზრო ღირებულებით, საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მიმდინარე საკრედიტო რისკის დონეს და არა მაქსიმალურ დონეს, რომელიც მომავალში შეიძლება წარმოიშვას ღირებულების შეცვლის შედეგად.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

22. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

საკრედიტო რეიტინგი ფინანსური აქტივების ტიპების მიხედვით

ფინანსური აქტივების საკრედიტო რეიტინგი იმართება „ჯგუფის“ შიდა საკრედიტო სარეიტინგო სისტემით.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, იურიდიულ პირებზე (კორპორაციული, მცირე ბიზნესი) გაცემული, არავადაგადაცლებული კოლექტიურად შეფასებული სესხები დაყოფილია ქვემოთ წარმოდგენილ სამ ხარისხობრივ ჯგუფად:

- ▶ მაღალი შეფასების მქონე ჯგუფი მოიცავს მსესხებლებს, რომელთაც აქვთ ლიკვიდურობის მაღალი დონე და შემოსავლის უნარიანობა. სესხის ხელშეკრულების პირობების დარღვევის ალბათობა ასეთ შემთხვევაში დაბალია.
- ▶ სტანდარტული შეფასების მქონე ჯგუფი მოიცავს მსესხებლებს საშუალო დონის ლიკვიდურობითა და შემოსავლის უნარიანობით. სესხის ხელშეკრულების პირობების დარღვევის ალბათობა საშუალო დონისაა.
- ▶ ქვესტანდარტული შეფასების მქონე ჯგუფში გაერთიანებული მსესხებლების ლიკვიდურობა და შემოსავლიანობა დამაკმაყოფილებელია. სესხის ხელშეკრულების პირობების დარღვევის ალბათობა ამ შემთხვევაში საშუალოზე მაღალია.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, ფიზიკურ პირებზე გაცემული, არავადაგადაცლებული, კოლექტიურად შეფასებული სესხები დაყოფილია ქვემოთ წარმოდგენილ სამ ხარისხობრივ ჯგუფად:

- ▶ მაღალი შეფასების მქონე ჯგუფი მოიცავს მსესხებლებს, რომელთაც აქვთ კარგი საკრედიტო ისტორია და მყარი ფინანსური მდგომარეობა, დეპოზიტებით და ოქროთი უზრუნველყოფილ სესხებს.
- ▶ სტანდარტული შეფასების მქონე ჯგუფი მოიცავს მსესხებლებს კარგი/საშუალო საკრედიტო ისტორიითა და მყარი/საშუალო ფინანსური მდგომარეობით.
- ▶ ქვესტანდარტული შეფასების მქონე ჯგუფში გაერთიანებულია სესხები საშუალო საკრედიტო ისტორიითა და ფინანსური მდგომარეობით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მატარებელი აქტივების საკრედიტო ხარისხს:

	შენიშვნა	არე ვადაგადაცილებული და არე გაუფასურებული				სულ 2014
		მაღალი შეფასება 2014	სტანდარტული შეფასება 2014	სტანდარტულზე დაბალი შეფასება 2014	ვადაგადაცი- ლებული ან ინდივიდუ- ალურად გაუფასურებუ- ლი სესხები 2014	
ფულადი სახსრები საკრედიტო ორგანიზაციებში	6	175,024	74	—	—	175,098
მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	7	63,909	51	—	—	63,960
გასაყიდად არსებული სავალო ფასიანი ქაღალდები	9	73,826	—	—	—	73,826
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	8					
კორპორატიული სესხები		41,431	103,142	75,835	20,370	240,778
სესხები მცირე ბიზნესისთვის		61,974	71,275	1,219	2,774	137,242
სამომხმარებლო სესხები		108,523	105,835	5,251	6,558	226,167
ფიზიკური პირების ანაზღაურების უზრუნველყოფილი სესხები		6,733	—	—	100	6,833
		218,661	280,252	82,305	29,802	611,020
სხვა ფინანსური აქტივები	13	1,673	1,402	—	—	3,075
სულ		533,093	281,779	82,305	29,802	926,979

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

22. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

	შენიშვნა	არც გადაგადაცილებული და არც გაუფასურებული				გადაგადაცი- ლებული ან ინდივიდუ- ალურად გაუფასურებუ- ლი სესხები	სულ 2013
		მდალი შეფასება 2013	სტანდარ-ტული შეფასება 2013	ტულზე დაბალი შეფასება 2013	სტანდარ- ტულზე დაბალი შეფასება 2013	2013	
ფულადი სახსრები საკრედიტო ორგანიზაციებში	6	134,634	7	–	–	–	134,641
მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	7	49,989	52	–	–	–	50,041
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:							
- გასაყიდად არსებული	9	53,616	–	–	–	–	53,616
- დაფარვის ვადამდე ფლობილი							
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	8						
კორპორატიული სესხები		35,131	81,724	57,110	16,723	–	190,689
სესხები მცირე ბიზნესისთვის		80,740	19,657	2,447	1,619	–	104,463
სამომხმარებლო სესხები		169,066	–	1,778	5,686	–	176,529
ფიზიკური პირების ანაბრით უზრუნველყოფილი სესხები		6,492	–	–	–	–	6,492
		291,429	101,381	61,335	24,028	–	478,173
სხვა ფინანსური აქტივები	13	5,078	1,055	–	–	–	6,133
სულ		534,746	102,495	61,335	24,028	–	722,604

„ჯგუფის“ პოლიტიკა ითვალისწინებს მთლიანი საკრედიტო პორტფელის რისკების ზუსტ და სისტემატურ შეფასებას. ეს ამარტივებს არსებული რისკების ეფექტურ მართვასა და საკრედიტო რისკის გავლენის შედარებას საქმიანობის ყველა სფეროს, გეოგრაფიული არეალისა და პროდუქტის მიხედვით. რეიტინგის სისტემა დამყარებულია სხვადასხვა ფინანსურ ანალიზზე, აგრეთვე დამუშავებულ საბაზრო მონაცემებზე, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს აუცილებელ კომპონენტს კონტრაგენტის რისკის შეფასებისთვის. რისკის ყველა შიდა რეიტინგი მორგებულია სხვადასხვა კატეგორიებზე და მიიღება „ჯგუფის“ სარეიტინგო პოლიტიკაზე დაყრდნობით. რისკის რეიტინგები ექვემდებარება მუდმივ შეფასებასა და განახლებას.

გადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული სესხები და ავანსები მოიცავს მხოლოდ იმ სესხებს და ავანსებს, რომლებიც ინდივიდუალურად უმნიშვნელოა. ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს გადაგადაცილებული სესხებისა და ავანსების ანალიზს ხანდაზმულობის მიხედვით:

ხანდაზმულობის ანალიზი გადაგადაცილებულ სესხებზე გარდა ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხებისა, ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის მიხედვით:

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	30 დღეზე ნაკლები	31-დან 60 დღემდე	61-დან 90 დღემდე	90 დღეზე მეტი	სულ
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები					
კორპორატიული სესხები	2,783	–	–	1,460	4,243
სამომხმარებლო სესხები	637	843	349	154	1,983
სესხები მცირე ბიზნესისთვის	4,133	739	680	612	6,164
დეპოზიტით უზრუნველყოფილი სესხები	–	100	–	–	100
სულ	7,553	1,682	1,029	2,226	12,490

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიზი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათასი ლარი)

22. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	30 დღეზე ნაკლები	31-დან 60 დღემდე	61-დან 90 დღემდე	90 დღეზე მეტი	სულ
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები					
კორპორატიული სესხები	587	1,916	–	89	2,592
სამომხმარებლო სესხები	3,398	742	913	1	5,054
სესხები მცირე ბიზნესისთვის	441	203	50	–	694
სულ	4,426	2,861	963	90	8,340

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის სესხი მიიჩნევა ვადაგადაცილებულად, თუ ანგარიშგების დღისთვის მსესხებელს არ განუხორციელებია საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული არცერთი გადახდა. ასეთ შემთხვევაში, შესაბამისი საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად, მსესხებლისგან მისაღები მთლიანი თანხა, დარიცხული პროცენტისა და საკომისიოს ჩათვლით, უნდა იქნას აღიარებული ვადაგადაცილებულად.

კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების გაუფასურება კოლექტიურად შეფასდა. საკრედიტო პორტფელის სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-8 შენიშვნაში.

რესტრუქტურული ზეგნული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება კატეგორიების მიხედვით:
ქვემოთ მოცემული ცხრილი უჩვენებს რესტრუქტურული (პროლონგირებული და რეფინანსირებული) ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას კლასის მიხედვით:

	2014	2013
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები		
კორპორატიული სესხები	3,749	5,446
სესხები მცირე ბიზნესისთვის	1,631	2,307
სამომხმარებლო სესხები	3,297	1,054
სულ	8,677	8,807

გაუფასურების შეფასება

გაუფასურებასთან დაკავშირებული დანაკარგების მოგებაში-ზარალში აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დანაკარგის გაწევა ხდება ერთი ან მეტი მოვლენის („დანაკარგის გამოწვევი მოვლენა“) შედეგად, რომლებიც მოხდა ფინანსური აქტივების პირველადი აღიარების შემდეგ და რომელთაც გავლენა აქვთ ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ისეთი საპროგნოზო სამომავლო ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან დროზე, რომელთა სახდო პროგნოზირება შესაძლებელია. თუ ჯგუფი დაადგენს, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული აქტივი, მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო, გაუფასურდა, იგი ამ აქტივს აერთიანებს მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ჯგუფში და შემდეგ კოლექტიურად აფასებს მათ გაუფასურებისთვის. ძირითად ფაქტორებს, რომელსაც ჯგუფი ითვალისწინებს ფინანსური აქტივის გაუფასურების დადგენისას, წარმოადგენს ამ უკანასკნელის ფინანსური სირთულეები, ვადაგადაცილებულობის სტატუსი და წარმოდგენილი უზრუნველყოფის საკმარისობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ 2014 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ათასი ლარი)

22. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ინდივიდუალურად შეფასებული გაუფასურება

თითოეული ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხისთვის „ჯგუფი“ განსაზღვრავს შესაბამის ინდივიდუალურ რეზერვს. რეზერვის ოდენობის განსაზღვრა დამოკიდებულია კონტრაგენტის ბიზნესგეგმის მდგრადობაზე, ფინანსური პრობლემის დადგომის შემთხვევაში მისი გამოსწორების შესაძლებლობებზე, დაგეგმილ მისაღებ თანხებსა და მოსალოდნელ დივიდენდებზე გაკოტრების შემთხვევაში, სხვა ხელმისაწვდომ ფინანსურ მხარდაჭერაზე, უზრუნველყოფის რეალიზებად ღირებულებასა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ვადიანობაზე. გაუფასურების ზარალი ფასდება ფინანსური ანგარიშგების შედგენის თითოეული თარიღისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაუთვალისწინებელი გარემოებები მოითხოვს უფრო მეტ ყურადღებას.

კოლექტიურად შეფასებული გაუფასურება

